სახელმწიფო, ეკლესია და პოპულიზმი:

2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში გამოყენებული პოლიტიკური და საეკლესიო ნარატივების კვლევა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

სახელმწიფო, ეკლესია და პოპულიზმი:

2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში გამოყენებული პოლიტიკური და საეკლესიო ნარატივების კვლევა

თბილისი, 2025

კვლევაზე პასუხისმგებელი პირები: თამთა მიქელაძე, ლევან ტალახაძე

მკვლევარი: სოფო ზვიადაძე

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: ანა მარწყვიშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სოფო ზვიადაძე, სახელმწიფო, ეკლესია და პოპულიზმი: 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში გამოყენებული პოლიტიკური და საეკლესიო ნარატივების კვლევა", 2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

შესავალი

2021 წლის 5 ივლისს, მემარჯვენე რადიკალური ჯგუფების ძალადობრივი კონტრაქციის დროს, სახელმწიფოს დემონსტრაციული უმოქმედობა[1], მისი მხრიდან, ეკლესიასთან და მემარჯვენე რადიკალურ ჯგუფებთან ალიანსის ახალი ეტაპის ნიშანი იყო. თუ ბოლო წლებში „ლგბტ-პროპაგანდის შიში“ და ოჯახისა და ტრადიციების დაცვა საეკლესიო დისკურსის ნაწილი იყო, 2021 წლიდან ამ ყოველივემ ამბიონიდან სამთავრობო ტრიბუნაზე გადაინაცვლა და საბოლოოდ სამთავრობო პოლიტიკურ დისკურსად ჩამოყალიბდა. ანტიგენდერულმა რიტორიკამ, ომის და მშიდობის ნარატივმა, სხვა თემებთან ერთად, დროთა განმავლობაში, მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში ცენტრალურ ადგილი დაიკავა. რადგან ანტიგენდერული რიტორიკა მმართველი პარტიის პოპულისტური პოლიტიკის ნაწილად და ზოგადად საქართველოში პოპულისტური შემობრუნების სიმპტომად მიგვაჩნია, კვლევაში მიმოხილულ პოლიტიკური ენის რელიგიურ სემანტიკას პოპულისტური პოლიტიკის წარმოების კონტექსტში განვიხილავთ. ამ მხრივ, 2024 წელი, არა მხოლოდ საარჩევნო წელი, არამედ პოლიტიკური კრიზისის კულმინაციური დროც იყო თანამედროვე საქართველოში.[2]

ამ პერიოდის შესწავლისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გლობალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებიც, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ახდენენ გავლენას საქართველოზე: იქნება ეს რუსეთ-უკრაინის ომი, მემარჯვენე პოპულიზმის აღზევება ევროპაში, ე.წ. არალიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოების გაძლიერება, დამოკრატიის უკუსვლა თუ ავტორიტარული შემობრუნება აღმოსალეთ ევროპის ქვეყნებში.[3] მართლმადიდებლურ ქვეყნებში ამას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ემატება - რუსეთის „მორალის პოლიტიკა“ და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ტრადიციული ღირებულებების დაცვის პროპაგანდა.[4] როგორც კრისტინა შტოკლი აღნიშნავს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და რუსეთის სახელმწიფო დიდ როლს ასრულებენ გლობალურ კულტურულ ომებში, კერძოდ, გენდერული და რეპროდუქციული უფლებებისა და რელიგიური თავისუფლების შესახებ დისკურსის შექმნაში.[5] რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, მოახერხა, რომ შეექმნა ცოდნა და გავლენა მოეხდინა მემარჯვენე ქრისტიანული ჯგუფების დინამიკასა და სტრატეგიებზე.[6] საქართველოსთვის, ეს მოვლენები არა უბრალოდ საერთაშორისო ფონი, არამედ ის ფაქტორებიცაა, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს შიდაპოლიტიკურ და საზოგადოებრივ მდგომაროებაზე. როგორც აღვნიშნეთ, 2024 წელი საქართველოში კრიზისის წელი იყო. ქვეყანაში მიმდინარეობდა პროევროპული და პროდემოკრატიული საპროტესტო მოძრაობის მეორე ტალღა, რომელიც გამოიწვია ე.წ. რუსული კანონის მეორედ ინიცირებამ და მიღებამ.[7]

---

[1] „5-6 ივლისის მოვლენების სამართლებრივი შეფასება - პირველადი ანალიზი“, სოციალური სამრთლიანობის ცენტრი, 6 სექტემბერი 2021, https://socialjustice.org.ge/ka/products/5-ivlisis-movlenebis-samartlebrivi-shefaseba-pirveladi-analizi

[2] რონალდ გრიგორ სუნი: „საქართველოს ისტორიაში ეს გარდამტეხი ეტაპია“, ინტერვიუ, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 3 სექტემბერი 2024, https://socialjustice.org.ge/ka/products/ronald-grigor-suni-sakartvelos-istoriashi-es-gardamtekhi-etapia

[3] Bernhard, Michael: Democratic Backsliding in Poland and Hungary, *Slavic Review,* Volume 80 , Issue 3 , Fall, 2021, 585 – 607, Vachudova, M. A., Dolenec, D., & Fagan, A.: Civic Mobilization against Democratic Backsliding in Post-Communist Europe, *East European Politics and Societies*, 38(4), 2024, 1144-1165; Cianetti, Dawson & Hanley (eds.): *Rethinking 'Democratic Backsliding' in Central and Eastern Europe*, 2019.

[4] Stoeckl, Kristina and Dmitry Uzlaner: *The Moralist International. Russia in the Global Culture Wars.* New York: Fordham University Press, 2022.

[5] Stoeckl, Kristina: „The Russian Orthodox Church as moral norm entrepreneur“, *Religion*, *State & Society*,, Vol. 44, No. 2, 2016, 132–151; Stoeckl / Uzlaner 2022.

[6] Stoeckl, Kristina and Dmitry Uzlaner 2022.

[7] კანონის შესახებ იხ. „რა არის რუსული კანონი და რა საფრთხეს უქმნის საქართველოს?“, *აი ფაქტი,* 30.05.2024, https://tinyurl.com/2wdmw9wb; კვინცხაძე, ხათუნა: კანონის შესახებ იხ. რატომ ეწინააღმდეგება რუსული კანონი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და კანონის უზენაესობის პრინციპებს? , სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 09.05. 2024, https://tinyurl.com/8t87akka

მსგავსი კანონი მიიღეს ან მისი მიღება სცადეს სხვა არალიბერალურმა დემოკრატიებმაც და ის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ავტორიტარული შემობრუნების ერთ-ერთი სიმპტომია. როგორც მკვლევრები მიიჩნევენ, ეს პროცესი დეევროპეიზაციის პროცესის დასაწყისიცაა, რაც თავდაპირველად დისკურსულად გამოჩნდა პოლიტიკური ლიდერების განცხადებებში.[8] ფასადური პროევროპული განცხადებების მიღმა, სამთავრობო ელიტამ, განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, გაამწვავა ანტიევროპული ენა და ამ დისკურსში მნიშვნელოვანი ადგილი ანტილგბტ თემატიკამ დაიკავა.[9] ამრიგად, 2021 და 2022 წლები გარდამტეხ პერიოდად უნდა მივიჩნიოთ[10] როგორც დეევროპეიზაციისთვისაც, ისე პოპულისტური შემობრუნეისთვის. ამ კონტექსტში, 2024 წელი პოლიტიკური ველის რადიკალური რეკონფიგურაციის კულმინაციური პერიოდია. ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, რელიგიური სემანტიკა, პოლიტიკური ენის სულ უფრო პოპულისტურად გახდომის ფონზე, ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ასრულებს. ერთი შეხედვით, ეს პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკის და რელიგიის ურთიერთობის ფორმის ლოგიკურ გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: სახელმწიფოს და ეკლესიის სიახლოვე, მმართველი ძალების მხრიდან პოლიტიკური ლეგიტიმაციისთვის ეკლესიისა და პატრიარქისადმი ლოიალობის გამოხატვა, პოლიტიკური კრიზისის დროს რელიგიის და ეკლესიის მნიშვნელოვნების დემონსტრირება პოლიტიკაში.[11] და მაინც, არსებული მდგომარეობა უფრო კომპლექსურ და შედარებით ახალ კონტურებს გვიჩვენებს ძალაუფლების ამ ორი აქტორის ურთიერთობაში, ვიდრე ეს ეკლესიის და სახელმწიფოს კონტროვერსული სიახლოვე და სეკულარიზმის ნაცნობი პრობლემატიკაა.

კვლევაში ორ კონცეპტუალურ ხაზს მივყვებით: ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა წინასაარჩევნო პერიოდში, ანუ პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, რომელიც არჩევნების მასობრივი გაყალბების, აგრესიული ავტორიტარიზმის მშენებლობისა და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულების ცვლილების ფონზე მიმდინარე აქტიურ პროტესტებს და პოლიტიკურ მოძრაობას უკავშირდება. მეორე ხაზია, მემარჯვენე პოპულიზმის დაჩაქარებული ათვისება ერთ დროს მემარცხენე ცენტრისტული პარტიის, „ქართული ოცნების“ მიერ. ამ ორი პერსპექტივით გვსურს გავიგოთ, რა ახალ ტენდენციებს აჩენს კრიზისული პერიოდი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში და რას გვიჩვენებს სამთავრობო პოლიტიკურ ნარატივში გაჩენილი რელიგიური სემანტიკა; რა ადგილს იკავებს წინასაარჩევნო პოპულისტურ პოლიტიკურ დისკურში ამომრჩეველთა მობილიზაციისთვის რელიგიის თემატიკა, რელიგიური სიმბოლოები და როგორ არის რელიგიური რიტორიკა დაკავშირებული სხვა პოპულისტურ ნარატივებთან მორალური დიქოტომიის შესაქმნელად.

კვლევაში, ტრადიციების, მორალურის საკითხების და რელიგიის თემების პოლიტიზებას განვიხილავთ არა იმდენად სეკულარიზმის პარადიგმის ჭრილში, არამედ უფრო როგორც მმართველი პარტიის მხრიდან მემარჯვენე პოპულისტური დისკურსის შეთვისების მცდელობად ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბების გზაზე. კვლევაში ასევე გავაანალიზებთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკურ შეხედულებებს წინასაარჩევნო პერიოდში და მის სავარაუდო სინქრონიზაციას სამთავრობო პოლიტიკურ ნარატივთან.

---

[8]Tsuladze, Lia, Nino Abzianidze, Mariam Amashukeli, and Lela Javakhishvili: „De-Europeanization as Discursive Disengagement: Has Georgia 'Got Lost' on Its Way to European Integration?“ *Journal of European Integration,* 46 (3), 2023, 297–319.

[9] Tusladze et al. 2023.

[10] Tsuladze et al 2023.

[11] Serrano, Silvia: De-secularizing national space in Georgia, *Identity Studies*, Revue der Ilia State University, Vol. 2, Tbilisi, 2010, 37-58, Serrano, Silvia: Orthodox Mobilizations and Political Identities in Post-Soviet Georgia, , Journal of Religion in Europe, December 2021, 14 (3-4):225-245; Chitanava, Eka: 2016. Georgia's Politics of Piety, *Open Democracy*, 30 September 2016. https://www.opendemocracy.net/od-russia/eka-chitanava/georgia-s-politics-of-piety, Zviadadze, Sophie: State, Church and Post-Soviet Political Theology of the Georgian Orthodox Church, in: Vasilios N. Makrides/Mihai-D. Grigore (eds.): *Orthodoxy in the Agora. Orthodox Christian Political Theologies Across History*, Vandenhoeck & Ruprecht: Göttingen, 2024, 323-352.

პოსტსოციალისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ორმაგი ტრასფორმაციის ბედს იზიარებენ. ეს ქვეყნები, ერთი მხრივ, გადიოდნენ სისტემური ტრანსფორმაციის პროცესს სოციალისტურიდან ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის გზაზე, რომელიც თავისთავად მოიცავდა მრავლაგანზომილებიან სისტემურ ცვლილებებს (ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს და ა.შ.) და ზოგჯერ რეპრესიულ, ზემოდან ქვემოთ თავსმოხვეულ ექსპერიმენტებსა და ინტერვენციებს. მეორე მხრივ კი, მათ „წამოეწიათ“ დასავლურ საზოგადოებში მიმდინარე ე.წ. „რელიგიათა დაბრუნების“, დესეკულარიზაციის პროცესი.[12] რელიგიური ველის ეს რადიკალური ცვლილება აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, არა მხოლოდ ინდივიდუალური რელიგიურობის ზრდით, არამედ მთელ რიგ ქვეყნებში ინსტიტუციური რელიგიების (ეკლესია) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ავტორიტეტის ზრდით და საჯარო სივრცეში თავის დამკვიდრებითაც გამოიხატა.[13] რელიგიის ასეთ მნიშვნელობას ზოგიერთი მეცნიერი საბჭოთა პერიოდში რელიგიის პოლიტიკას, რეპრესიების გამოცდილებას, პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პერიოდში კი - იდეოლოგიურ ვაკუუმს მიაწერს.[14] საქართველო, ყველა სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნისგან, გამოირჩევა არა მხოლოდ რელიგიურობის მაღალი მნიშვნელობით ყოველდღიურობაში, არამედ ამ განვითარების თავისებურების ყველაზე ხანგრძლივი დროით შენარჩუნებითაც.[15] კვლევების მიხედვით, წლების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (*შემდგომში* სმე) ქართულ საზოგადოებაში, საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს.[16] ბოლო წლებში, საზოგადოების ნდობა ეკლესიისადმი შედარებით კლებულობს. 2021 წლის კვლევის თანახმად, ეკლესიისადმი ნდობა გამოკითხულთა (63%) პროცენტმა გამოხატა.[17] თუმცა, პატრიარქი და სმე ისევ ინარჩუნებენ მაღალ ავტორიტეტს სხვა ინსტიტუტებთან შედარებით.[18] 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევა ახალგაზრდებში რელიგიური პრაქტიკის კლებაზე მიუთითებს - ახალგაზრდები ხშირად არიან სასულიერო პირთა ქადაგებების ადრესატი, მღვდლები მათ ან აკრიტიკებენ, მათი ცხოვრების წესის და ღირებულებების გამო, ან მოუწოდებენ „ეკლესიის წიაღში დაბრუნებისკენ“.[19] რელიგიის მნიშვნელობა საზოგადოებაში და ეკლესიის და რელიგიური ავტორიტეტების პოპულარობა

---

[12] დესეკულარიზაციის შესახებ იხ. Berger, Peter L.: The Desecularization of the World. A Global Overview'. In: Berger PL (ed.), The Desecularization of the World: Resurgent Religion and World Politics, Washington, DC, 1999, 1-18.

[13] Habermas, Jürgen: *Notes on Post-Secular Society, New Perspectives Quarterly*, October 2008, 25(4):17 – 29, 20.

[14]Pollack: Detlef: „Renaissance des Religiösen? Veränderungen auf dem religiösen Feld in ausgewählten Ländern Ost- und Ostmitteleuropas“, *Archiv für Sozialgeschichte* 51, 2011,109–140.

[15] Pew Research Center, „Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe“, 10 May 2017. https://www.pewforum.org/2017/05/10/RELIGIOUS-BELIEF-AND-NATIONAL-BELONGING-IN-CENTRAL-AND-EASTERN-EUROPE/

[16] მაგ., 2010 წელს ეკლესიას ენდობოდა გამოკითხულთა (86%), ხოლო პატრიარქი იყო ყველაზე მეტად ნდობით აღჭურვილი საზოგადოებრივი ფიგურა (90%), „Public attitudes towards elections in Georgia: Results of an April 2010“, National Democracy Institute (NDI) http://www.ndi.org/files/Georgia_Public_Opinion_0410.pdf

[17] საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვეთით *კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა* (CRRC) 2021 წელს ჩაატარა https://transparency.ge/ge/post/mosaxleobis-umravlesobis-azrit-kveqanashi-magali-donis-korupciaa-gavrcelebuli?fbclid=IwAR2AbrBmmuqNopBfoG0X2yjUrVNidih-VEK0NGeVRn-AXF6YrwMBTh4smwc

[18]„NDI-ს კვლევების მიხედვით, პატრიარქის რეიტინგი იკლებს“, *ნეტგაზეთი,* 13 მაისი, 2015, https://netgazeti.ge/news/40880/; „რატომ მცირდება ეკლესიის რეიტინგი?“ *რადიო თავისუფლება,* 03.04.2019, https://shorturl.at/pyT12; იხ. Public Opinion Survey Residents of Georgia May 20 – June 11, 2019, (The Gallup), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დაკვეთით.

[19] ბაქრაძე, ელის; რელიგია, პოლიტიკა და ყოველდღიურობა: წინასაარჩევნო პერიოდში სამი მართლმადიდებელი ეკლესიასა და ბათუმის „ორთა ჯამეს“ მეჩეთის რელიგიური და სოციალური პრაქტიკების ეთნოგრაფიული კვლევა, *სოციალური სამართლიანობის ცენტრი,* თბილისი, 2025.

აძლიერებს რელიგიის საჯარო სტატუსს. ეს აისახება პოლიტიკურ სფეროზეც, რის გამოც რელიგია ხშირად ხდება მოქალაქეების თვალში პოლიტიკური სანდოობის შექმნის ისნტრუმენტი პოლიტიკური ელიტების ხელში. ეკლესიის საჯარო რეპრეზენტაცია პოლიტიკურ და საჯარო სივრცეში, არც მხოლოდ „ქართული" და არც ბოლომდე „მართლმადიდებლური" ფენომენია. ინტერდისციპლინური კვლევები აჩვენებს, რომ რელიგიური ველის ტრანსფორმაციაზე და სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ფორმაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის: ისტორიულად ავტოკეფალური ეკლესიის არსებობა, ნაციონალიზმის თავისებურება,[20] სოციალისტური წარსული, ტოტალიტარიზმის გამოცდილება, საბჭოთა რელიგიის და ნაციონალიზმის პოლიტიკა, ასევე სახელმწიფოებრიობის ისტორია, და, რაც მთავარია, თანამედროვეობაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციები.[21] განსაკუთრებით საყურადღებოა რელიგიის მიმართება ნაციონალიზმთან, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი თანამედროვეობაში ეკლესიის და რელიგიის როლის დეფინიციისთვის. აქვე, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი თავისებურება, რაც ახასიათებს საქართველოში და პოსტსოციალისტურ ქვყენებში რელიგიის ტრანსფორმაციას, ეს არის რელიგიურობის და ნაციონალიზმის თანადროული „გამოღვიძება" და რელიგიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ნაციონალური იდენტობის განსაზღვრაში.[22] ნაციონალიზმის თემა საქართველოში, როგორც მსოფლიოში, ინტენსიური სამეცნიერო და საზოგადოებრივი განხილვის თემაა.[23] საქართველოში ამ დისკუსიებს ორმაგი პროექცია აქვს, ცოდნის წამოებასთან ერთად, ან სულაც მასზე დაფუძნებით, მიმდინარეობს ნაციონალური იდენტობის სხვადასხვა შინაარსის ფორმირება და მათ შორის კონკურენცია. მართალია, გვიან 90-იან წლებში კრიტიკული შეფასება მოჰყვა რონალდ სუნის წიგნს, „ქართველი ერის ჩამოყალიბება",[24] მაგრამ მოდერნისტული ნაციონალიზმის თეორიების ფეხის მოკიდებით აკადემიურ სივრცეში, ეს საკითხი დღეს უფრო რაციონალურად და მულტიპერსპექტივით ანალიზდება. კერძოდ, ის აზრი, რომ ქართული ისტორიული მასტერნარატივი მე-19 საუკუნის ბოლოს

---

[20] Agadjanian, Alexander: „Ethnicity, Nation and Religion: Current Debates and the South Caucasian Reality", in: Alexander Agadjanian, Ansgar Jodocke, & Evert van der Zweerde (eds.), *Religion, Nation and Democracy in the South Caucasus* (London & New York: Routledge, 2015, 22–37; Zedania, Giga: „The Rise of Religious Nationalism in Georgia", *Identity Studies* 3 (2011), 120–128.

[21] Spohn, Winfred: „Europeanisation, Multiple Modernities and Religion-The Reconstruction of Collective Identities in Post-Communist Central and Eastern Europe", in: Gerd Pickel / Kristina Sammet (eds.) *Transformation of Religiosity. Religion and Religiosity in Eastern Europe 1989-2010*, Wiesbaden, 2012, 29-50, 30; Müller, Olaf et al., „Wandel religiös-kirchlicher Orientierungsmuster und Verhaltensweisen in Osteuropa", in: Manfred Brocker et al. (eds) *Religion-Staat-Politik, Wiesebaden*, 2003, 99-126; Pickel Gerd/Sammet Kristina (eds.) *Transformation of Religiosity. Religion and Religiosity in Eastern Europe 1989-2010*, (Wiesbaden 2012).

[22] Gerd Pickel & Kristina Sammet (eds.): *Transformation of Religiosity: Religion and Religiosity in Eastern Europe 1989–2010* (Wiesbaden: Springer, 2012); Detlef Pollack, „Religiousness Inside and Outside the Church in Selected Post-Communist Countries of Central and Eastern Europe", *Social Compass* 50/3 (2003), 321–334; Tomka,Miklós: „The Changing Social Role of Religion in Eastern and Central Europe: Religion's Revival and Its Contradictions", *Social Compass* 42/1 (1995), 17–26; Zedania, Giga: „The Rise of Religious Nationalism in Georgia", *Identity Studies,* Vol. 3, 2011, 120–128; Reisner, Oliver: Religion und religiöse Minderheiten in Georgien heute, Religion und Gesellschaft in Ost und West (*RGOW*), 46: 6, 2018, 22-25.

[23] Jones, Stephan F : Religion und Nationalism in Soviet Georgia and Armenia, in: Ramet, Pedro (ed.): Religion and Nationalism in Soviet and East Europeans Politics. London/Durham, 1989, 171-195, კიკნაძე, ზურაბ: „ილიას მამული", კიკნაძე, ზურაბ (რედ): საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005. 28-52, რატიანი, ირმა (რედ.): *ილია ჭავჭავაძე 170. საიუბილეო კრებული*, თბილისი 2007, Reisner, Oliver: Between State and Nation Building - The Debate about 'Ethnicity' in Georgian Citizens' ID Cards., in: László Marácz, Lia Versteegh (eds.): Exploring the Caucasus in the 21st Century: Essays on Culture, History and Politics in a Dynamic Context. Françoise Companjen, Amsterdam: Pallas Publication, 2010 , Sabanadze, Natalie: Globalization and Nationalism. The Cases of Georgia and the Basque Country, Central European Univeristy Press: Budapesht, 2023, ჭელიძე, ანა: ნაციონალური და რელიგიური ნაციონალისტური დისკურსები საქართველოში, 2009; ჩხეიძე, ირაკლი: ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში [დისერტაცია], თბილისი 2016.

[24] სუნი, რონალდ: ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბილისი, 2022, ორიგინალი ინგლისური ვერსია: Suny, Ronalg Gregory: The Making of the Georgian Nation, Second Edition. by Ronald Grigor Suny. Published by: Indiana University Press, 1994.

ჩამოყალიბდა და ეს არის ქართული ნაციონალიზმის დაბადების ეპოქა.[25] როგორც ამ პერიოდის ნაციონალური გამოღვიძებების შემთხვევაში, საქართველოშიც, იდენტობა რუსულ იმპერიულ პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში აიგო. ამ ნაციონალურ პროექტს ჰქონდა პოტენციალი, რომ სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩარჩოს ქვეშ განსაზღვრულიყო - ვინ ეკუთვნის ქართველ ერს.[26] აჭარის შემოერთების შემდეგ (1878) „ოსმალოს საქართველოს“ საკითხისადმი ქართველი განმანათლებლების გამოხმაურება, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ დაარსება, ის რამდენიმე მაგალითია, რომელიც მოდერნული ნაციონალიზმისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდის პოლიტიკური იდეოლოგიების ისტორიაც ადასტურებს, მოდერნისტული, მაგრამ არა ასიმილაციური ნაციონალიზმის იდეის პოტენციალს. ნაციონალიზმის ამ პროექტმა თავისი ტრანსფორმაცია განიცადა საბჭოთა სისტემის დროს, ტიტულოვანი ერის სტატუსმა და „ნაციონალიზმის წახალისებამ“ ხელი შეუწყო ეთნიკურად გაგებული ქართველი ერის კულტურული „განსაკუთრებულობის“ იდეოლოგიურ ჩამოყალიბებას. ქვეყნის შიგნით არსებული ეთნიკური სიჭრელე, ერთი მხრივ, ტიტულოვანი ერის კულტურის, მეორე მხრივ, საბჭოთა კოსმოპოლიტური ზენაციონალური იდეოლოგიის ჩრდილქვეშ მოექცა. რაც შეეხება რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ ცოდნას და კულტურულ რეპრეზენტაციას, ის სრულიად გაფერმკრთალდა. საქართველო ასცდა მე-20 საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესს - მოდერნულ საზოგადოებაში რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების პოლიტიკურ, კულტურულ, სამართლებრივ გააზრებას. სხვადასხვა იმპერიული პოლიტიკის ჭიდილში მიმდინარე იდენტობის ფორმირებას დაღი დაასვა ქართული ნაციონალიზმის სპეციფიკამაც.[27] ჯერ „პერესტროიკის“ პერიოდში, შემდეგ 90-იან წლებში, ენა, კულტურა და რელიგია იქცა იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებად და ნაციონალიზმს ჰქონდა ეთნორელიგიური (ეთნოცენტრისტული) განზომილება.[28] მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში, 90-იანი წლებიდან დღემდე, უფრო ძლიერია ეთნიკური ნაციონალიზმი, ვიდრე სამოქალაქო ნაციონალიზმი.[29] ეთნიკური ნაციონალიზმი, ქართული კულტურის ექსკლუზიურობის და ერის გაიდეალების ფორმით, შეიძლება პოსტსაბჭოთა ტრანზიციის პერიოდზე რეაქციად ჩაგვეთვალა, თუმცა, უფრო მართებულია, მისი ფესვები საბჭოთა ან უფრო ადრინდელ ისტორიულ პერიოდში ვეძებოთ.

სამოქალაქო ნაციონალიზმის შესახებ საჯარო და აკადემიური დისკუსიები ინტენსიურად გაიშალა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ამას ბიძგი მისცა ახალი პოლიტიკური ელიტის ახალი ნაციონალისტური ჩარჩოს შექმნისაკენ მისწრაფებამ. ამ პერიოდიდან შეგვიძლია ვისაუბროთ ორი ტიპის ნაცინალიზმზე - ეთნორელიგიური ნაციონალიზმის დასაყრდენად და დამცველად მიჩნეულია ეკლესია, ხოლო სამოქალაქო ნაციონალიზმისა - სახელმწიფო[30], ან, გარკვეული დათქმებით, ეს არის ეთნიკურობაზე აქცენტის შეპირისპირება მოქალაქეობის იდეასთან. ამგვარი გამიჯვნა მხოლოდ პირობითია და დროის გარკვეულ პერიოდში შეიძლება იცვლიდეს კიდეც მასშტაბს, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში, გვეხმარება, დავინახოთ განსხვავებები, სხვადასხვა ნაციონალურ პროექტს შორის. ამრიგად, ეთნორელიგიური ნაციონალიზმის უკეთ გამოსახატავად, საკვანძო ფრაზა, გარკვეული მოდიფიკაციით, შეიძლება იყოს: „ქართველი, მაშასადამე, მართლმადიდებელი“, სადაც ჩანს პოსტსაბჭოთა საქართველოში ეთნიკურობის და რელიგიურობის მნიშვნელობა ნაციონალური იდენტობის განსაზღვრაში. სამოქალაქო ნაციონალიზმის და ალტერნატიული პოლიტიკური ხედვის განვითარების გამომხატველი სიმბოლური ფრაზაა ზურაბ ჟვანიას სიტყვები, წარმოთქმული 1999 წელს, სტარსბურგში - „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. მოგვიანებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ახალმა პოლიტიკურმა ელიტამ სცადა ეს ფრაზა მყარ სლოგანად ექცია. ამ დისკუსიების ფონზე, 2010 წელს გია ნოდია სვამს

---

[25] Chikovani, Nino: The Georgian historical narrative: From pre-Soviet to post-Soviet nationalism, Dynamics of *Asymmetric Conflict*, July 2012, 5(2), 107-115, ზედანია, გიგა (რედ.): ქართველი ერის დაბადება: ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007), თბილისი, 2009; ანდრონიკაშვილი, ზაალ: „მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან. ენის რეფორმა როგორც სეკულარული პროექტი“, რატიანი, ირმა (რედ.): *ილია ჭავჭავაძე 170. საიუბილეო კრებული*, თბილისი 2007, 157-173.

[26] კიკნაძე, ზურაბ: „ილიას მამული“, კიკნაძე, ზურაბ (რედ.): საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, 2005. 28-52.

[27] ზედანია გიგა: ნაციონალური იდენტობის საკითხი საქართველოში, სოლიდარობა №4(37), 2010.

[28] Chikovani 2012.

[29] ზედანია, გიგა: ორ ნაციას შორის? ნაციონალური იდენტობის საკითხი საქართველოში, *სოლიდარობა,* 2010.

[30] ზედანია 2010.

კითხვას, თუ „ვისი პათოსი იყო ეს? - კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისა (საიდანაც ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ამოიზარდა) თუ ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილის?“[31] ეს პერიოდი უდავოდ, ზემოდან წამოსული სამოქალაქო ნაციონალიზმისა და უფრო ხალხურ ეთნორელიგიურ ნაციონალიზმს შორის ჭიდილის პერიოდია. დღევანდელი გადმოსახედიდან, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა ზურაბ ჟვანიას სიტყვების სემანტიკამ, რომელიც იმ დროს ნიშნავდა თან ამბივალენტობას და თან ევროპული იდენტობისკენ „მისწრაფებას“, ანუ ქართული იდენტობის ევროპულობას ძახილისა და კითხვის ნიშნებს შორის“.[32] ქართული ნაციონალიზმის ბუნების განსაზღვრაში ევროპულ იდენტობაზე მსჯელობა, მხოლოდ ერთ-ერთი და დამხმარე ელემენტია, რითაც ვსაზღვრავთ, იწვევს ეს ეროვნულობის დაკარგვის შიშს, ექსკლუზიურობის ტენდენციას, თუ იხრება სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ, პოლიტიკური ცნობიერებით, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებით, უმცირესობათა აღიარების პოლიტიკით. ნაციონალიზმის ორ მოდელს შორის შეპირისპირება, ბოლო წლებში, პოლიტიკური ელიტების და აკადემიური დისკუსიებიდან ხალხში „გადმოვიდა“. 2023 და 2024 წელს, პროევროპული აქციების შინაარსმა, პროტესტის მობილიზაციის ფორმებმა და სლოგანებმა ახალი სადისკუსიო თემა წამოჭრა, რომ ძლიერდება სამოქალაქო ნაციონალიზმი - სამოქალაქო საზოგადოების გაგება გაფართოვდა და ის მეტია, ვიდრე არასამთავრობო ორგანიზაციები. ზურაბ ჟვანიას სიტყვები გახდა არა მთავრობის მესიჯი, არამედ სამოქალაქო საზოგადოების იდეოლოგიური სლოგანი. საპროტესტო მოძრაობაში, მოქალაქეები ცდილობენ ნაციონალური და ევროპული იდენტობის რეინტერპრეტაციას. მიმდინარე პროცესი უფრო კომპლექსურია, ვიდრე წლების წინ, რადგან პარალელურად, მემარჯვენე პოპულისტურ ჯგუფებში გაჩნდა სლოგანი - „ქართველი და არავითარი მაშასადამე“. იგი მემარჯვენე პოპულისტური დისკურსის ნაწილია და სოციალურ ქსელში მისი „მიწოდება“კონკრეტულმა ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა დაიწყეს. ამიტომ, ამ ეტაპზე, ეჭვქვეშ უნდა დავაყენოთ, მისი, როგორც კოლონიური ტრავმის, ამოძახილი. ეს ფორმულა მიმართულია პროევროპული შეხედულებების წინააღმდეგ, მაგრამ ვრცელდება ისეთ დროს, როდესაც სამთავრობო და საეკლესიო დისკურსი არ არის ღიად ანტიევროპული. ამ სლოგანის ქვეშ ადამიანები აერთიანებენ ეთნორელიგიურ ნაციონალისტურ შეხედულებებს, ნეიტრალობის, კავკასიური იდენტობის იდეებს, მართლმადიდებლობის უპირატესობის განცდას. ის არ არის რეაქცია ნაციონალური იდენტობის კრიზისზე. ეს ფორმულირება არის ეთნორელიგიური ნაციონალიზმის განახლება, რომელიც უფრო ესადაგება პოპულისტური საფრთხის შექმნის ლოგიკას. ჯერ იქმნება პასუხი საფრთხეზე და შემდეგ იწყება საფრთხის „გამოაშკარავება“ (ამ შემთხვევაში ევროინტეგრაციაა ნაციონალური იდენტობის და ტრადიციული ღირებულებების საფრთხე). რადგანაც პოლიტიკური და საზოგადოების განვითარების გარდამტეხი დროა, ძნელია განსაზღვრო, თუ როგორი ახალი ნომოსი ჩამოყალიბდება ქართულ საზოგადოებაში და როგორი იქნება პოლიტიკური კრიზისის შემდეგ ეკლესიის როლი ნაციონალიზმის, სეკულარიზმის, მოქალაქეობის, პოლიტიკური კულტურის ტრანსფორმაციის ფონზე.

ზოგადად, მართლმადიდებლური კულტურის ქვეყნებში ნაციონალური ეკლესიის არსებობამ, ავტოკეფალური ეკლესიების ტრადიციამ, რელიგიას ნაციონალური შეფერილობა მისცა. თუ შევაჯერებთ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რაც ხელს უწყობს რელიგიისა და ნაციონალიზმის ურთიერთგაძლიერებას, და რაც გარკვეულ დინამიკას ქმნის პოლიტიკაში, ეს არის: რელიგიის როლი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში.[33] კერძოდ, რამდენად იყო რელიგია პრემოდერნული ნაციონალიზმის მარკერი, რომელიც რელიგიური ტექსტებისა და ლიტურგიის ნაციონალურ ენაზე თარგმნით, ქმნიდა საერთოობის განცდას და პრემოდერნულ ნაციონალურ ცნობიერებას.[34] ასეთი გააზრება, საქართველოს შემთხვევაში,

---

[31] ნოდია, გია: „ქართული იდენტობის ევროპულობა ძახილისა და კითხვის ნიშნებს შორის“, სოლიდარობა №4(37), 2010.

[32] ნოდია 2010.

[33] Soper, J. Christopher /Fetzer, Joel S.: (eds.) *Religion and Nationalism in Global Perspective,* (Cambridge Studies in Social Theory, Religion and Politics), Cambridge University Press, 2018, 13.

[34] Hastings, Adrian: *The Construction of Nationhood: Ethnicity, Religion and Nationalism (The Wiles Lectures),* Cambridge Unversity Press, 1997; რელიგიის და ნაციონალიზმის უერთიერთკავშირის კიდევ რამდენიმე ფაქტორს ასახლებენ მკვლევრები. ეს არის რელიგიის საკონსტიტუციო სტატუსი, რამდენად დიდია დემოგრაფიულად ერთი რელიგიის წარმომადგენლობა. ასევე, რელიგიური ველის ერთგვაროვნება ყველაზე მეტად განსაზღვრავს ნაციონალიზმის მჭიდრო კავშირს რელიგიასთან; თანამედროვე სახელმწიფოს ფორმირებაში რელიგიის (ეკლესიის) სოციალური და პოლიტიკური გავლენა და ძალაუფლება. საქართველოს შემთხვევაში, ყველა ჩამოთვლილ ფაქტორს სხვადასხვა მასშტაბით აქვს გავლენა თანამედროვე ნაციონალიზმში რელიგიური სემანტიკის არსებობაში. Sopper/Fetzer 2018, 14.

ნათლად ხსნის, თუ რამდენად ძლიერი რესურსი იყო ქრისტიანობისადმი მიკუთვნებულობა, საერთოობის თუნდაც სუსტი ძაფების შესანარჩუნებლად, მოდერნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე.[35] ასეთ დროს რელიგია კოლექტიურ მეხსიერებაში განაგრძობს არსებობას, მაშინაც კი, თუ ერს არ აქვს პოლიტიკური სუვერენულობა. ხოსე კაზანოვა მიიჩნევს, რომ ის, თუ რამდენად არის დაკავშირებული რელიგია ერის წარსულთან, შესაძლოა განსაზღვრავდეს ეკლესიის და რელიგიის ვიტალურობას თანამედროვეობაში.[36] ის შეიძლება იყოს მეხსიერების ჯაჭვი, რომელიც აერთიანებს წარსულის ცოდნას, ეროვნულ მითებსა და კულტურის სიმბოლოებს.[37] საქართველოს შემთხვევაში, ეს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს რელიგიის, ნაციონალიზმის და პოლიტიკის განსაკუთრებულ ურთიერთმიმართებას.

რაც შეეხება, სეკულარიზაციის პროცესს, მისი მინიმალისტური განსაზღვრებით, როგორც რელიგიის სოციალური ფუნქციის დასუსტება ან ცვლილება, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ის უფრო კომპლექსური პროცესია, ვიდრე დასავლეთ ევროპის საზოგადოებებში.[38] საზოგადოებაში რელიგიის დაბრუნებამ, სათუო გახადა კლასიკური სეკულარიზმის წიაღში არსებული წარმოდგენები, მათ შორის ის აზრიც, რომ სეკულარიზმი მხოლოდ დასავლური საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი,[39] ჯერ ისევ ღია სადისკუსიოდ, მოწინააღმდეგეთა აზრიც, რომ სეკულარიზაციის პროცესს ადრე თუ გვიან გაივლიან პოსტკომუნისტური ქვეყნები.[40] გადასააზრებელია, მათ შორის, სეკულარიზმის და მართლმადიდებლობის თავსებადობის საკითხიც,[41] რადგან მართლმადიდებელი ქვეყენები, მიუხედავად რიგი მსგავსებებისა, რელიგიურ-კულტურული განვითარების განსხვავებულ მოდელებს გვთავაზობენ.

მემარჯვენე პოპულიზმი საერთო გამოწვევა აღმოჩნდა სხვადასხვა რელიგიური კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ისტორიის მქონე, დემოკრატიზაციის და სეკულარიზმის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი საზოგადოებებისთვის. როგორც კას მუდე მიიჩნევს, მემარჯვენე რადიკალიზმის და პოპულიზმის შემთხვევაში, საქმე გვაქვს „ნორმალურ პათოლოგიასთან“, რომელიც მუდმივად არის საზოგადოებაში და კრიზისი მას მხოლოდ ააქტიურებს.[42] „სწრაფად და ფუნდამენტურად ცვალებად საზოგადოებებში, საზოგადოების ნაწილი თავს ცვლილებებისგან „მოგებულად“, ნაწილი კი - „წაგებულად“ აღიქვამს. უკანასკნელნი ბრაზის და იმედგაცრუების გამო მხარს უჭერენ მემარჯვენე პოპულისტურ შეხედულებებს.[43]

მემარჯვენე პოპულისტური პოლიტიკის და რიტორიკის შესწავლისას, საქმე გვაქვს მრავალრიცხოვან და განსხვავებულ თეორიასთან, დეფინიციასა და ტიპოლოგიასთან. ყველა მკვლევარი ცდილობს სხვადასხვა

---

[35] იხ. რატიანი სერგო: „სარწმუნოებით ქართველი“: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება, *ქართველი ერის დაბადება, ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები,* 2009, 28-47.

[36] Casanova, José: Public Religions in the Modern World, Chicago Univeristy Press, 1994; Casanova, José: Chancen und Gefahren öffentlicher Religion. Ost- und Westeuropa im Vergleich. In: Kallscheuer, Ottp (ed.): *Das Europa der Religionen. Ein Kontinent zwischen Säkularisierung und Fundamentalismus,* Frankfurt a. Main, 1996, 181 – 210.

[37] Hervieu-Léger, Danielle: *Religion as a Chain of Memory,* New Brunswick: Rutgers University Press, 2000.

[38] Tomka, Miklós: The Changing Social Role of Religion in Eastern and Central Europe: Religion's Revival and Its Contradictions, *Social Compass* 42/1 (1995), 17–26.

[39] Martin, David: *The Future of Christianity: Reflections on Violence and Democracy, Religion and Secularization*, Aldershot: Ashgate. 2011, Martin, David: „Europa und Amerika. Säkularisierung oder Vervielfältigung der Christenheit – Zwei Ausnahmen und keine Regel“, in: Otto Kallscheuer (ed.) *Europa der Religionen. Ein Kontinent zwischen Säkularisierung und Fundamnetalismus*, (Frankfurt a.M. 1996), 161-180.

[40] Bruse, Steve: *Modernisation and Religion: Sociologists and Historians Discuss the Secularisation Thesis* (Oxford: 1992); Detlef Pollack, „Religiousness Inside and Outside the Church in Selected Post-Communist Countries of Central and Eastern Europe“, *Social Compass* 50:3 (2003): 321–34.

[41] Berger Peter L., „Christianity and Democracy: The Global Picture“, *Journal of Democracy*, April, 15:2 (2004), 76-80.

[42] Mudde, Cas: „The Populist Radical Right: A Pathological Normalcy“. West European Politics. Routledge. 2010; Mudde, Cas: The Populist Radical Right. Introduction to the populist radical right, New York: Routledge, 2017; Mudde, Cas: The populist radical right: a pathological normalcy, *Willy Brandt Series of Working Papers in Migration and Ethnic Relations* 3/07, 2008, 1-19.

[43] Mudde, Cas: The populist radical right: a pathological normalcy, *Willy Brandt Series of Working Papers in Migration and Ethnic Relations* 3/07, 2008, 1-19; იხ. ასევე: Kimmel, Michael: *Angry White Men: American Masculinity at the End of an Era,,* Nation Books, 2015.

პერსპექტივიდან აღწეროს და ახსნას მემარჯვენე პოპულისტური მოძრაობების ახლანდელი აღმავლობის და წარმატების ფენომენი. რაც ამ თეორიებს აერთიანებთ, ეს არის სამი ძირითადი იდეოლოგიური ელემენტი: დემოკრატიასთან მიმართება, ნეიტივიზმი (რასიზმი, ქსენოფობია) და ავტორიტარიზმი. დღეს ეს იდეოლოგიური მახასიათებლები საბოლოოდ განსხვავებული არტიკულაციით და ინტენსივობით ვლინდება პოლიტიკაში. პოლიტიკურ რიტორიკაში ის აერთიანებს ანტიმიგრანტულ, ისლამოფობიურ, ზოგჯერ ანტისემიტურ, ასევე რასისტულ, ანტიფემინისტურ, ანტიურბანულ, ანტიმედია, ანტიპლურალიზმისა და ანტიკლიმატის ენას. მემარჯვენე პოპულისტური დისკურსის წარმოებისას ძირითად იდეოლოგიურ კონტურებს ქმნის ნაციონალიზმი, ნეიტივიზმი, იდენტობის პოლიტიკის კრიტიკა, ხშირად მისი თანაკვეთა ნაციონალიზმთან, რომანტიკული ულტრანაციონალიზმი, ჰომოგენური ერის მითი, ეთნონაციონალიზი, პატრიარქატი და სხვ.[44] ზოგადად, მემარჯვენე პოპულიზმის შედარებით ნორმატიული განსაზღვრება, სამ ცენტრალურ კომპონენტს მოიცავს: ხალხი („ჩვენ“), „სხვები“ და ანტაგონიზმი.[45] „ხალხის“ ცნება, ერისა და სამშობლოს დეფინიციაში ცენტრალურ როლს იკავებს. ეს მთავარი კომპონენტი უპირისპირდება მეორე მნიშვნელოვან ცნებას - „სხვებს“. „სხვები“ შეიძლება იყოს „ელიტები“ (ეკონომიკური, კულტურული ან სხვ.), უმცირესობები (რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და სხვ.), მიგრანტები და ა.შ.[46] ამ კომპონენტების ურთიერთკავშირი საბოლოოდ დაპირისპირებაში, „ჩვენ“ და „სხვების“ მკაცრ, ანტაგონისტურ დიქოტომიაში ვლინდება.[47] ანტაგონიზმი ყველა პოპულისტური პოლიტიკური დისკურსის მახასიათებელია, მიუხედავად სხვა განმასხვავებელი ნიშნებისა, რომლებსაც კონკრეტული კულტურული და ისტორიული ფაქტორები განსაზღვრავს.

წინამდებარე კვლევის შემთხვევაში ვეყრდნობით მიხაელ მინკენბერგის, კას მუდეს და რუთ ვოდაკის ულტრამემარჯვენე დაპირისპირებათა და პოპულიზმის თეორიულ მიდგომებს. მათი პერსპექტივა, კარგად ხსნის საქართველოში გავრცელებული მემარჯვენე პოპულისტური რიტორიკის სტრუქტურულ და კულტურულ ფორმას და მის მსგავსებას სხვა ქვეყნებში არსებულ მემარჯვენე პოპულიზმებთან.

დასაწყისში უნდა აღინიშნოს მემარჯვენე პოპულიზმის გავრცელების „მოთხოვნის“ და „მიწოდების“ მოდელები: „მოთხოვნის“ მოდელი ულტრამემარჯვენე და პოპულისტური იდეოლოგიის გავრცელებას სოციოეკონომიკური ფაქტორებით ხსნის და მას ე.წ. „მოდერნიზაციის გამო წაგებულების თეზისს“ უკავშირებს.[48] ეს მიდგომა აერთიანებს სხვადასხვა ტიპის რადიკალურ ტრანსფორმაციებს, როგორც ასეთი იდეოლოგიების აღზევების მიზეზს, მაგალითად, ომისშემდგომი პერიოდის საზოგადოებაში არსებული ტრანსფორმაციები, რომლებიც ცვლის მოქალაქეთა ეკონომიკურ და სოციალურ სტატუსს, კულტურულ იდენტობას, ბიძგს აძლევს ახალი პარტიების აღმავლობას. ასეთი პარტიებისადმი ამომრჩევლის მხარდაჭერა გაგებულია რეაქციად ზემოთ ნახსენებ სოციალურ და კულტურულ ცვლილებებზე და მათგან მომდინარე შიშებზე.[49] ვოდაკისთვისაც, ზემოთ აღნიშნული მიზეზები, და მათი რეაქცია, „ვინც მოდერნიზაციის მიღმა დარჩა“, ხსნის მემარჯვენე-პოპულისტური პარტიების აღმავლობას.[50] მიწოდების მოდელი, ყურადღებას უფრო პარტიის ლიდერების და პოლიტიკის წარმოების მეთოდებზე ამახვილებს კონკრეტული ელექტორატის მოსაზიდად. აქ შეიძლება გამოვყოთ ორი მიმართულება: პირველი აქცენტს აკეთებს პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურაზე, რომელიც გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული და აძლიერებს ულტრამემარჯვენე პოპულისტური პარტიების გაფართოებას. მეორე მიმართულება

---

[44] Lange, Sarah L. de, and Liza M. Mügge: „Gender and Right-Wing Populism in the Low Countries: Ideological Variations across Parties and Time“, *Patterns of Prejudice,* 49 (1–2), 2015, 61–80; Wodak, Ruth: The Politics of Fear. The Shameless Normalization of Far-Right Discourse, SAGE, 2021; Mounk, Joshua: The People vs Democarcy. Why Our Freedom Is in Danger and How to Save It, Harvard University Press 2018; Minkenberg, Micahel: „The Rise of the Radical Right in Eastern Europe: Between Mainstreaming and Radicalization“, *Georgetown Journal of International Affairs*, Vol. 18, No. 1 (Winter/Spring), 2017, 27-35; Mudde 2010, 2017.

[45] Laclau, Ernesto: *On Populist Reason,* Verso : London, 2005, Mouffe, Chantal: The Democratic Paradox, Verso : London 2000, Taggart (2000).

[46] Laclau 2005, Mudde, Cas: „The Populist Zeitgeist“, *Government and Opposition,* 39, 2004, 541 - 563.

[47] Wodak, Ruth: The Politics of Fear: What Right-Wing Populist. Discourses Mean SAGE, 2015.

[48] Mudde, Cas: Populist Radical Right Parties in Europe, Cambridge University Press, Cambridge 2007.

[49] Inglehart, Roland, Norris, Pippa: „Trump, Brexit, and the Rise of Populism: Economic Have-nots and Cultural Backlash“, *Harvard Kennedy School,* (Working Paper Series), 2016.

[50] Wodak 2015.

კონცენტრირებულია უშუალოდ პარტიაზე, მის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, მმართველობის ბუნებაზე, იდეოლოგიასა და პარტიის დისკურსზე.[51]

პოპულისტური ნარატივების რელიგიური სემანტიკის შესწავლისთვის ვეყრდნობით რუთ ვოდაკის პოლიტიკური დისკურსის ანალიზის მიდგომას და მისეულ მემარჯვენე პოპულიზმის კონცეფციას.[52] ვოდაკი მემარჯვენე პოპულიზმს განიხილავს არა ფიქსირებულ, მყარ იდეოლოგიად, არამედ დისკურსულ პრაქტიკად, რომელიც აყალიბებს იდენტობას, მობილიზაციას უკეთებს შიშს და ხელახლა განსაზღვრავს სოციალურ ნორმებს.[53] საქართველოს შემთხვევის შესწავლისთვის ნიშანდობლივია ვოდაკის მთავარი შეხედულება, რომ მემარჯვენე-პოპულისტური პარტიები და მოძრაობები, სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში, აწარმოებენ „შიშის პოლიტიკას“, რაც მათი წარმატების ერთ-ერთი მიზეზია.[54] პოპულისტური პოლიტიკა საზრდოობს სოციალური შიშებითა და საფრთხის განცდით, იქნება ეს გლობალიზაცია, მიგრაცია თუ ეკონომიკური მოწყვლადობა. ასეთ დროს ადვილად იქმნება საფრთხის მიზეზი „სხვები“ - მუსლიმი, მიგრანტი თუ ევროკავშირის ბიუროკრატია.[55] როგორც ვოდაკი მიიჩნევს, ამავე დისკურსს ახასიათებს მჩაგვრელის და მსხვერპლის შებრუნებით გამოყენება, როდესაც დომინანტური ჯგუფი აცხადებს, რომ თავად არის მსხვერპლი და თავდასხმის ობიექტი, რომ მას ჩაგრავენ უმცირესობები, ან უმცირესობების დამცველი ინსტიტუტები.

თანამედროვე მემარჯვენე პოპულიზმში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ერის და ნაციონალიზმის იდეას, რომელიც მოიაზრებს „ჩვენ“ და „სხვები“ ჯგუფების მკაცრ დაყოფას. სხვადასხვა კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით „სხვები“ შეიძლება იყვნენ მიგრანტები, უმცირესობები, ელიტები და სხვა. ნაციონალურის ეს პერსპექტივა ეფუძნება იდეალიზებულ და მითიურ წარსულს (კულტურულად ჰომოგენურ ერს, მორალურად უფრო სუფთა საზოგადოებას, ვიდრე ის დღეს არის და სხვ.). ხშირად ნაციონალურის ასეთ გაგებას თან ახლავს ნოსტალგია და კულტურული დაღმასვლის, „ავთენტური კულტურის“ გაქრობის შიში. მინკენბერგი მიიჩნევს, რომ მემარჯვენე პოპულისტური პარტიები ევროპაში წარსულის რევიზიონისტულ კონცეფციას იყენებენ, აღმოსავლეთ ევროპის პოპულისტური პარტიები უფრო ძლიერად ეყრდნობიან ავტორიტარული მმართველობის დროინდელი წარსულის კონცეპტს და უმცირესობების საკითხს.[56] ნაციონალური იდენტობის საკითხი უმნიშვნელოვანესია მემარჯვენე პოპულისტურ პარტიებში. ის აცოცხლებს და ლეგიტიმაციას აძლევს დღევანდელ სახელმწიფოს „სუფთა სისხლის“ ეროვნულობის და მითების გაცოცხლებით. ასეთი პარტიების უმეტესობა იწყებს ისტორიის გადაწერას, რათა ლეგიტიმაცია შესძინოს თანამედროვეობაში მის პოლიტიკურ დღის წესრიგს. პოპულისტურ ნაციონალურ ნარატივებში რელიგია გარკვეულ როლს ასრულებს, იმის მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ რელიგიის კავშირი ნაციონალიზმთან და თანამედროვე პოლიტიკასთან. უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის პოპულისტურ დისკურსში ქრისტიანობას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. ორბანის შემთხვევაში, პოლიტიკაში რელიგიის მოხმობა გამოყენებულია ექსკლუზიური ნაციონალური იდენტობის და პოლიტიკური ჰეგემონიის შესაქმნელად.[57] მთავრობის ლეგიტიმაციისთვის პარტიებმა - „ფიდესი“ და „იობიკი“ - ქრისტიანობის რეინტერპრეტაცია მოახდინეს ნაციონალისტური პრიზმიდან.[58] მოლდოვის შემთხვევაში, რელიგია და ტრადიციული ღირებულებები ერთმანეთს პოპულისტური მობილიზაციისთვის დაუკავშირდა.[59] მოლდოვაში პოლიტიკური პარტიები რელიგიურ თემებსა და ენას ამომრჩეველთა გულის მოსაგებად 2019 და 2020 წლის ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში იყენებდნენ.[60] პოლონეთში

---

[51] Mudde 2007.

[52] Wodak, Ruth: The Discourse of Politics in Action ‘Politics as Usual, 2nd rev. Ed., Basingstoke: Palgrave, 2011; Wodalk 2015.

[53] Wodak 2015.

[54] იგივე.

[55] Wodak 2021.

[56] Minkenberg, Michael: The Radical Right in Postsocialist Central and Eastern Europe: Comparative Observations and Interpretations, *East European Politics and Societies and Cultures,* 16(2), May, 2002, 335-362.

[57] Lamour Christian: „Orbán Urbi et Orbi: Christianity as a Nodal Point of Radical-right Populism“, *Politics and Religion*, 15(2), 2022, 317-343.

[58] Ádám, Zoltán/Bozóki, Andaras: State and Faith: Right-wing Populism and Nationalized Religion in Hungary. *Intersections. East European Journal of Society and Politics*. 2, 1, April, 2016, 98-122.

[59] Gohlke, Lisa: The Role of Religion in Moldovan Populist Mobilization Strategies: A Competition between Traditional and Religious Values? Problems of Post-Communism, 71(1), 2022, 71–83.

[60] Gohlke 2022.

ვხვდებით კათოლიკური ეკლესიის და მემარჯვენე პოპულისტური მოძრაობების ალიანსს, რაც ერთგვარ რელიგიურ-იდეოლოგიურ ჩარჩოს ქმნის. რელიგიური ნარატივები გამოიყენება ანტიპლურალისტური სენტიმენტების გასაძლიერებლად, რაც უარყოფითად მოქმედებს დემოკრატიზაციის პროცესზე.[61] პოლონეთი და უნგრეთი დემოკრატიის უკუსვლის განსაკუთრებული მაგალითია და წარმოშობს ბევრ კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიქმნა ორი წარმატებული დემოკრატიული ტრანსფორმაციის მაგალითი ქვეყანა პოპულისტურ და ავტორიტარიზმისკენ გადახრილ რეჟიმებად.[62]

მემარჯვენე პოპულიზმი, როგორც დემოკრატიის საფრთხე, და მისი „მიმზიდველობა" ავტორიტარული რეჟიმების ჩამოსაყალიბებლად, მემარჯვენე პოპულიზმის კიდევ ერთი განზომილებაა.[63] როგორც აპელბაუმი აღნიშნავს, სუსტდება ლიბერალური დემოკრატიები და ძლიერდება მემარჯვენე პოპულიზმი.[64] გარდა ამერიკისა და ესპანეთისა, ავტორი აანალიზებს უნგრეთის და პოლონეთის მაგალითსაც და აჩვენებს, როგორ უწყობენ ხელს „ინტელექტუალური კლერიკოსები", ანუ ელიტები პოპულისტურ ავტორიტარიზმს. საგულისხმოა, რომ ავტორიტარიზმისკენ გადახრა ნელ-ნელა მიმდინარეობს, ხშირად საკონონმდებლო გზით, სასამართლოს, მედიის და სხვა ინსტიტუტების მიტაცებით.[65] დემოკრატიის ეროზიის კოლექტიური გაცნობიერება ხდება მაშინ, როდესაც ავტორიტარიზმი უკვე თავის ძლიერ ფაზაშია, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში ხდება. ამრიგად, მემარჯვენე პოპულიზმი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დემოკრატიის უკუსვლისა და ავტორიტარიზმის ნორმალიზებისთვის აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში.

პოლიტიკური დისკურსის შესწავლისთვის, ვოდაკი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინტერდისციპლინურ მიდგომას, დისკურსული, სოციალური და პოლიტიკური პრაქტიკების კონტექსტზე დაფუძნებულ ანალიზს.[66] ვოდაკის მეთოდი არის დისკურსულ-ისტორიული მიდგომა (DHA), რომელიც აერთიანებს ლინგვისტურ ანალიზს, მის ისტორიულ, სოციოპოლიტიკურ, კულტურულ კონტექსტთან კომბინაციაში. ამიტომ კონტექსტუალიზაციისთვის ნაშრომში წარმოდგენილია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის მოკლე ანალიზი, ასევე აღნიშნულია ის მოვლენები, რომელთა გათვალისწინებაც გვჭირდება პოლიტიკური აქტორების სიტყვების ინტერპრეტაციისთვის. ნაშრომში შევისწავლეთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის, პარლამენტის თავმჯდომარის - შალვა პაპუაშვილისა და მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის - ბიძინა ივანიშვილის განცხადებები. საეკლესიო ნარატივის პოლიტიკური სემანტიკისთვის კი - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ოფიციალური განცხადებები, საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები, ასევე მაღალი იერარქიის სასულიერო პირების (მთავარეპისკოპოსების) ოფიციალური განცხადებები მედიასა და სოციალურ ქსელებში. კვლევის პერიოდი მოიცავდა 2024 წლის 7 იანვრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრამდე პერიოდს. კვლევაში ვრცლად შემოგთავაზებთ იმ ტექსტების ანალიზს, რომლებიც საკვანძო იყო და დისკურსულ ქმედებას ყველაზე უკეთ აჩვენებდა.

პოლიტიკის და რელიგიის ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლები პოსტსაბჭოთა საქართველოში

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მემკვიდრეობით მოჰყვა საბჭოთა სეკულარიზმის გამოცდილება, რეპრესიების დავიწყებული მეხსიერებითა და სახელმწიფოსთან კოლაბორაციის და სახელმწიფოს მიერ კონტროლის გამოცდილებით. ამ გვიანი საბჭოთა ეკლესიის იდენტობის ნაწილია 80-იან წლებში რელიგიური გამოღვიძება და რელიგიისადმი ინტერესის გაზრდა. ამ წინაპირობებთან ერთად, ეკლესიის ახალი იმიჯის და ავტორიტეტის შექმნას ხელი შეუწყო ქრისტიანობის

[61] Chrostowski, Mariusz: „Unholy Alliance": Identification and prevention of ideological and religious frames between right-wing populism and christianity in Poland. *Z Religion Ges Polit* **7**, 2023, 321–348.
[62] Bernhard, Michael: „Democratic Backsliding in Poland and Hungary", *Slavic Review*, 80(3):585-607, 2021.
[63] Applebaum, Anne: *Twilight of Democracy: The Seductive Lure of Authoritarianism*, Doubleday, 2020.
[64] Applebaum 2020.
[65] იგივე.
[66] Bevelander, Pieter/Wodak, Ruth(eds.): *Europe at the Crossroads: Confronting Populist, Nationalist, and Global Challenges*, Nordic Academic Press, 2020; Wodak, Rut /Majid KhosraviNik; Brigitte Mral (eds.), *Right-Wing Populism in Europe: Politics and Discourse*, London, 2013, Wodak, Ruth: The Discourse of Politics in Action: Politics as Usual, Springer, 2009.

კავშირმა ქართულ კულტურასა და ისტორიასთან, რელიგიური და ნაციონალური იდენტობის გადაჯაჭვულობამ.[67]

ახალ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაში სმე „ყველაზე წარმატებული“ აღმოჩნდა იდეოლოგიის, ღირებულებების, პოლიტიკური ძალაუფლებისა და ფინანსური კაპიტალისთვის კონკურენციაში.[68] წლების განმავლობაში სმე და პატრიარქი საზოგადოებაში ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობდნენ.[69] 90-იან წლებში ეკლესიას ჯერ არ ჰქონდა ის ავტორიტეტი და სტატუსი, რომელიც მან მოგვიანებით შეიძინა. პატრიარქის აზრი რომ მონოლითური და უკრიტიკოდ გაზიარებული არ ყოფილა საზოგადოებაში, ჩანს 9 აპრილიდანაც, როდესაც პატრიარქის მიმართვა (გადასულიყვნენ ქაშუეთის ეკლესიის ეზოში და იქ ერთად ელოცათ) ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა და დემონსტრანტებმა არ მიიღეს და ტრაგიკულ ღამეს მთავრობის სასახლის წინ დარჩნენ. არც პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დროს ჰქონდათ ეკლესიას და სასულიერო პირებს ფართო გავლენა საზოგადოებრივ სფეროებზე. ამ დროს ეკლესიას ჯერ კიდევ მოჰყვებოდა საბჭოთა რელიგიის პოლიტიკის, ათეისტური იდეოლოგიის მემკვიდრეობა და კოლაბორაციონიზმის ცოცხალი მეხსიერება. სახელმწიფოს და ეკლესიის ალიანსის ის მოდელი, რომელიც დღემდე გრძელდება, სათავეს იღებს ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან (1992-2003). ამ დროს იწყება პრეზიდენტის და პატრიარქის არაფორმალური და თან პოლიტიკურად გაფორმებული „დაახლოება“. ეს კავშირი ორივე მხარისთვის საკუთარი ძალაუფლების გამყარების საშუალება იყო. სამოქალაქო ომის, პოლიტიკური და სოციალური კრიზისის პერიოდში ეკლესია იყო ხალხის თვალში „არასანდო პოლიტიკური სივრცის“, ახალი პოლიტიკური სისტემის, ალტერნატივა. ამ წლებში საფუძველი ეყრება ურთიერთობის ისეთ ფორმას, როდესაც პატრიარქი და ეკლესია „ზეპოლიტიკურია“ და, ამავე დროს, პოლიტიკურ სივრცეში რჩება მნიშვნელოვან აქტორად. პოლიტიკური კრიზისის დროს პატრიარქი ხელისუფლების, კერძოდ, შევარდნაძის გვერდით იდგა.[70] ეკლესიის გარეშე არ იმართება არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ღონისძიება: კონსტიტუციაზე ხელის მოწერა, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანის საზეიმო გახსნა და ა.შ. პატრიარქი მნიშვნელოვანი „პოლიტიკური რიტუალების“ აღმსრულებელია: იქნება ეს შევარდნაძის, ყოფილი საბჭოთა მაღალჩინოსნის ნათლობა სვეტიცხოველში თუ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში პრეზიდენტის ფიცის დადება. სამართლებრივად ეს სიახლოვე 2002 წელს, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გაფორმდა. კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, კიდევ უფრო გამყარდა სმე-ს განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსი, რაც საჯარო დისკუსიებში ხშირად გამოიყენებოდა მის მიმართ სხვადასხვა პრივილეგიის გასამართლებელ არგუმენტად.[71] შეთანხმების მუხლები კონტროვერსულია. მაგალითად,

---

[67] 2017 წლის მიხედვით, რესპონდენტთა 81% რელიგიას მიიჩნევს ნაციონალური იდენტობის მნიშვნელოვან ფაქტორად (Pew Research Center 2018); თათია კეკელია, ელენე გავაშელიშვილი, ირინა სულხანიშვილი, კოტე ლადარია: მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა/კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი (ACSN), 2013.

[68] გამოკითხვების მიხედვით, რესპონდენტების 81% საკუთარ თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, ხოლო 18-35 წლის ასაკობრივ ჯგუფში 56% ეკლესიაში თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად დადის (კავკასიის ბარომეტრი, 2013). სხვა გამოკითხვის თანახმად, 73%-ს სწამს ღმერთის. რესპონდენტების 81% რელიგიას ეროვნული იდენტობის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად მიიჩნევს (Pew-Research 2018).

[69]კვლევები აჩვენებს, რომ სმე საზოგადოებრივ ინსტიტუტებში ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს (86%), ხოლო პატრიარქი ყველაზე მეტი ნდობით აღსავსე საზოგადოებრივი პირია (90%). „Public attitudes towards elections in Georgia: Results of an April 2010“, National Democracy Institute (NDI) http://www.ndi.org/files/Georgia_Public_Opinion_0410.pdf

[70]Fuchslocher, Eva: Vaterland, Sprache, Glaube. Orthodoxie und Nationenbildung am Beispiel Georgiens, Stuttgart, 2010, 158; Zviadadze, Sophie: Religion und Politik in Georgien. Die Beziehungen von Staat und Kirche und die Säkularisierungsproblematik im postkommunistischen Georgien, Hamburg, 2014, 70.

[71]კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626; საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის დადგენილების თანახმად[10], მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს სასულიერო იერარქებსა და საპატრიარქოს ადმინისტრაციის თანამდებობის პირებს აქვთ დიპლომატიური პასპორტის მიღებისა და გამოყენების უფლება[11].

დღემდე ცხარე დისკუსიის საგანია ეკლესიის დაფინანსების მოდელი და პრაქტიკა, რომელიც კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში) ეკლესიისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ. თუმცა, იმის გამო, რომ ასევე კონსტიტუციური შეთანხმების მოთხოვნის შესაბამისად (მე-11 მუხლის მეორე პუნქტი) ზარალი არასდროს დათვლილა და შეფასებულა,[72] ეკლესიის დაფინანსებამ მისი პირდაპირი დაფინანსებისა და სუბსიდირების არადემოკრატიული ფორმა მიიღო. ცხადია, რომ დაფინანსების არსებული პრაქტიკა ხელისუფლებების ხელში ეკლესიის ნდობისა და იმიჯის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების იარაღი გახდა.[73]

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდა. ახალი პოლიტიკური გუნდი მიზნად ისახავდა მოდერნული ერი-სახელმწიფოს მშენებლობას, სადაც სახელმწიფო სეკულარულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა აგებულიყო. ახალ პოლიტიკურ გარემოში ეკლესიამ პირველად იგრძნო „მოდერნიზაციის ეფექტი“. 2004-2007 წლებში ლატენტურად არსებობდა ერთგვარი დაძაბულობა ეკლესიას და სახელმწიფოს შორის. თუმცა ამ პერიოდში ეკლესიამ მაინც შეინარჩუნა საკუთარი ძალაუფლება, გავლენები და უფრო მეტიც, იმდროინდელი ხელისუფლებისთვის მწვავე პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, 2007-2008 წლის შემდეგ, ის კიდევ უფრო გავლენიან პოლიტიკურ მოთამაშედ იქცა. ამ დროს სულ უფრო მეტად ხდება ეკლესიის დისკურსი ნაციონალისტური და თვითიდენტიფიკაცია ყოველივე „ნაციონალურთან“.[74] ეს ქმნიდა გარკვეულ კონტრასტს ლიბერალური ელიტის, მართალია, არასრულყოფილ, მაგრამ ხალხის თვალში სეკულარულ იმიჯთან. რელიგიის პოლიტიკის ახალი ეტაპის გამოხატულება იყო, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევის შემდეგ, ფიცის დადება ბაგრატის ტაძარში. 2004 წელს, გელათში, დავით აღმაშენებლის საფლავთან დადებული ფიცისგან განსხვავებით, რომელიც ახალ რეფორმებზე, ახალი ქვეყნის მშენებლობაზე აცხადებდა პრეტენზიას, 2008 წლის ცერემონიის შინაარსი და ქვეტექსტი განსხვავებული იყო. მთავარი აქცენტები კეთებოდა ხალხზე, სიღარიბეზე, ოჯახების კეთილდღეობაზე და, რაც მთავარია, ფიცის დადება დასრულდა დაპირებით, რომ მისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში ბაგრატის ტაძარი აღდგებოდა.[75] ეს ორსახოვნება, სეკულარიზმის და ეკლესიის მხარდაჭერის, კრიზისულ დროში

---

[72] მათ შორის არის: სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, ასევე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული (მუხლი 7.1); სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 183; 12.04.90) (მუხლი 11.1). სწორედ ეს მუხლია პოლემიკის საგანი, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს კომისია და, შესაბამისად, არ არის შეფასებული ზარალი, რომელიც მიადგა მართმადიდებლურ ეკლესიას. გარდა ამისა, საბჭოთა პერიოდში დევნა და დისკრიმინაცია ეხებოდა ყველა რელიგიურ გაერთიანებას.

[73] სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების შესახებ იხ. ე. ჭითანავა/გ. ნონიაშვილი: ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პრაქტიკა (2013 და 2014 წლის დასაწყისის მდგომარეობისა და ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკის მიმოხილვა), *სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC) და ტოლერანტობის და მულტიკულტურალიზმის ცენტრი (TDI),* თბილისი, 2014; „რელიგიების დაფინანსება“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2025; რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა 2014-2015 წლების პრაქტიკის ანალიზი, *სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC) და ტოლერანტობის და მულტიკულტურალიზმის ცენტრი (TDI), თბილისი,* 2016 https://cutt.ly/YrmjxXp0

[74] Serrano, Silvia: De-secularizing national space in Georgia, *Identity Studies*, Revue der Ilia State University, Vol. 2, Tbilisi, 2010, 37-58, Metreveli, Tornike: An undisclosed story of roses: church, state, and nation in contemporary Georgia, Nationalities Papers, 2016, 44, 5, 694-712.

[75] „მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციაზე, 20 იანვარი, 2008 წელი“, https://old.civil.ge/geo/article.php?id=17342,

“ჩვენ ვამთავრებთ ცერემონიას და ვიწყებთ საქართველოს აღმშენებლობას. როგორც სიმბოლოს ჩვენი აღმშენებლობისა და სიძლიერის, ვდებთ პირობას, რომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და მეურვეობით, ასევე, საუკეთესო სპეციალისტების მეშვეობით, უახლოეს კვირეებში დაიწყება ბაგრატის ტაძრის

გარდაიქმნებოდა ისეთი ფორმის ეკლესიასთან სიახლოვედ, რომელიც საჯაროდ და სიმბოლურად არადამაჯერებელი იყო, მაგრამ უზრუნველყოფდა ეკლესიის ნეიტრალურ პოზიციას. ამ ყოველივეს კი ზურგს უმაგრებდა 2008 წლს შემდეგ გაზრდილი ეკლესიის დაფინანსება.[76]

სამთავრობო და ოპოზიციური პარტიებისთვის ერთნაირად სასურველი სტრატეგია იყო პატრიარქთან და ეკლესიასთან სიახლოვის დემონსტრირება. პოლიტიკური კრიზისის პერიოდში, სახელმწიფომ გაზარდა საპატრიარქოს დაფინანსება ბიუჯეტიდან, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან, ასევე გაზარდა მისთვის უძრავი ქონების გადაცემა.[77] ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის პრაქტიკა გაგრძელდა 2012 წლის შემდეგაც, როცა ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა.[78] 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაღალი იყო სასულიერო პირების ჩართულობა.[79] მაღალი სასულიერო იერარქები ღიად მოუწოდებდნენ საკუთარ მრევლს მხარი დაეჭირათ მათი ფავორიტი პარტიისთვის. იმ დროისთვის ოპოზიციური პარტიისგან, „ქართული ოცნებისგან“, ეკლესია უფრო მეტ პრივილეგიასა და „ეროვნულობას“ ელოდა, რის გამოც აშკარად საგრძნობი იყო სასულიერო პირების მხარდაჭერა ახალი კოალიციის მიმართ. მართალია, სმე ოფიციალურად ემიჯნება რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან კავშირს, მაგრამ სმე-ს ამა თუ იმ პარტიის მიმართ ირიბი დისკურსული და სიმბოლური მხარდაჭერა ყოველთვის თვალნათელია. როგორც წესი, ეკლესია სამთავრობო კანდიდატს უჭერს მხარს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს სახელმწიფოს მეტ ძალაუფლებას ეკლესიაზე. როგორც წესი, ეს ნიშნავს ლოიალობის სანაცვლოდ სახელმწიფოსგან გარკვეული პრივილეგიების და აღიარების მიღებას. ურთიერთსარგებლობით შეფერილ თანამშრომლობაში ხელისუფლებებს მუდმივად უწევდათ მოლაპარაკებებზე წასვლა საპატრიარქოსთან.

სხვადასხვა წლებში ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობაში „დისონანსი შეიტანა“ რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივამ, რასაც ეკლესია საკუთარი ინსტიტუციური და მორალური მონოპოლიის დაკარგვის საფრთხედ აღიქვამდა. პირველი იყო 2011 წელს სამოქალაქო კოდექსში შესწორებების შეტანა, რომელიც სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს აძლევდა შესაძლებლობას, ასევე დარეგისტრირებულიყვნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, და რომელმაც რელიგიური ორგანიზაციებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირისა (სსიპ) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) სტატუსები ერთმანეთს გაუთანაბრა. მეორე ასეთი შემთხვევა იყო 2014 წელს, როდესაც პარლამენტმა სასულიერო პირების და მრევლის ნაწილის პროტესტის ფონზე მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. საპატრიარქო აქტიურად მონაწილეობდა კანონის განხილვისა და მიღების პროცესში, რამაც გავლენა მოახდინა კანონის საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბებაზე.[80] როგორც წესი, ეკლესიის პოზიცია ქმნის არა მარტო საზოგადოებრივ განწყობას, არამედ ზემოქმედებს გადაწყვეტილების შინაარსსა და შედეგზეც. მისი არგუმენტები, როგორც წესი, ეფუძნება არა რელიგიური ტიპის არგუმენტებს, არამედ ნაციონალური და ტრადიციული ღირებულებების დაცვის მოტივს. ამის კარგი მაგალითია 2013 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე მუშაობის პროცესი, როდესაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა, რომ კანონპროექტი საქართველოს დანაწევრების საფრთხეს ქმნიდა და ეკლესია ამ ფაქტს არ შეეგუებოდა. ამის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები კონსულტაციების გასამართად საპატრიარქოში მივიდნენ. საბოლოოდ, კოდექსმა საპატრიარქოსთვის მისაღები ფორმა მიიღო.[81]

აღდგენითი სამუშაოები“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და ხელმოწერით დაადასტურა პირობა ბაგრატის ტაძარში, „საქართველოს საპატრიარქო: მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის მეორე ვადაში ბაგრატის ტაძრის აღდგენის პირობა დადო, 21.01.2008, https://patriarchate.ge/news/610

[76] TDI /SJC 2014, 2016.

[77] იხ. ჭითანავა/ნონიაშვილი, 2014.

[78] TDI/SJC 2014, 2016, ვრცლად იხ. „რელიგიების დაფინანსება“, *სოციალური სამართლიანობის ცენტრი*, 2025.

[79] მარგველაშვილი, ქრისტინე: მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა: პოლიტიკური პროცესები და არჩევნები საქართველოში, ღამბაშიძე, ნინო (რედ.): *რელიგია, საზოგადოება და პოლიტიკა საქართველოში,* თბილისი, 2016, 4-14, 11.

[80] „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა საქართველოში“ TDI, https://www.tdi.ge/ge/page/saxelmciposa-da-eklesiis-urtiertgamijvnis-problema-sakartveloshi

[81] „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრობლემა საქართველოში“ TDI, https://www.tdi.ge/ge/page/saxelmciposa-da-eklesiis-urtiertgamijvnis-problema-sakartveloshi

2012 წელს, პოლიტიკური რეჟიმის ცვლილების შემდეგ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოვლენამ მისცა დინამიკა და განსაზღვრა დღევანდელი მდგომარეობა. ქრონოლოგიურად ეს არის 2013 წლის 17 მაისი, როგორც გარდამავალი პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენა, სადაც გაერთიანებულია პოსტსაბჭოთა საქართველოში ეკლესიის დომინანტურობის მრავალი ასპექტი; 2014 წელს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნა; სასკოლო საგნის - „მე და საზოგადოება"-ს სტანდარტის ირგვლივ განვითარებული დებატები, სადაც ეკლესიასთან ერთად ფიგურირებს ლევან ვასაძე და ულტრამემარჯვენე ჯგუფები, 2017 წელს პატრიარქის მოსაყდრედ შიო მუჯირის დანიშვნა, საპატრიარქოს პროტესტი მარიხუანის მოყვანის კანონპროექტის მიღებაზე („სანთლების რევოლუცია")[82]; გიორგი მამალაძის საქმე („მაღალი იერარქიის სასულიერო პირის" მკვლელობის სავარაუდო მომზადების შესახებ),[83] ე.წ. კრებსების საქმე (2021), კოვიდ-პანდემიის დროს, უფრო კონკრეტულად კი, საგანგებო მდგომარეობის დროს, სმე-ის პრივილეგირებული სტატუსი.[84]

აქ მხოლოდ რამდენიმე მოვლენაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში გარდამტეხი ეტაპი ან ასეთი ცვლილების პირველი ნიშანია.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში და უფრო ფართოდ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, მრავალმნიშვნელოვანი თარიღია 2013 წლის 17 მაისი, რომელიც გახდა კლერიკალური წრეების მიერ საჯარო სივრცის მონოპოლიზაციის მცდელობის ყველაზე მძიმე თარიღი. იმავე პერიოდიდან იწყება, ანტიგენდერული თემატიკის გაზრდა საეკლესიო დისკურსში და „შიშის გენერალიზება", ლგბტ-თემის, როგორც ქართული იდენტობისთვის საფრთხის, უფრო აქტიური წარმოება და გავრცელება. 2013 წლის 17 მაისს დაახლოებით 20-მდე სამოქალაქო აქტივისტმა დააანონსა, რომ აპირებდნენ ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის (აიდაჰო) აღნიშვნას. ამას მოჰყვა მოწინააღმდეგეთა მასშტაბური კონტრაქცია, რომელშიც მრავლად იყვნენ მართლმადიდებელი სასულიერო პირები. ერთი დღით ადრე, 16 მაისს პატრიარქმა ხელისუფლებას მიმართა, რომ „გააუქმოს ჰომოსექსუალებისათვის მიცემული ნებართვა დემონსტრაციისა".[85]

ამ პერიოდში ეკლესია მიჰყვება ტაქტიკას, რომელსაც ამბივალენტობის პოლიტიკა შეიძლება ვუწოდოთ. ეს არის, ერთი მხრივ, უკმაყოფილების საჯარო დემონსტრირება, რომელსაც გავლენა აქვს რელიგიურ ადამიანებზე და, მეორე მხრივ, ძალადობისგან და რადიკალიზმისგან გამიჯვნა.[86] ასეთი მიდგომა წლების განმავლობაში არსებობდა რელიგიური ფუნდამენტალისტური ჯგუფების, ან ასეთი სასულიერო პირების მიმართ. კონკრეტულ რადიკალურ შემთხვევას საპატრიარქო ემიჯნებოდა, მაგრამ ისინი ირიბად

---

[82] „საპატრიარქო: აუცილებელია, ნარკოპოლიტიკის შესახებ ახალი კანონპროექტის განხილვა შეჩერდეს", *ნეტგაზეთი,* 18.01.2018, https://netgazeti.ge/news/245388/; „ეკლესიის პროტესტის შემდეგ ქართული ოცნება მარიხუანის მოყვანის შესახებ კანონპროექტზე უკან იხევს", Civil Georgia, 18.09.2018.

[83] „პროკურატურამ 'მაღალი სასულიერო იერარქის' მკვლელობის მზადების ეჭვით დეკანოზი დააკავა", 13.02.2017, Civil Georgia, https://old.civil.ge/geo/article.php?id=31027

[84] კორონა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული პანდემიის დროს, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობით შეიზღუდა გარკვეული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, შეკრების თავისუფლება. 2020 წლის 17-დან 27 აპრილამდე მოსახლეობის მაღალი მობილობის რისკის გამო აკრძალული იყო ავტომობილით გადაადგილებაც. თუმცა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებს, მგალობლებსა და სტიქაროსნებს შეეძლოთ ავტომობილით გადაადგილება. სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის მთავრობას ამგვარი შეღავათი არ დაუწესებია. მსგავსი დისკრიმინაციული მიდგომა განმეორდა 25 დეკემბერს, როდესაც ქრიტიანული ეკლესიების ნაწილი შობის დღესასწაულს აღნიშნავდა, და 2021 წლის აღდგომის დღესასწაულზე. სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციას მოუწია შეეცვალა დღესასწაულის აღნიშვნის საათი, ფორმატი. მაგალითად, ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიაში საშობაო მსახურების შემდეგ მრევლი დილამდე ტაძარში დარჩა და იქ დაელოდა კომენდანტის საათის დასრულებას. მაშინ როდესაც გადაადგილების შეზღუდვა 7 იანვარს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მთავრობამ გააუქმა. მართლმადიდებელ მრევლს სადღესასწაულო წირვაზე დასასწრებად არავითარი დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ დაკისრებია. არადომინანტურ რელიგიურ ორგანიზაციებს ერთჯერადი „საშობაო საშვის" მისაღებად უნდა მიემართათ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთვის და ამისთვის მრევლის და მღვდელმსახურთა სიები წარედგინათ.

[85] „პატრიარქი ხელისუფლებისგან 17 მაისის აქციის ნებართვის გაუქმებას ითხოვს", *ნეტგაზეთი,* 16.05.2013.

[8686] იხ. თარხნიშვილი, ნინო: ორი 17 მაისი, *რადიო თავისუფლება,* 15.05.2018, https://tinyurl.com/yc26wvrc

წახალისებულნი და მხარდაჭერილნი იყვნენ ეკლესიის მხრიდან.[87] ამ მიდგომის ცვლილებას ვხედავთ უკვე 2021 წელს, როდესაც ეკლესია უბრალოდ კი არ ეხმიანება აქციას, არამედ ოფიციალურად „აორგანიზებს“ კონტრაქციას, და მთელი საქართველოდან იწვევს მრევლს თბილისში.[88]

თუ საჯარო სივრცეში ანტიგენდერული დისკურსის გავრცელებისთვის ბრძოლა 2013 წლის 17 მაისია, ეკლესიის შიგნით, ახალ დისკურსულ ხაზზე მიანიშნებდა 2014 წლის საშობაო ეპისტოლე. 2014 წლის საშობაო ეპისტოლეში ვკითხულობთ, რომ „თანამედროვე პოსტმოდერნისტული ეპოქა გამორჩეულია მეგა-გამოწვევებით [...] „ტაბუ უნდა აეხსნას ყველაფერს! უნდა განვდევნოთ წარსულის ზნეობრივი შეზღუდვები, ყველაფერი კარგია, რაც მე მინდა და მსიამოვნებს! ოღონდ შეფასებებისას ერთი აუცილებელი წესი უნდა იქნეს დაცული, - სხვისი, განსაკუთრებით უმცირესობის, უფლებები არ უნდა დაირღვეს! ეს კანონია“. ამგვარი კრიტიკა, უცხო არ არის პოსტმოდერნიზმის ან სიამოვნების საზოგადოების (Spaßgesellschaft) და მომხმარებლური საზოგადოების სეკულარული კრიტიკისთვის. საქმე ის არის, რომ ეს მსჯელობა სხვა მიზანს ატარებს. ის მიემართება „უმცირესობების უფლებებს“, რომელიც ეპისტოლეში არ არის დაკონკრეტებული, მაგრამ მასში გაისმის 2013 წლის 17 მაისის ექო.[89] 2014 წელს სმე-მ 17 მაისი „ოჯახის სიწმინდის დღედ“ გამოაცხადა.

ანტიგენდერული რიტორიკის და რელიგიურ ველზე სმე-ის დომინაციის საინტერესო ასპექტია 2013 წლის 17 მაისს საპატრიარქოს პრესსამსახურის განცხადება, რომელსაც სმე-ის გარდა, საქართველოში მოქმედი კიდევ 8 რელიგიური გაერთიანება აწერდა ხელს. ხელმომწერი რელიგიური გაერთიანებები მოუწოდებდნენ 17 მაისის აქციის მონაწილეებს, როგორც მომხრეებს, ისე მოწინააღმდეგეებს, თავი შეეკავებინათ სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებისა და პროპაგანდისაგან.[90]

რელიგიურ ორგანიზაციებს კონსერვატიული შეხედულება აქვთ, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია, რომ განცხადების ინიციატორი და მთავარი ხმა, არის მართლმადიდებელი ეკლესია, ხოლო სხვა რელიგიური გაერთიანებები, მსგავსად სახელმწიფოსი, ცდილობენ ხოლმე კარგი ურთიერთობა შეინარჩუნონ მასთან. პრობლემურია არა კეთილგანწყობის შენარჩუნება, არამედ ის, რომ ეს არ არის ურთიერთობა თანასწორთა შორის. ამ ველში, კერძოდ საქართველოში არსებულ რელიგიურ ორგანიზებთან ურთიერთბაში, 2014 წლიდან შემოდის ახალი აქტორი, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში სააგენტო), რომელიც ზოგადად რელიგიის პოლიტიკაში სახელმწიფო კონტროლის ფორმალურად გაძლიერების პირველი ნიშანია. 2014 წელს სააგენტოს შექმნამ ბევრს გაახსენა საბჭოთა კავშირში არსებული რელიგიის საქმეთა საბჭო. მათი მანდატი და ოფიციალური ფუნქცია უკიდურესად ჰგავდა ერთმანეთს (შუამავლის როლი მთავრობასა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, საკულტო ნაგებობების მშენებლობის საკითხი და სხვ.). მოგვიანებით, გამოჩნდა, რომ სააგენტო არაოფიციალური მანდატითაც ჰგავს საბჭოთა კავშირის დროინდელ რელიგიის საბჭოს. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აკრიტიკებენ სააგენტოს საქმიანობას, რადგან, მათი შეფასებით, ის რეალურად რელიგიური უმცირესობების მაკონტროლებელი ორგანოა.[91] 2014 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება რელიგიური გაერთიანებებისათვის

---

[87] ძალადობრივ ქმედებაში მონაწილე სასულიერო პირები არასოდეს დასჯილან საეკლესიო სამართლით ან სინოდის რაიმე გადაწყვეტილებით. მღვდელი დავით ისაკაძე, რომელიც გამოირჩევა რელიგიური ფუნდამენტალისტური შეხედულებებით და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით, 2010 წელს პატრიარქმა მიტრის ტარების და დამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. „დაჯილდოებული მამა დავით ისაკაძე, „ნეტგაზეთი, 11.05.2010, https://netgazeti.ge/news/6363/

[88] „5 ივლისს შევიკრიბოთ და მსოფლიოს ვაჩვენოთ, რომ ჩვენს ღირსებას ვიცავთ – საპატრიარქო“, *Reginfo*, 3.07.2021, https://reginfo.ge/people/item/22761-5-ivliss-shevikribot-da-msoplios-vachvenot,-rom-chvens-girsebas-vizavt-%E2%80%93-sapatriarqo

[89] ამავე ეპისტოლეში საუბარია „ფსევდოლიბერალური „არჩევანის თავისუფლებაზე“, ქრისტიანული ოჯახის, ქალის დანიშნულებაზე. საშობაო ეპისტოლეში ასევე იყო გამოთქმული პოზიცია, რომ სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვის ოჯახი არ შეიძლება იყოს ბედნიერი და ასევე პრობლემურნი იქნებიან ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვებიც. საზოგადოების ნაწილის კრიტიკის შემდეგ საპატრიარქოს დამატებითი განმარტების გაკეთება მოუწია. საპატრიარქო სუროგაციაზე და ხელოვნურ განაყოფიერებაზე პოზიციას განმარტავს Civil Georgia, 8.01.2014, https://civil.ge/ka/archives/152544

[90] „პატრიარქი ხელისუფლებისგან 17 მაისის აქციის ნებართვის გაუქმებას ითხოვს“, *ნეტგაზეთი,* 16.05.2013, https://netgazeti.ge/news/21856/

[91] სოციალური სამართლიანობის ცენტრი: რელიგიის თავისუფლება - სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა, თბილისი, 2016; „არასამთავრობოები რელიგიის საკითხთა

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების შესახებ. რის საფუძველზეც, ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან (მუსლიმ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომეხთა სამოციქულო ქრისტიანულ თემებთან) დაიდო ხელშეკრულებები. უფლებადამცველ ორგანიზაციებს არაერთი კითხვა აქვთ დაფინანსების ამ ფორმის მიმართ, მაგალითად, რამდენად სამართლიანად, სეკულარიზმის პრიციპების დაცვით მიიღეს ეს გადაწყვეტილება.[92] კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების არარსებობის პირობებში, პრაქტიკაში, ის ვერ დაუკავშირდება რელიგიური გაერთიანებებისთვის წარსულში მიყენებული ზიანის მოცულობას და მის ანაზღაურებას.[93] მათი დაფინანსების პრაქტიკა, მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, არა კომპენსაციის, არამედ პირდაპირი სუბსიდირების მოდელში გამოიხატება. მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, სახელმწიფო ამ რელიგიური გაერთიანებებისთვის გაცემული ფინანსების მიზნობრიობასა და ხარჯვას დეტალურად აკონტროლებს.[94] ამრიგად, ეს ფორმა ჰგავს სმე-ის ბიუჯეტიდან პირდაპირ დაფინანსებას. ეს კი აჩენს ეჭვს, რომ დაფინანსების ეს ფორმა სახელმწიფოს (რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს) მხრიდან რელიგიათა კონტროლის და ლოიალობის შექმნის ერთ-ერთი საშუალებაა.

2017 წელს სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობაში ახალი, ბუნდოვანი და კომპლექსური პერიოდი იწყება. თებერვალში დააკავეს დეკანოზი გიორგი მამალაძე, რომელსაც ბრალად ედებოდა მაღალი სასულიერო პირის მკვლელობის მომზადება,[95] მამალაძეს სასამართლომ ცხრაწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.[96] სკანდალს (ე.წ. ციანიდის საქმეს) ზედიზედ ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა საპატრიარქოს შიგნით არსებული ურთიერთდაპირისპირებების საჯარო განხილვები. ექსპერტების აზრით, „ციანიდის საქმეს“ მოჰყვა „საპატრიარქოს ტახტისთვის ბრძოლის“ გამძაფრება და შიდა დაპირისპირების გასაჯაროება.[97] ასეთი მასშტაბით ეკლესიის შიგნით არსებული კონტროვერსული და სკანდალური საკითხები მედიაში მანამდე არ გავრცელებულა. ამ პროცესების შეფასებისას პირველად გაჩნდა „ეჭვი“, რომ ეს პროცესები „მთავრობას აწყობდა“.[98] ერთი მხრივ, აქ იგულისხმება, ეკლესიის დისკრედიტირებული იმიჯით დასუსტება და მასზე სახელმწიფო კონტროლის გაადვილება, მეორე მხრივ, „ციანიდის საქმის“ შემდეგ მომავალი პატრიარქის საკითხი სხვაგვარად გადაწყდა. დეკანოზ მამალაძის დაპატიმრების შემდეგ, პატრიარქობაზე საბოლოოდ თქვა უარი ტახტის მთავარმა პრეტენდენტმა, პატრიარქის ძმისშვილმა, მეუფე დიმიტრი შიოლაშვილმა. 2017 წლის 23 ნოემბერს პატრიარქმა თავისი ტახტის მოსაყდრედ სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო მუჯირი დაასახელა.[99] თეოლოგი გოჩა ბარნოვი მიიჩნევს, რომ რუსეთის ეკლესიას დიდი გავლენა აქვს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე, წმიდა სინოდის წევრების უმრავლესობაზე. ამიტომ, მისი

სააგენტოს გაუქმების შესახებ“, http://tdi.omedialab.com/ge/statement/arasamtavroboebi-religiis-sakitxta-saagentos-gaukmebis-shesaxeb

[92] საბჭოთა რეჟიმის დროს რეპრესიები განიცადა ყველა რელიგიამ და დაინგრა მათი საკულტო ნაგებობები. მაგალითად, 1947 წელს თბილისში დაანგრიეს ნეოგოთიკურ სტილში აშენებული ლუთერანული ეკლესია.

[93] „ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების პრაქტიკის სამართლებრივი შეფასება“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 18 თებერვალი 2015, https://socialjustice.org.ge/ka/products/otkhi-religiuri-organizatsiis-dafinansebis-praktikis-samartlebrivi-shefaseba

[94] „რელიგიების დაფინანსება“, *სოციალური სამართლიანობის ცენტრი,* თბილისი, 2025.

[95] 2017 წლის 10 თებერვალს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავა დეკანოზი გიორგი მამალაძე. მისი ბარგის ჩხრეკისას, პროკურატურის ცნობით, ამოღებულ იქნა ნატრიუმის ციანიდი. თავდაპირველად ხელისუფლების განცხადებაში მინიშნებული იყო, რომ იგეგმებოდა გერმანიაში სამკურნალოდ წასული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მკვლელობა, მოგვიანებით კი, პროკურატურამ განმარტა, რომ დეკანოზი პატრიარქის მდივნის, შორენა თეთრუაშვილის მოკვლას აპირებდა.

[96] „ციანიდის საქმეზე“ დაკავებული დეკანოზი გიორგი მამალაძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

[97] „მირიან გამრეკელაშვილი - ეკლესიის მთლიანი ეკონომიკური საქმიანობა კორუფციული მანერისაა“, *ქუთაისიპოსტი,* 27.02.2017, ინტერვიუ თეოლოგ გოჩა ბარნოვთან, წულაძე, ზაზა: „ციანიდის საქმე“, როგორც რუსულ-ქართული სპეცოპერაცია საპატრიარქო ტახტისთვის ბრძოლაში, *ამერიკის ხმა,* 22.02.2024https://tinyurl.com/nct4avz; https://www.amerikiskhma.com/a/7496026.html

[98] „ბექა მინდიაშვილი „ციანიდის საქმეზე““, ტაბულა, 16.02.2017, https://tabula.ge/ge/tv/religion/117361-brdzola-cocxali-patriarqis-taxtistvis-shishi-da-sidzulvili / https://www.facebook.com/watch/?v=1605670162795373

[99] რაც ნიშნავს, რომ პატრიარქის გარდაცვალების შემთხვევაში, სანამ სინოდი ახალ პატრიარქს აირჩევდეს, მიტროპოლიტი შიო შეასრულებს მის მოვალეობას.

აზრით, რუსეთის ეკლესიის როლი გადამწყვეტი იყო მეუფე დიმიტრის საპატრიარქო ტახტიდან ჩამოცილებაში და მეუფე შიო მუჯირის პატრიარქობა რუსეთის ღია სურვილია.[100] სმე-ზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენაზე ყოველთვის იყო საუბარი, იქნებოდა ეს თეოლოგიური გავლენა, საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული კავშირები, სასულიერო განათლების რუსეთში მიღება, თუ რუსეთის როგორც რბილი ძალის გავლენა ეკლესიაზე.[101] მეუფე შიო მუჯირის პატრიარქის მოსაყდრედ არჩევამ რუსეთის გავლენებზე საუბარს ახალი დინამიკა შესძინა. ამაზე საუბრობდნენ ეკლესიის შიგნითაც, ეკლესიის მხარდამჭერები. ამავე პერიოდიდან იწყება ეკლესიასთან დაკავშირებულ ყველა გახმაურებულ საქმესთან მთავრობის ინტერესების იდენტიფიცირება, რაც საბოლოოდ ე.წ. კრებსების საქმით დაგვირგვინდა. საქმე ეხებოდა 2021 წლის ღია ქსელში და შემდეგ მედიასაშუალებებით გასაჯაროებულ სასულიერო პირების კერძო კომუნიკაციის ამსახველ ე.წ. კრებსებს. ფაილებში წარმოდგენილია 2013-21 წლებში, სავარაუდოდ, ფარული მიყურადებით მოპოვებული ინფორმაცია სასულიერო პირების, მათ შორის, მათი პირადი ცხოვრების შესახებ. სავარუდოდ, ისინი სხვადასხვა წლებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შეიქმნა. საპატრიარქოს განცხადებით, კრებსების გავრცელების მიზანი იყო საარჩევნო პროცესში ეკლესიის ჩართვა, ასევე მათი დისკრედიტაცია და შიდა დაპირისპირების გაღვივება.[102] მართალია, ეკლესია დისკრედიტაციაში კრიტიკულ მედიას ადანაშაულებდა, მაგრამ მისი კომენტარი ირიბად მთავრობასაც მიემართებოდა.

საჯარო სივრცეში 2021 წელს უკვე ჩამოყალიბებული იყო აზრი, რომ სახელმწიფო ეკლესიაზე კონტროლს ცდილობს და მისი დისკრედიტაციით სარგებლობს. ტრადიციული ურთიერთობის ფორმა გრძელდება, მაგრამ მთავრობა მისთვის არ არის სანდო პარტნიორი. „ტრადიციულ ურთიერთობაში“ პირველ რიგში ვგულისხმობთ ეკლესიის დაფინანსებას. 2020-2024 წლებში, სმე-ის საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიურად იზრდებოდა. 2020-2024 წლებში ეკლესიამ ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან და მთავრობის განკარგულებების საფუძველზე 283,312,365 ლარი მიიღო.[103] სოციალური სამართლიანოს ცენტრის კვლევის მიხედვით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო დაფინანსება, 121%-ით გაიზარდა.[104] 2024 წელს საპატრიარქოს დაფინანსება, 2023 წელთან შედარებით, 16%-ითაა გაზრდილი, რაც საბოლოოდ გულისხმობს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან საპატრიარქოს დაფინანსება 2024 წელს, 2020 წელთან შედარებით, 63%-ით გაიზარდა.[105]

საბოლოოდ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის უფრო კომპლექსური სურათი მივიღეთ - ორსახოვანი პოლიტიკა - სახელმწიფო, რომელიც ერთი ხელით უხვად აფინანსებს ეკლესიას, მეორე ხელით კი - აკონტროლებს მას. ორივე სტრატეგია სინამდვილეში ეკლესიის სახელმწიფოსთვის დაქვემდებარების მანიშნებელია. ამ სტრატეგიული ორსახოვანი პოლიტიკის პრიზმიდან უნდა შევხედოთ სხვადასხვა დროს „ეკლესიის აზრის გათვალისწინებას“, მაგალითად, 2018 წელს ეკლესიის პროტესტის შემდეგ, რომელსაც საზოგადოებაშიც ჰქონდა დიდი მხარდაჭერა, „ქართული ოცნება“ მარიხუანის მოყვანის შესახებ კანონპროექტზე უკან იხევს. იმავე წელს ეკლესია ეხვევა ახალ დაპირისპირებაში, რომელიც მიტროპოლიტ პეტრე ცაავასთან დაკავშირებულ სკანდალს უკავშირდება.[106]

ტრადიციული ურთიერთობის კიდევ ერთი გამოვლინებაა ეკლესიის მიერ მთავრობისთვის საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში მხარის დაჭერა. შევარდნაძის დროს, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გახსნას

---

[100] *ამერიკის ხმა,* 22.02.2024.

[101] Minesahsvili, Salome: Common faith in scrutiny: Orthodoxy as soft power in Russia–Georgia relations, in: Jödicke, Ansgar: Religion and Soft Power in the South Caucasus, Rotledge: London, 2018, 42-59; Makarychev, Andrey/Yatsyk, Alexandra: Russia as a counter-normative soft power: between ideology and policy, in: Jödicke, Ansgar: Religion and Soft Power in the South Caucasus, Rotledge: London, 2018, 215 -234

[102] „გადამოწმდება სასულიერო პირების ზნეობრივი გადაცდომები — საპატრიარქო „კრებსებზე“, *ნეტგაზეთი,* 7.010.2021, https://netgazeti.ge/news/567879/

[103] დეტალურად იხ. „რელიგიების დაფინანსება“, SJC 2025.

[104] „რელიგიების დაფინანსება“, SJC 2025.

[105] იგივე.

[106] „მიტროპოლიტი პეტრე დიდი საეკლესიო კრების ჩატარების საჭიროებას ხედავს“, ნეტგაზეთი, 31.12.2018, „რა მოხდა ჭყონდიდში - ერთდღიანი დაძაბულობა თუ ხანგრძლივი კონფლიქტის აფეთქება“, რადიო თავისუფლება, 21.03.2021, https://www.radiotavisupleba.ge/a/31142201.html

ესწრებოდა ილია მეორე, აგვისტოს ომის შემდეგ, კრიზისულ დროს, ეკლესია ოფიციალურად მხარს უჭერდა მთავრობას. 2017 წლის 3 თებერვალს, ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის კანონის მიღებას მართლმადიდებელი ეკლესია ოფიციალურად მიესალმა.[107] ეს პოზიცია სრულ თანხვედრაშია ეკლესიის და სახელმწიფოს პოსტსაბჭოთა სიახლოვის, ურთიერთსარგებლიანობის მოდელთან. ამბივალენტობის პოლიტიკის კონტექსტშიც, ამ წლებშიც, ეკლესია ოფიციალურად მხარს უჭერდა ევროინტეგრაციას და ევროპის და ევროკავშირის კრიტიკა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, ულტრამემარჯვენე და ცალკეული სასულიერო პირების დღის წესრიგად რჩება. მღვდელი დავით ისაკაძე, რომელიც სათავეში უდგას რადიკალურ ჯგუფს, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს", და ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიაზე საუბარს „ბრიუსელის დიქტატს" უწოდებს, ამბობდა, რომ *„უკვე გვაიძულებენ, სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში მიგრანტები და ლტოლვილები შემოვუშვათ. გამოდის, ევროპა ვიზალიბერალიზაციას იმიტომ გვაძლევს, ჩვენს ქვეყანაში ათასი ჯურის გადამთიელი შემოიყვანოს და ფიზიკურადაც გადაგვაგვაროს! ცოტა ხანში საქართველოში ქართველები უმცირესობაში აღმოვჩნდებით!" ყველა ადამიანი, ვინც ამ პროცესს აღუდგება, მას პატრიოტად მიაჩნია. მისივე თქმით, „ბრიუსელის მსტოვრები" ასეთ ადამიანს რუსეთიდან მართულის იარლიყს აკრავენ"*.[108] ეს რიტორიკა სრულ ჰარმონიაშია დღევანდელ სამთავრობო განცხადებებთან. დავით ისაკაძეს და სხვა რელიგიურ-ფუნდამენტალისტურად განწყობილ მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს, „კურთხევა" ჰქონდათ და აქვთ ასეთი შეხედულებების ქადაგებაზე. და მაინც, საეკლესიო დისკურსი არ არის „ქართული ოცნების" დისკურსივით ასე ცალსახად და სწრაფად ტრანსფორმირებული. როგორც 2024 წლის საეკლესიო დისკურსის ანალიზი გვიჩვენებს, ეკლესიის ოფიციალური პოზიციაც ჰეტეროგენულია და ევროპის კრიტიკის პარალელურად, საჯარო სივრცეში ქვეყნის ევროინტეგრაციის მხარდამჭერმა პოზიციებმაც გაიჟღერა.

დროთა განმავლობაში, რელიგიური პლურალიზმი, რომელსაც ეკლესია გამოწვევად და საკუთარი რელიგიური მონოპოლიის საფრთხე აღიქვამდა, ჩანაცვლდა ახალი „საფრთხით". ეკლესია ჩაერთო ახალ ბრძოლაში, რომელსაც „ღირებულებათა ბრძოლას" უწოდებენ. ამ კონტექსტში, ლგბტ თემატიკა და გენდერის საკითხები ეკლესიისთვის მთავარ „საფრთხედ" იქცა, რომელსაც როგორც შიდა, ისე გარე პროპაგანდისტული ფაქტორები ამძაფრებენ. ამ კონტექსტში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ახალი კონტურები იკვეთება. კერძოდ, 2021 წლის 5 ივლისს, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მობილიზებული მხარდამჭერების მონაწილეობით ძალადობრივი აქცია გამართეს „ღირსების მარშის" წინააღმდეგ, რომელიც თბილისი პრაიდის კვირეულის ფარგლებში იყო დაგეგმილი.[109] აქციის მონაწილეთა უმეტესი ნაწილი მიეკუთვნებოდა ლევან ვასაძის მოძრაობას, „ერთობა, არსი, იმედი" და ულტრამემარჯვენე ჯგუფის, „ქართული მარშის" მხარდამჭერებს. ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა პარლამენტის წინ თვითნებურად დაამონტაჟეს რკინის ჯვარი, როგორც „ტრადიციული ღირებულებებისთვის ბრძოლის" სიმბოლო. სახელმწიფო უწყებებს არ მიუღიათ ზომები ჯვრის დემონტაჟისთვის, მიუხედავად მისი უკანონოდ აღმართვისა. 5 ივლისს, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მოსახლეობის 95% წინააღმდეგია პროპაგანდისტული „ღირსების მარშის" და მისი ჩატარება „მიზანშეუწონელია".[110] მსგავსი შინაარსის განცხადება გაავრცელა 29 ივნისს საქართველოს საპატრიარქომაც, როდესაც „პრაიდის" ორგანიზატორები „ადამიანის უფლებათა დაცვის საფარქვეშ არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდაში" დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ღონისძიება „შეიცავს პროვოცირების ნიშნებს, კონფლიქტში შედის საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან და მიზნად ისახავს მძიმე ცოდვის ლეგალიზებას."[111] ეს მოვლენა სიმბოლურად მონიშნავს თარიღს, როდის და როგორ შეუერთდა ხელისუფლებაც, ეკლესიის და ულტრამემარჯვენე პოპულისტური ჯგუფების ანტიგენდერულ და „ტრადიციების დაცვის" „ბრძოლას", რომელიც მოგვიანებით დისკურსულად კიდევ უფრო ღიად და აგრესიულად გამოჩნდება მმართველი პარტიის განცხადებებში.

---

[107] საპატრიარქოს განცხადება 03.02.2017, http://patriarchate.ge/geo/sapatriarqos-gancxadeba/

[108] http://qartuliazri.ge/inside.php?menuid=68&id=5317

[109] თბილისი პრაიდმა სინამდვილეში გააუქმა ღირსების მარში, რადგან, როგორც განმარტა, მთავრობამ უსაფრთხოების გარანტია არ უზრუნველყო.

[110]ირაკლი ღარიბაშვილი: „ღირსების მარშის" ჩატარება „მიზანშეუწონელია", მის უკან „რადიკალური ოპოზიცია" დგას, 05.07.2021, Civil Georgia, https://civil.ge/ka/archives/430534

[111] საქართველოს საპატრიარქო „პრაიდის კვირეულის" წინააღმდეგ საუბრობს 30.06.2021, Civil Georgia, https://civil.ge/ka/archives/429949,

ამ თემის პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია ცხადი გახდა 2024 წელს, როდესაც ხელისუფლებამ მიიღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რომელიც რადიკალურად აუარესებს ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვის მდგომარეობას ქვეყანაში. 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში, ხელისუფლებამ საკუთარ კამპანიაში აქტიურად გამოიყენა ეს კანონი და ანტიგენდერული შეხედულებები იმისთვის, რათა საზოგადოებაში ტრადიციული ღირებულებების დამცველის იმიჯი შეექმნა.[112]

„მამული, ენა, სარწმუნოება“ - ეკლესიის დაცვა პოპულისტური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნარატივი

2024 წელი - „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის კულმინაციური ეტაპი, პოლიტიკური კრიზისით, საზოგადოების პოლარიზაციით და მრავალრიცხოვანი საპროტესტო ტალღით აღიბეჭდა. 2024 წლის გაზაფხულზე *უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის*, ე.წ. „რუსული კანონის“ ხელახალმა ინიცირებამ და მიღებამ საზოგადოებაში მასობრივი პროტესტი გამოიწვია.[113] პროტესტი გამოირჩეოდა პერფორმატიული და ღრმა სიმბოლური ფორმებითა და ახალი საპროტესტო ენის ჩამოყალიბებით. რუსთაველის გამზირზე პროტესტის მონაწილეებმა რამდენიმე ისტორიული დროის საპროტესტო სლოგანები გააცოცხლეს და ახალი შინაარსი და მიზანი შემატეს. ევროკავშირის და საქართველოს დროშასთან ერთად საპროტესტო სივრცეში თავისი ადგილი დაიკავა სამფეროვანმა დროშამ. გარდა იმისა, რომ ეს შინდისფერი დროშა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მიღებული დროშაა, ის 90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის და იმ დროის აქციების მთავარი სიმბოლოცაა. ჯერ კიდევ 2023 წლის გაზაფხულის აქციებზე მოხდა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ზურაბ ჟვანიას სიტყვების სლოგანებად გამოტანა და საპროტესტო თემატურ კლიპებში გაჟღერება. ამ ორი საპროტესტო აქციის და სამი ისტორიული დროის სინქრონიზაციამ სამოქალაქო ნაციონალიზმის მკრთალი კონტურები გააჩინა და „ჩვენის“ და ერთობის ახალ წარმოსახვაზე მიუთითა. საპროტესტო მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა იყო 2024 წლის 20 აპრილს ახალგაზრდების მსვლელობა გმირთა მემორიალთან და ფიცის დადება. ილია ჭავჭავაძის ე.წ. ტრიადა - *მამული, ენა, სარწმუნოება,* რომელმაც 90-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის დროს, ცენტრალური როლი და სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, ახალგაზრდებმა საკუთარ ფიცში ახლებურად წარმოადგინეს: *მამული, ენა, ერთობა.* ერთ-ერთი ახალგაზრდის, ზვიად ცეცხლაძის სიტყვებით, ეს გადაწყვეტილება ადგილზე მიიღეს ერთიანობის და რელიგიური მრავალფეროვნების გათვალისწინების მოტივით. იმავე დღეს, ახალგაზრდების ფიცს და ნაციონალური იდენტობის „ფორმულის ცვლილებას“ კარგად ორკესტრირებული კრიტიკა და კამპანია მოჰყვა პრემიერ-მინისტრის, მთავრობის წევრებისა და მმართველი პარტიის სხვა წევრებისგან. პარლამენტის თავმჯდომარე სოციალურ ქსელში ამ მოვლენას შემდეგნაირად გამოეხმაურა: *„მამული, ენა, სარწმუნოება! ეს სამება ურყევია, მტკიცეა და წმინდა! მასში ვერც ვერაფერი ჩანაცვლდება და ვერც მოაკლდება! მისი დარღვევა არავის გამოსვლია“.* ქალაქში მალევე გაჩნდა „ქართული ოცნების“ საიმიჯო პლაკატები: სამების საკათედრო ტაძრის ფონზე წარწერით - „მამული, ენა, სარწმუნოება“. მოგვიანებით, ეს პლაკატი პარტიის ერთ-ერთი მთავარი წინაასარჩევნო საიმიჯო სურათი გახდა. ილიასეულ ტრიადაში სიტყვა „ერთობის“ გაჟღერება, მხოლოდ საბაბი იყო მმართველი პოლიტიკური ელიტის მხრიდან. ამ კამპანიით მმართველმა გუნდმა, ერთი მხრივ, დაუშვა პროტესტის მონაწილეების კრიტიკა და დისკრედიტაცია, მეორე მხრივ კი, გააქტიურა სამთავრობო პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი მთავარი ნარატივი - სარწმუნოების დაცვა. იმ ფონზე, როცა ნაციონალურმა ნარატივებმა და სიმბოლოებმა, სულ უფრო მეტი ადგილი დაიკავა საპროტესტო

[112]ამ ჯგუფებისა და ეკლესიის მოკავშირეებს მიეკუთვნება მდიდარი ულტრანაციონალისტი და ნეოკოსერვატორი ბიზნესმენი ლევან ვასაძე. ის გამოირჩევა ანტილიბერალური, ანტიგენდერული და პრორუსული პოზიციებით. ცნობილია მისი მეგობრობა და იდეოლოგიური ალიანსი ევრაზიონიზმისა და ახალი კონსერვატიზმის რუს იდეოლოგთან, ალექსანდრე დუგინთან.

[113] „Resisting authoritarianism in the Caucasus - Interview with Georgians about their struggle to defend democracy“, Interview with Georgians about their struggle to defend democracy, *Tempest and Posle Media*, 5.06.2024, https://tempestmag.org/2024/06/resisting-authoritarianism-in-the-caucasus /

მოძრაობაში, ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვების „ცვლილებაზე“ გამოხმაურება, სტრატეგიული ნაბიჯი იყო მმართველი გუნდის მხრიდან. ვოდაკის პრიზმიდან, ეს საკუთარი იმიჯის პოზიტიურად წარმოჩენის და რელიგიურ-კულტურული ესენციალიზმის დისკურსული სტრატეგია იყო. სარწმუნოების დაცვის რიტორიკა თანდათანობით უფრო აგრესიულ, ანტაგონისტური „სხვების“ მაფორმირებელ ფორმას იღებს. კერძოდ, სარწმუნოების დაცვის სემანტიკას აჭარბებს „ეკლესიასთან მებრძოლების“ და „ეკლესიის მაგინებლების“ წინააღმდეგ ბრძოლის რიტორიკა.

ლაკლაუს აზრით, პოპულიზმს სჭირდება ნეგატიური „ცარიელი აღმნიშვნელი“[114], ერთი მხრივ, რომლის მეშვეობითაც ხდება „დამნაშავის“ გამოკვეთა და, მეორე მხრივ, „სხვების“ მონიშვნით განისაზღვრება, ვინ ვართ „ჩვენ“. პოპულისტური ანტაგონიზმის მოდუსში „სხვებად“ მოინიშნა „ეკლესიის მაგინებლები“. „ეკლესიის მაგინებლების“ დისკურსით მთავრობა თავის იდეოლოგიურ სიცარიელეს ავსებს და საკუთარ იმიჯს გვთავაზობს - „ჩვენ ვართ ის, ვინც ეკლესიის და სარწმუნოების მაგინებლებს ებრძვის“. „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დისკურსში ყველა მესიჯი „სხვების“ დეფინიციას და მათთან ბრძოლას მიემართება. ამ სტრატეგიის ემბლემატური მაგალითია 25 აპრილს, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის სიტყვა უნგრეთში გამართულ „კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე“ (CPAC-ზე). ეს სიტყვა არის წინაასარჩევნო დისკურსის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, სადაც რელიგია „ჩვენ“ და „სხვების“ მკაცრი დიქოტომიის მნიშვნელოვანი წყაროა: *„ე.წ. ლიბერალებსა და ბოლშევიკებს შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ბოლშევიკები **რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის** მთავარ იარაღად ურის იყენებდნენ, ე.წ. ლიბერალები კი **ქრისტიანობას ებრძვიან** პროპაგანდით, რომელსაც მედიის ტოტალური კონტროლის პირობებში, ურიზე ბევრად დიდი ძალა აქვს. დღეს **საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მათი თავდასხმის** განსაკუთრებული სამიზნეა“.* კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა გამორჩეულია შინაარისით, რადგან ის შეიცავს ყველა იმ მესიჯს, რომელიც მომდევნო თვეებში კიდევ უფრო განივრცობა სამთავრობო პოლიტიკურ დისკურსში: „ლიბერალები რისკის ქვეშ აყენებენ ქვეყნებისა და ერების იდენტობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით“, „უკონტროლო მიგრაცია უდიდეს საფრთხეს უქმნის ევროპული ქვეყნების **ეროვნულ იდენტობას“**, „ე.წ. ლიბერალები განსაკუთრებული ენთუზიაზმით **ებრძვიან ქრისტიანობას“**, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მათი თავდასხმის განსაკუთრებული სამიზნეა“, „ორიოდე დღის წინ, ქართველმა ე.წ. ლიბერალებმა საქართველოს **ეროვნული იდენტობის კონცეფციის შეცვლაც** კი სცადეს და სიტყვები – „მამული, ენა, სარწმუნოება“ სიტყვებით – „მამული, ენა, ერთობა“ ჩაანაცვლეს. სიტყვა **სარწმუნოება ამოიღეს ერის იდენტობის განსაზღვრებიდან“.**[115] მანვე დასძინა: *„ქართველებს საუკუნეების მანძილზე გვიწევდა **ბრძოლა** საკუთარი **სარწმუნოების, ქრისტიანობის** დასაცავად. ჩვენმა ისტორიამ გვასწავლა, რომ ქვეყნის ნებისმიერი ოკუპაცია დროებითია, თუ დამპყრობელი ხალხის **იდენტობის** მოშლას ვერ ახერხებს. ამიტომ, ყველა დამპყრობელი თავის პირველ ამოცანად ქართველი ხალხის **სარწმუნოებაზე შეტევას** ისახავდა. ბოლოს ამას აკეთებდნენ საბჭოთა ბოლშევიკები, რომლებიც **ეკლესიებს ანგრევდნენ** და **მორწმუნეებს** ლოცვას უკრძალავდნენ. თუმცა საქართველომ **სარწმუნოებისთვის** გადახდილ ყველა ბრძოლაში გაიმარჯვა და **ქრისტიანობის** დაცვა და შენარჩუნება შეძლო“.*

აღნიშნულ მონაკვეთს და მთელ წარმოთქმულ სიტყვას მკაფიო რელიგიური სემანტიკა აქვს. სიტყვა „სარწმუნოება“ ნახსენებია 5-ჯერ, „ქრისტიანობა“ – 7-ჯერ, „რელიგია და ეკლესია“ - ერთხელ, „დაცვა“ – 3-ჯერ, „იდენტობა“ – 8-ჯერ, „ღირებულებები“ – 11-ჯერ.

ამავე გამოსვლაში ირაკლი კობახიძემ „ლგბტ პროპაგანდის“ საფრთხეზეც ისაუბრა: *„ე.წ. ლიბერალების კონცეფციით, არა მხოლოდ ქვეყანასა და ერს, ცალკეულ ადამიანსაც კი არ უნდა ჰქონდეს რაიმე მყარი იდენტობა. არ უნდა არსებობდეს რაიმე მორალური ზღვარი ადამიანის პირად ცხოვრებაში [...] სახელმწიფო სუვერენიტეტს მალე უკვე ფორმალურადაც ზუსტად ისეთივე მიუღებელ ღირებულებად გამოაცხადებენ, როგორადაც დღეს ქვეყნის ეროვნულ და რელიგიურ იდენტობას გვიცხადებენ“.* ამ გამოსვლაში, გამოიკვეთა მტერი: ლიბერალები, რომლებიც ებრძვიან ეკლესიას, ოჯახის ფასეულობებს, ქვეყნის იდენტობას. ეს არის ერთგვარი საპროგრამო სიტყვა, რომელიც შემდეგ თვეებში წინასაარჩევნო კამპანიაში გაიშლება, სადაც მას მშვიდობის და ომის საფრთხის ნარატივი დაემატება.

ამ გამოსვლის ენა თავისი სტრუქტურით, ტონალობით, ისევე როგორც შინაარსით, პოპულისტური „ჩვენ“ და „სხვების“ დიქოტომიაზე დგას. მტრის ხატი, რომელიც 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდამდეც

---

[114]ლაკლაუსთვის პოპულიზმს შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა, ყველაზე პროგრესულით დაწყებული, ყველაზე რეაქციულით დასრულებული. Laclau 2005.

[115] CPAC: პრემიერ-მინისტრი კობახიძე „ე.წ. ლიბერალებისგან“ ქრისტიანობას და იდენტობას იცავს, *Civil Georgia*, 25.04.2024, https://civil.ge/ka/archives/601542

არსებობდა მმართველი პარტიის დისკურსში, ძირითადად ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, მომხრეთა წარმოსახვით გაფართოებაზე - „ნაცი“/“ნაცები“, ანუ ისინი, ვინც „ქართული ოცნების“ მომხრეები არ არიან და მას აკრიტიკებენ, იყო აგებული. მტრის აღმნიშვნელი სიტყვები გაფართოვდა პოპულისტური ენის ადაპტაციასთან ერთად და პოლიტიკური ენა მაქსიმალურად ვულგარული გახდა, რაც ასევე ახასიათებს თანამედროვე პოპულიზმს. ირაკლი კობახიძის და სხვა მაღალი თანამდებობის სამთავრობო პირების რიტორიკაში მტრის ხატის აღმნიშვნელებია: ლიბერალები, ბოლშევიკები, ნეობოლშევიკები, გლობალური ომის პარტია, ლიბერალური ფაშიზმი და ა.შ. მათ შორის არის, „ეკლესიის მაგინებლები“, „პატრიარქის მაგინებლები“, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსების მიერ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები იყო.

პოლიტიკური ძალაუფლება ენის და სხვა სიმბოლური სისტემების გამოყენებით ქმნის არა მხოლოდ დისკურსს, არამედ ანტაგონიზმის დინამიკასაც. როგორც აღინიშნა, „თანამედროვე პოპულისტური პარტიებისა და ლიდერებისთვის დამახასიათებელია პოლიტიკურ დისკურსში საფრთხის და შიშის გენერალიზება და მისი პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოყენება“.[116] ირაკლი კობახიძის პოლიტიკური ენა, მის მიერ მტრების და „სხვების“ დახასიათება ეტაპობრივად აროგანტული ხდება. რელიგიის კონტექსტში, პოლიტიკის ენის ცვლილების მაგალითია, თუ რომელ სიტყვებს იყენებს ირაკლი კობახიძე ეკლესიის მიმართ, მაგალითად, 2018 წელს მარიხუანას ლეგალიზაციის შესახებ დისკუსიების დროს: *„ამ საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ეკლესია. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვექნება ფართო კონსულტაციები, მათ შორის საპატრიარქოს წარმომადგენლებთან და მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება ამ საკითხის რეგულირების თაობაზე“.*[117] ერთი შეხედვითაც ჩანს, ნეიტრალური, შედარებით სეკულარული ენა („ეკლესია როგორც საზოგადოების ნაწილი“), როგორ იცვლება მემარჯვენე-პოპულისტური, აროგანტული, კონფრონტაციული ენით, სადაც რელიგიური კონცეპტები ტოტალიტარული შინაარსით ივსება და მათ აპროპრიაციას სრულად ახდენს პოლიტიკური დისკურსი.

„რუსული კანონი“, ნაბუქოდონოსორი და ეკლესიის სხვადასხვა ხმა

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის, იმავე „აგენტების კანონის“ და „რესული კანონის“ წინააღმდეგ 2024 წლის გაზაფხულზე დაწყებულმა მასობრივმა პროტესტმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ საპაროტესტო მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი. პროტესტის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, მოქალაქეების მიერ საქართველოს ევროპული ინტეგრაციისა და დემოკრატიის დაკარგვის საფრთხის დანახვა. ამ პროცესთან დაკავშირებით, ეკლესიის მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს შორის განსხვავებული დამოკიდებულება გამოვლინდა. აქციებისა და „აგენტების კანონებისადმი“ ცალკეული მღვდელმთავრების მხრიდან განსხვავებული დამოკიდებულება შეიძლება მიუთითებდეს, ერთი მხრივ, უშუალოდ ეკლესიაში არსებული ჰეტეროგენული პოზიციების არსებობაზე, მეორე მხრივ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ „უთქმელ დაძაბულობაზე“, ან სხვაგვარადაც რომ ვთქვათ, „დაძაბულ თანამშრომლობაზე“. ორივე შემთხვევაში, მნიშვნელოვანი და ნიშანდობლივი იყო განსხვავებების საჯარო დემონსტრირება. ამ ეტაპზე ძნელია თქმა, იყო ეს უფრო პლურალიზმის, თუ კონფლიქტის საჯაროობა, მაგრამ 2024 წელმა აჩვენა, რომ როგორც პოლიტიკური სისტემა და საზოგადოება, ეკლესიაც ახალ ეტაპზე გადადის, სადაც მას, ისე როგორც არასდროს, დასჭირდება რეორიენტაცია და საზოგადოებრივი ავტორიტეტის შენარჩუნება.

„რუსული კანონისადმი“ დამოკიდებულება აღმოჩნდა სტიმული ადამიანებისა თუ ინსტიტუციების იდეოლოგიური, პოლიტიკური, სამოქალაქო პოზიციის გამოკვეთისთვის. საზოგადოებრივი პროტესტის და დაძაბულობის ფონზე, საპატრიარქოს ოფიციალური პოზიციის გამოხატვამდე, „რუსულ კანონს“ გამოეხმაურნენ მთავარეპისკოპოსები. ჩრდილოეთ ამერიკის ეპისკოპოსი, მეუფე საბა, 16 აპრილს სოციალურ ქსელში აქვეყნებს პოსტს საქართველოსა და ევროკავშირის დროშების გამოყენებით:

> *„მე, როგორც **საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქე და როგორც საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი**, მივიჩნევ, რომ ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ერისა და ხალხის ისტორიული არჩევანი, რომ საქართველო იყოს ევროპული ოჯახისა და ცივილიზაციის სრულფასოვანი წევრი*

[116] Wodak, Ruth: The Politics of Fear. The Shameless Normalization of Far-Right Discourse, SAGE, 2021.

[117] „ირაკლი კობახიძე - კანაფის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე საზოგადოებასთან, მათ შორის საპატრიარქოსთან კონსულტაციები გაიმართება“, *ინტერპრენიუსი,* 16.09.2018, https://tinyurl.com/5fr8yw89

და განუყოფელი ნაწილი, უნდა იყოს დაფასებული ყველას მხრიდან! (...) მინდა აღვნიშნო, რომ გასულ წელს ხელისუფლების მიერ კანონის გაწვევის გადაწყვეტილება დადებითად შეფასდა მთელი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ, რაც ვიტყოდი, იყო საჭირო და გონივრული გადაწყვეტილება. ახლაც, ჩვენი მომავალი თაობის მიერ წამოწყებული ჯანსაღი პროტესტის პირობებში, მაქვს იმედი და რწმენა, რომ ვიხილავთ ქვეყნის ***ევროპული მომავლისთვის*** *სასიკეთოდ გადადგმულ ნაბიჯს, რაც წარმოადგენს საციცოცხლოდ მნიშვნელოვან საჭიროებას საზოგადოების გაერთიანებისა და ქვეყნის ნათელი მომავლისთვის!"*[118]

სახელმწიფოსა და ეკლესიის ალიანსის პოსტსაბჭოთა კონტექსტის გათვალისწინებით, ყველა განცხადება, რომელიც პროტესტის მოწოდებებს იზიარებს, ანტიმეინსტრიმულია. პროტესტის მხარდაჭერა ნიშნავს სახელმწიფოს ძველი და ტრადიციული მოკავშირის წინააღმდეგ გამოსვლას. ამ განცხადებაში ყურადღებას იპყრობს მთავარეპისკოპოსის, არა მხოლოდ როგორც საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსის, არამედ როგორც საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქის, თვითპრეზენტაცია. ენაც და შინაარსიც არაკონფრონტაციულია, ამავე დროს, გამსჭვალულია სამოქალაქო პათოსით. ნიშანდობლივია, რომ განცხადების ენა თავისუფალია იმ ორაზროვნებისგან, რომელიც, როგორც წესი, სმე-ს ოფიციალურ განცხადებებს ახასიათებს.

18 აპრილს, სოციალურ ქსელში წერილს აქვეყნებს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი, სადაც ის საუბრობს საქართველოს ისტორიულ მისწრაფებაზე [ევროპისკენ] და ასევე საფრთხის, დაძაბულობის თავიდან აცილების აუცილებლობაზე:

„დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში უკიდურესად გაღიზიანებული მტერი რევანშისთვის გამოიყენებს და შექმნილ ვითარებაში გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ***საქართველოს ისტორიულ მისწრაფებას;*** *მაშინ კი ჩვენი მეგობრები და პარტნიორები ვეღარ დაიხსნიან ჩვენს მრავალჭირნახულ სამშობლოს". (...) პატივცემულო ხელისუფლების წარმომადგენელნო, მდაბლად მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით: თქვენ შეგიძლიათ ამ სახიფათო დაძაბულობის განმუხტვა და შესაძლო მძიმე შედეგების აცილება ჩვენი შვილებისა და სრულიად საქართველოსთვის".*[119]

ორივე შემთხვევაში, პოლიტიკური კრიზისის და დაძაბულობის დროს მთავარეპისკოპოსთა განცხადებებს პოლიტიკური შინაარსიც აქვთ და პოლიტიკური მიზანიც. როგორც აღვნიშნეთ, იშვიათია, რომ ეკლესიის პოლიტიკური მნიშვნელობის განცხადება წინააღმდეგობაში მოდიოდეს სამთავრობო პოზიციასთან და თან იმ თემაზე, რომელიც, ერთი შეხედვით, ეკლესიასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. წარსულში, როგორც წესი, დაბალანსებული პროევროპული, ოფიციალური განცხადება სინქრონიზაციაში იყო მთავრობის ოფიციალურ პოზიციასთან. ამ შემთხვევაში ეპისკოპოსთა გამოხმაურება, ქვეყნის საგარეო კურსისადმი მკაფიო პოზიცია და შიდა დაძაბულობაზე აქცენტი, მიანიშნებს, რომ ისინი კრიზისის მიზეზად სამთავრობო პოლიტიკას მოიაზრებენ. ეს არის, მართალია, სუსტი, მაგრამ საპატრიარქოს პარალელურად ალტერნატიული დისკურსის ჩამოყალიბების მცდელობა. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ რთულ პოლიტიკურ სურათში, გარდა ევროინტეგრაციის კურსის ცვლილებისა და შიდა დაძაბულობისა, დანახულია ის, თუ როგორ ეხება შექმნილი კრიზისი და ახალი საკანონმდებლო რეალობა ეკლესიას. დმანისისა და აგარაკ-ტაშირის მთავარეპისკოპოსი, ზენონი (იარაჯული), განცხადებაში ჩამოთვლის, თუ ვის უქმნის საფრთხეს ეს კანონი. ეკლესიის მიერ წლების განმავლობაში „საშიშად" და მიუღებლად მონათლულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ის ასახელებს ეკლესიას, რომელსაც საფრთხეს უქმნის „რუსული კანონი", რომელიც სინამდვილეში ორგანიზაციების და ინსტიტუტების კონტროლისა და დასუსტებისკენაა მიმართული:

---

[118] „მეუფე საბა: დაუშვებლად მიმაჩნია დაჩქარებული წესით რაიმე გადაწყვეტილების მიღება", *ამერიკის ხმა,* 16.04.2024, https://www.amerikiskhma.com/a/7572478.html

[119] „მეუფე გრიგოლი ხელისუფლებას - შეწყდეს სადავო კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღების პროცედურები - თქვენ შეგიძლიათ ამ სახიფათო დაძაბულობის განმუხტვა და შესაძლო მძიმე შედეგების აცილება ჩვენი შვილებისა და საქართველოსთვის", *ინტერპრესნიუსი,* 17.04.2024, https://tinyurl.com/3wj7dxm2

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის შინაარსი და წარმოდგენილი სარეგისტრაციო ფორმულირება ქმნის მოქალაქეთა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ინსტიტუციების (მათ შორის, ეკლესიის) სტიგმატიზირების საფრთხეს“.[120]

სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მთავარეპისკოპოსთა განცხადებები საინტერესოა შინაარსითაც და სემანტიკითაც. ენა სეკულარულია და ერთ სიბრტყეში აყენებს სახელმწიფოს, ეკლესიას და საზოგადოებას. ამ განცხადებაში ეკლესია არ იკვეთება სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე უპირატესად.

განცხადებათა ქრონოლოგიაც თავისებურად მიგვანიშნებს შეცვლილ დისკურსულ და ჰეგემონურ რელიგიურ ველზე. მთავარეპისკოპოსებმა განცხადებები საპატრიარქოს ოფიციალური პოზიციის გაცხადებამდე გააკეთეს და მათი შეხედულებები კანონის მიწინააღმდეგეთა და საზოგადოებრივი ჯგუფების მხარეს უფრო იხრებოდა, ვიდრე სამთავრობო და საპატრიარქოს პოზიციისკენ.

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა განცხადება სათაურით, „ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ“, მხოლოდ 26 აპრილს გააკეთა. ეს განაცხადება, მსგავსად ირაკლი კობახიძის 25 აპრილის სიტყვისა, სამთავრობო პოლიტიკური დისკურსის ყველა ცენტრალურ გზავნილსა და სიტყვას ირეკლავდა: მშვიდობა, „მამული, ენა, სარწმუნოება“, ტრადაციული ფასეულობები, ლგბტ პროპაგანდა, სუვერენიტეტი და ევროსკეპტიციზმი. საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებაში შემდეგი ძირითადი გზავნილების გამოყოფა შეიძლება:

- „ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები გვარწმუნებს, რომ **ეს პროცესები მსოფლიო მასშტაბის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ცვლილებათა ანარეკლია“.**
- „ეკლესია ვერ დაიწყებს სპეციფიკური დეტალების განხილვას, მაგრამ **ტრადიციული ფასეულობები და სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ის სფეროებია, რომელთაც ის ისტორიულად უდიდეს ყურადღებას უთმობდა და კვლავ დაუთმობს**“.
- **„საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების ხაზი დღეს ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტის ველზე** გადის“.
- „უახლეს ისტორიაში ჩვენი ქვეყნის წინსვლა დაფუძნებული უნდა იყოს წმინდა ილია მართლის სიტყვებზე: **„მამული, ენა, სარწმუნოება“.**
- „დაუშვებელია, ნაჩქარევ, ემოციურ ქმედებებს მიეცეს საშუალება, **დაარღვიოს სტაბილურობა და მშვიდობა**, რომლებიც ასე ძვირფასია ამ პროცესებში აქტიურად ჩართული ახალგაზრდა თაობისთვის“.
- **„ხელისუფლება გარკვევით დეკლარირებს,** რომ მისი პოლიტიკური ვექტორი, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილი, არის ევროინტეგრაცია. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქომ გააკეთა განცხადება. მასში ნათქვამი იყო, რომ წლების განმავლობაში დიპლომატიური სამსახურის უმაღლესი პირებისგან ისმოდა დამაჯერებელი დასტური იმისა, **რომ ქვეყნის სწრაფვა ევროინტეგრაციისაკენ არ გულისხმობდა საკუთარი კულტურისა და ფასეულობების უარყოფას. თუმცა,** ფაქტია, წლების განმავლობაში **უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების თუ ტელევიზიების მხრიდან წარმოებდა ეკლესიის დისკრედიტაციის** კამპანია და ეს ხდებოდა **ლგბტ ცხოვრების წესის, ცოდვის პროპაგანდის** მზარდი ტენდენციის პარალელურად“.
- „საქართველოს მოსახლეობისთვის **უცხო, უჩვეულო და სახიფათო იდეოლოგიების** თავს მოხვევა ამძაფრებს საზოგადოებაში **პოლარიზაციის პროცესს.** ჩვენ არავისგან მოველით დახმარებას იდეოლოგიურ საკითხებში, ამის საჭიროება არც გვაქვს. აღვნიშნავთ, რომ **ხელისუფლება თვალნათლივ დაადგა ტრადიციული ღირებულებების დაცვის გზას“.**
- **„ევროპარლამენტის რეზოლუციაში ჩანაწერი, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ დაუშვებელია მოზარდებში ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის კანონის მიღება, წარმოადგენს ქვეყნის უმეტესი მოსახლეობისათვის აღიარებული ფასეულობების წინააღმდეგ ზეწოლას.** რჩება შთაბეჭდილება, რომ მათი მხრიდან საქართველოს **სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ განიხილება,** როგორც სრულყოფილი მოცემულობა. ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის უგულებელყოფით ქვეყნისთვის სასიკეთო არცერთი საქმე არ გამოვა“.
- **„საქართველოს ეკლესია მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს საქართველოს მოსახლეობაში უფლის სიტყვის გაძლიერებას. ჩვენ გვსურს, დავიცვათ ჩვენი ტრადიციები, ოჯახის სიწმინდე და მისი მნიშვნელობა,** შევინახოთ ქართული კულტურა, ვესწრაფით ჩვენს ოს და აფხაზ ძმებთან ერთად

[120] „მეუფე ზენონი - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის შინაარსი და ფორმულირება ქმნის მოქალაქეთა და არასამთავრობო ორგანიზაციების, ინსტიტუციების, მათ შორის, ეკლესიის სტიგმატიზირების საფრთხეს“, *ინტერპრესნიუსი,* 24.04.2024 https://tinyurl.com/ybj5pvyu

ერთიან სახელმწიფოში ცხოვრებას, მსოფლიოში ურთულესი პოლიტიკური პროცესების პირობებში ყოველგვარ კონფლიქტში ჩარევისაგან თავის არიდებას და ქვეყნის შიგნით მშვიდობიან თანაცხოვრებას, ეს ყველაფერი კი შეუძლებელია სრულყოფილი სახელმწიფო დამოუკიდებლობის გარეშე“.[121]

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (სსუს) განცხადება სრულ თანხვედრაშია სამთავრობო ნარატივთან. ის თითქოს ირაკლის კობახიძის 25 აპრილის სიტყვის გაგრძელებაა. მცირედი განსხვავება, რაც განცხადებაში იკვეთება, ის არის, რომ აქ ნაკლებადაა საუბარი ეკლესიასთან მებრძოლებზე (საერთო დისკურსში მტრებისგან ეკლესიის დაცვის მისიას პოლიტიკური ხელისუფლება ითავსებს, ამიტომ ეს განსხვავება არ არის გასაკვირი) და ცენტრალური ადგილი უფრო ლგბტ-პროპაგანდის და ევროინტეგრაციის, „უცხო, უჩვეულო და სახიფათო იდეოლოგიების“ შიშების შესახებ მსჯელობას უკავია. განცხადებაში 3-ჯერ არის ნახსენები ტრადიციები, 4-ჯერ - ფასეულობები, 3-ჯერ - პროპაგანდა. თითოეული აბზაცი შეიცავს იმ კოდს, რომელიც წინასაარჩევნოდ იყო გამოყენებული მმართველი პარტიის პოლიტიკური დისკურსის საწარმოებლად: გეოპოლიტიკური ცვლილებები, ტრადიციული ფასეულობების დაცვა, სახელმწიფო სუვერენიტეტი, სტაბილურობა და მშვიდობა, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების და ტელევიზიების მხრიდან ეკლესიის დისკრედიტაცია, აფხაზ და ოს ძმებთან თანაცხოვრება. ეკლესიასა და სახელმწიფოს ურთიერთობის კონტექსტში ეს განცხადება გვიჩვენებს, ეკლესიის პოზიციის დისკურსულ დამორჩილებას სამთავრობო პოპულისტური ნარატივებისადმი. ერთი შეხედვით, გასაგები და ნორმატიულიც არის ეკლესიის ერთგულება ტრადიციული ფასეულობებისა და ზოგადად კონსერვატიული შეხედულებებისადმი. წლების განმავლობაში ამ კონსერვატიულ დისკურსს სწორედ საპატრიარქო, ცალკეული კლერიკალური ჯგუფები, მოგვიანებით კი, სეკულარიზებული ნეოკონსერვატიული ჯგუფები აწარმოებდნენ (თუმცა ამ ჯგუფების იდეოლოგიურ და რწმენით სისტემებს შორის ნიუანსური განსხვავებები გასამიჯნია) და სწორედ ამ აპარატის, ენისა და აფექტების აპროპრიაცია და ინსტრუმენტალიზაცია დაიწყო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ. თუმცა სამთავრობო პოპულისტური რიტორიკისა და პოლიტიკის ანალიზი გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ამ შეხედულებებისა და სენტიმენტების კულტივირების წყარო და მოთავე არა ეკლესია და რელიგიურ-კონსერვატიული ჯგუფები, არამედ ზემოდან, სამთავრობო ინტერესების მხრიდან მოწოდებული პოპულისტური რიტორიკაა. ამ რეალობაში აშკარა ხდება, რომ ძალაუფლების ახალ რეკონფიგურაციაში ეკლესია, პოპულისტური ნარატივების განმტკიცებასა და მათი ლეგიტიმაციის პროცესში, პოლიტიკური ხელისუფლების **დამხმარედ** გვევლინება. როგორც ვოდაკი მიიჩნევს, ასეთ დროს ძალიან ბუნდოვანია განსხვავება მეინსტრიმულ კონსერვატიულ და მემარჯვენე პოპულისტურ შეხედულებებს შორის.

მემარჯვენე პოპულიზმის კიდევ ერთ ნიშანს შეიცავს მთავრობის და საპატრიარქოს განცხადებები წინასაარჩევნო პერიოდში. ეს არის სტრატეგიული ბუნდოვანების დანერგვა ევროპასთან მიმართებით. სამთავრობო სლოგანი და განცხადებები, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ ქვეყანა მიდის „ღირსებით ევროპისკენ“, მეორე მხრივ კი, ინტენსიურად იზრდება ევროპული ინსტიტუციების და ევროპარლამენტარების და ზოგადად ევროპის კრიტიკა. პოპულისტები ამ დროს ამბობენ, რომ არასწორად გაიგეს მათი ნათქვამი. საპატრიარქოს განცხადებაშიც, მსგავსად სხვა სამთავრობო გზავნილებისა, ევროპასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო გზავნილებია, რაც არღვევს სიმართლისა და ლოგიკის ჩარჩოს.

განცხადებათა ქრონოლოგია პოლიტიკურ და საეკლესიო ძალთა ერთგვარ კონკურენციასაც გვიჩვენებს. უნდა აღინიშნოს, რომ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 26 აპრილის განცხადებას მეუფე გრიგოლი გამოეხმაურა. 1 მაისს მეუფე გრიგოლმა აღნიშნა, რომ განცხადება არ ეკუთვნოდა პატრიარქს, არამედ მხოლოდ „ერთ-ერთი სამსახურის“ მოსაზრება იყო და მისი შინაარსიც გააკრიტიკა:

> *„სამწუხაროდ, საზოგადოებაში არსებული ეჭვების გაფანტვას და არსებული დაძაბულობის დამშვიდებას ხელი ვერ შეუწყო საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებამ“.*[122]

---

[121] „ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ“, საპატრიაქროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, 26.04.2024, https://sazu.ge/posts/post/1470

[122] „მეუფე გრიგოლი: 27 აპრილის განცხადება პატრიარქის არ იყო, ერთ-ერთ სამსახურს ეკუთვნოდა“, *ფორმულა,* 1.05.2024, https://formulanews.ge/News/110424

ეს კომენტარი და ეკლესიის სახელით გავრცელებული ორი განსხვავებული შინაარსის წერილი ადასტურებს, რომ ეკლესიაში გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ამ დროს საჯაროდ ეჭვქვეშ დადგა საზოგადოებასთან უერთიერთობის სამსახურის ეკლესიის სახელით საუბრის ლეგიტიმაციაც (*„ეს არ იყო არც კათოლიკოს-პატრიარქის განცხადება, და, მით უმეტეს, არც წმიდა სინოდის განცხადება“*). საბოლოოდ, ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ ეკლესიის სხვადასხვა პოზიცია მივიღეთ, ერთი, რომელიც სრულ დისკურსულ თანხვედრაშია სამთავრობო რიტორიკასთან, მეორე, რომელიც პირდაპირ არ გამოხატავს ხელისუფლებისადმი ლოიალობას და არსებული კრიზისისადმი მგრძნობელობაზე მიუთითებს.

ეკლესიაში პოლიტიკურ რეალობაზე განსხვავებული პოზიციების არსებობის მიმანიშნებელი უფრო სიმბოლური ტექსტებია სააღდგომე ეპისტოლე და პატრიარქ ილია II-ს 12 მაისის „მიმართვაში მრევლისადმი“. დაძაბული პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, რთულია, ამ ტექსტის ქვეყანაში შექმნილი კრიზისის კონტექსტის გარეშე შეფასება:

> *„ასე რომ, უმოკლეს დროში მოხდა იესო ქრისტეს **წარდგენა სამ მმართველ ძალასთან.**_(...) სამწუხაროდ, **ვერცერთმა ხელისუფალმა ვერ შეიცნო მასში ზეციური მეუფე,** სიბრძნე და ჭეშმარიტება, ნათელი და სიცოცხლე, სიყვარული და უმწვერვალესი თავმდაბლობა, რადგან მიწიერ გულისთქმებს შედგომილნი არ ესწრაფოდნენ ღვთის სამართლს და საკუთარ სიმართლეს მინდობილნი, უფლის სიმართლეს არ დაემორჩილნენ (შდრ. რომ. 10.3). (...) ამის შედეგი იყო ის, რომ მოციქულები, რომელთაც დაბრკოლებისა და შიშის გამო ჯვარცმისას მიატოვეს იესო და **სინედრიონის მიერ წაქეზებული ხალხისა და ხელისუფალთაგან შეძრწუნებულნი** გარეთ გასვლასაც ვერ ბედავდნენ“.*[123]

ეპისტოლეს მიზანი რომც არ ყოფილიყო მიმდინარე მოვლენების გამოხმაურება, ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონი მას მაინც სხვა ტონალობასა და მნიშვნელობას სძენს. სააღდგომო ეპისტოლე იმ მოვლენების ნაწილი ხდება, როდესაც ის დაიწერა და როდესაც წაიკითხეს. ეპისტოლე გამოქვეყნდა 2024 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების პიკში, როდესაც აქციის მონაწილეები რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ეკლესიასთან შეხვდნენ აღდგომის ღამეს, სანთლებით, პასკებითა და წითელი კვერცხებით.

12 მაისს ერთდროულად 3 დღესასწაულს აღნიშნავდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.[124] თუმცა პატრიარქი არ საუბრობს რომელიმე გადმოცემაზე ანდრია პირველწოდებულის შესახებ, ან საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობაზე, არამედ საუბრობს ნაბუქოდონოსორზე. პატრიარქი ჰყვება ბიბლიურ ამბავს, თუ როგორ დასაჯა მეფე ნაბუქოდონოსორმა სამი ახალგაზრდა და გავარვარებულ ღუმელში ჩაყარა, თუმცა ისინი უვნებლად გადარჩნენ:

> *„მინდა შეგახსენოთ ჭეშმარიტი ღვთის სადიდებელი ლოცვა სამი ახალგაზრდისა: ანანიასი, აზარიასა და მისაელისა, რომლებიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა დასჯის მიზნით ისეთ გავარვარებულ ღუმელში ჩაყარა, რომ მის ახლოს მყოფი ადამიანები ცეცხლის ალისგან დაიწვნენ, ისინი კი სრულიად უვნებელნი დარჩნენ, რადგან უფლის ანგელოზი იყო მათთან და ცეცხლის მხურვალებამ ვერაფერი დააკლოთ“.* [125]

იმ ფონზე, რომ 2024 წლის პროტესტის სიმბოლურ სურათ-ხატს ახალგაზრდები წარმოადგენდნენ, საზოგადოებამ ეს მიმართვა პროტესტთან გამოხმაურებად მიიჩნია. ძნელია ზუსტად იმის თქმა, ეს ეკლესიის შიგნით არსებული დაპარისპირების და მთავრობასთან კრიტიკულ პოზიციაში ყოფნის დემონსტრირებაა, თუ სხვა რამე. 2024 წლის გაზაფხულამდე ეკლესიის ოფიციალური პოზიციები მაინც კონსოლიდირებულ შეხედულად წარმოჩინდებოდა. ეკლესიის ოფიციალური პოზიციისგან განსხვავებული აზრი ან განკვეთილ და მარგინალიზებულ რელიგიურ ჯგუფებს, ან ეკლესიის მტრად გამოცხადებულ თეოლოგებს მიეწერებოდა. ციფრულმა ეპოქამ, ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა ხელი შეუწყვეს რელიგიური თემების „განჯადოებას“. ინტერნეტმა და რელიგიურ საკითხებზე მსჯელობის პლურალიზაციამ ტაბუ მოხსნა მთელ რიგ რელიგიურ თემებს. მან ხელი შეუწყო რელიგიური

---

[123] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე (2024) https://patriarchate.ge/news/3318

[124] 12 მაისს აღინიშნა კვირაცხოვლობა (გარდამავალი დღესასწაული), ანდრია მოციქულის ხსენების დღე და ღვთისმშობლის წილხვდომილობის ღღე.

[125] სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა მრევლისადმი (12.05.2024) https://patriarchate.ge/news/3322

თემების კრიტიკულ გააზრებასაც. სოციალურ ქსელებში შექმნილი ეს ველი ამბივალენტურ პლურალიზმს ქმნიდა, რომელიც საპატრიარქოს პოზიციების პარალელურად არსებობდა. 2024 წელი კი ამ მხრივაც იყო საინტერესო, რომ „რუსულმა კანონმა“ და მასობრივმა საზოგადოებრივმა პროტესტმა, მაღალი სასულიერო პირების პოზიციებში არსებულ ჰეტეროგენულობას სიცხადე შესძინა.

ვინ იცავს „ტრადიციულ და ოჯახურ ღირებულებებს“ - ეკლესია თუ სახელმწიფო?

ღირებულებისადმი დამოკიდებულების, თუ ტრანსფორმაციის კომპლექსურობა მუდმივად თან გასდევს დამოუკიდებლობის შემდეგ ქართული საზოგადოების განვითარებას. ღირებულებითი შეპირისპირება ლიბერალურისა და ტრადიციონალისტურის, კოსმოპოლიტურისა და ნაციონალისტურის, არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებს, რადგან ნორმატიულად, წინააღმდეგობაში მყოფი ღირებულებები, ხშირად ერთდრულად არის გაზიარებული საქართველოში.[126] იმის ახსნა, თუ რა არის ამის მიზეზი, სხვა კვლევის საგანია. ჩვენს შემთხვევაში, თუკი ეკლესიის პოზიციის შეფასებას მოდერნიზაციის თეორიათა პრიზმიდან მივუდგებით, ეკლესიას რეაქცია ჰქონდა 90-იანებში ჯერ რელიგიურ პლურალიზმზე, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი, დაჩქარებულ მოდერნიზაციაზე და ცვლილებების ზემოდან მოწოდებულ პროცესზე. იდეოლოგიურ და ღირებულებით კონკურენციაში მყოფი ეკლესია საკუთარ სტატუსს და ჰეგემონურ დისკურსს ნაციონალიზმთან შეჭიდულობაში ქმნიდა. მისი დისკურსული სტრატეგია მეტნაკლებად იცვლებოდა პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას, როგორც კონსერვატიულ ინსტიტუტს, ნორმატიული დაძაბულობა ჰქონდა ლიბერალურ ღირებულებებთან, მის მიერ წარმოებული ანტიგენდერული რიტორიკა საზოგადოების დაკვეთა არ ყოფილა. ეს არ ყოფილა ის „ღირებულებათა ომი“, რომელზეც დღეს, როგორც გლობალურ ტრენდზე, ვსაუბრობთ. სასულიერო პირების ანტი-ლგბტ განცხადებები განსხვავდება ეკლესიის რეაქციისგან, რომელიც მას სტრუქტურულ ცვლილებებზე 90-იანი წლების დასაწყისში და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჰქონდა. 90-იან წლებში რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციები და კრიზისის განცდა ამძაფრებდა ნაციონალურ-ესენციალისტური იდენტობის ფორმირებას. შეცვლილ რელიგიურ ველში ეკლესიისთვის მორალური და რელიგიური მონოპოლიისკენ სწრაფვა რელიგიურ პლურალიზმზე მძაფრი რეაქციით გამოიხატა. 90-იან წლებში პატრიარქის ეპისტოლეებსა და ქადაგებებში ყველაზე ხშირად საუბარია იეჰოვას მოწმეებზე, პროტესტანტულ „სექტებზე“, როგორც საფრთხეზე, უცხოეთიდან დაფინანსებულ არასანდო რელიგიურ ორგანიზაციებზე.[127] დროთა განმავლობაში, ეკლესიისთვის, რელიგიური პლურალიზმი, როგორც გამოწვევა, ე.წ. მორალურმა საკითხებმა და გენდერის პოლიტიკის თემამ შეცვალა. „ახალი საფრთხე“, ახალი „სხვები“ გახდნენ ლგბტქი ადამიანები, ფემინისტები. გლობალური „ღირებულებათა ომი“ იყო ის თემა, რომელიც მიწოდების მოდელის მიხედვით გააქტიურდა საქართველოში. ჯერ შეიქმნა საფრთხე, მტრის ხატი ლგბტქი თემის და ე.წ. პროპაგანდის სახით და შემდეგ ამ საკითხის ირგვლივ ემოციური და ანტაგონისტური დამოკიდებულებები წარმოიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია სექსუალურ ეთიკაზე, შესაძლოა, არ ყოფილიყო თანხვედრაში ღირებულებით პლურალიზმთან, ის მაინც იყო აქტორი, რომელსაც გარედან (გლობალური ტენდენციების ფონზე) მიაწოდეს „ახალი საფრთხის“ ნარატივი და სწორედ ამის შემდეგ საჯაროდ „ჩაერთო“, დუგინის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „ახალ კულტურულ ომში“.[128] ამ პროცესის დაწყების სიმბოლურ თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 2013 წლის 17 მაისი. ეს არის სექსუალური იდენტობის თემის პოლიტიზების პირველი მასშტაბური საჯარო დემონსტრირება და ამ თემის გარშემო ანტაგონისტური მხარეების ჩამოყალიბებისა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ მემარჯვენე პოპულისტური დისკურსის გადმოთარგმნის აქტიური მცდელობა საქართველოში. 2014-2015 წლიდან ნელ-ნელა ძალას იკრებს და საჯარო სივრცეში ხილვადი ხდება მემარჯვენე რადიკალური ჯგუფები, რომლებიც სეკულარული, არაკლერიკალური ძალებია.[129] მათი იდეოლოგია არის ანტილიბერალური, ანტიფემინისტური, ანტიგენდერული, ქსენოფობიური,

---

[126] ზედანია გიგა: „ღირებულებების სისტემატიური და შედარებითი კვლევა: ქართული საზოგადოების ღირებულებები“, ფონდი ღია საზოგადოება, თბილისი, 2006; საქართველო; სუმბაძე, ნანა: თაობები და ღირებულებები, თბილისი, 2012.

[127] 1998 წლის საშობაო ეპისტოლე.

[128] „Let us create another culture war“ Interview with Alexander Dugin (in Moscow, Russia), Kristina Stoeckl, Dmitry Uzlaner (eds.): *Postsecular Conflicts*, Innsbruck university press, 2020, 57-70.

[129] ამ ჯგუფების გაერთიანებით შეიქმნა რამდენიმე მოძრაობა და პარტია („ქართული მარში“, „ალტ-ინფო“)

ულტრანაციონალისტური.[130] ლოზუნგები, სიმბოლიკა და რიტორიკა გამოხატავს „ჩვენ“ და „სხვების“ მკაცრ დიქოტომიას, უცხოელების სიძულვილს (ანტიმიგრანტული რესენტიმენტების ადაპტაციას საქართველოზე), ეკლესიის და ტრადიციების დაცვისთვის ბრძოლას. მემარჯვენე რადიკალური დაჯგუფებების ანტილიბერალური ნარატივი, ამავე დროს, იკვეთება რელიგიურ და ნაციონალურ ნარატივებთან. ამ ჯგუფების მარშების იკონოგრაფიის შემადგენელი ნაწილია რელიგიური სიმბოლოები (ჯვრები, ხატები). თავდაპირველად, ამ ჯგუფებსა და სამთავრობო რიტორიკას შორის დისკურსული მსგავსება საქართველოში არ ყოფილა. საზოგადოებაში კრიტიკას იწვევდა მხოლოდ ამ ჯგუფებისა და ეკლესიის სიახლოვე. ამ პერიოდში სამთავრობო დისკურსი პროევროპულ ენას ინარჩუნებდა. 2021 წლამდე ანტი-ლგბტქი თემაზე სადისკუსიო ამინდს ქმნიდნენ ეკლესია, სასულიერო პირები და ულტრანაციონალისტური, მემარჯვენე პოპულისტური დაჯგუფებები. ზოგადად ლგბტქი უფლებები არალიბერალური მთავრობების „მტკივნეული გლობალური პატერნია“ (troubling global pattern).[131] შტოკლი მიიჩნევს, რომ სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ფლუიდურობის გამო ლგბტქი თემი ანტიდემოკრატიული ძალების სამიზნე გახდა. მათი სახით ავტოკრატიულ და არალიბერალურ რეჟიმებში შეიქმნა ტრადიციულის და ნაციონალურის საპირისპირო „მეორე მხარე“.[132] ამიტომ პოლიტიკური ჰომო/ტრანსფობია ასეთ ქვეყნებში გამოყენებულია მტრის ხატის შესაქმნელად, რომელიც შეუთავსებელია ტრადიციულ ღირებულებებთან.[133]

საქართველოში ანტიგენდერული დისკურსის სამთავრობო პოლიტიკურ დისკურსად გარდასაქმნელად გარდამტეხ მომენტად 2021 წლის 5 ივლისის მოვლენები იქცა. ამ დღეს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდამჭერები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, შეიკრიბნენ და მონაწილეობა მიიღეს თბილისი პრაიდის მიერ დაანონსებული „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ ორგანიზებულ ძალადობრივ დემონსტრაციაში. ეს აქცია სხვა მხრივაც სიმბოლური იყო: რადიკალურმა ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა უკანონოდ აღმართეს რკინის ჯვარი საქართველოს პარლამენტის წინ, როგორც „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვის სიმბოლო. ამ მოვლენით მოინიშნა პოლიტიკური თარიღი, თუ როგორ გაერთიანდნენ 5 ივლისს, ხელისუფლება მიზანმიმართული უმოქმედობით, ეკლესია და ულტრამემარჯვენე პოპულისტური ჯგუფები „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვის სახელით.

როგორც მალე გამოჩნდა, მემარჯვენე პოპულისტურ დისკურსს მთავრობა არა მხოლოდ „უთანაგრძნობდა“, არამედ ის მმართველი პარტიის პოპულისტური შემობრუნების ძირითადი სტრატეგიაც იყო. ამდენად, ანტიგენდერულმა რიტორიკამ დაჩქარებული ტემპით გადაინაცვლა ეკლესიიდან პოლიტიკურ ტრიბუნაზე. 2024 წელს კი პარლამენტი იღებს კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“. ისევ ვოდაკს რომ დავესესხოთ, ეს გავრცელებული სტრატეგიაა მემარჯვენე პოპულისტური პოლიტიკის წარმოებისას - მიიღო კანონი საფრთხის თუ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რომელიც სინამდვილეში არ გემუქრება. ასეთი „სიმბოლური კანონმდებლობა“ პოლიტიკური კომუნიკაციის ინსტრუმენტია, რომელიც კანონმდებლის ნამდვილ მიზანს ფარავს.[134] ანტი-ლგბტქი თემატიკა მმართველმა პარტიამ ეკლესიისა და მემარჯვენე და ულტრანაციონალისტური ჯგუფებისგან „მიიტაცა“. კანონის მიღებასთან ერთად ანტი-ლგბტ დისკურსი კონსერვატორი ამომარჩევლის თვალში ტრადიციული ღირებულებების და ეკლესიის დამცველის იმიჯის

---

[130] იხ. არჯევანიძე, ნარგიზა: ანტიგენდერული მოძრაობები და საქართველო, ჰაინრიხ ბიოლის სამხრეთ კავკასიის ბიურო, 2023; აბზიანიძე, ნინო: ულტრანაციონალისტური ჯგუფების მედიაგაშუქება საქართველოში: დისკურსის სტრუქტურის შეფასება, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი №15, 2021, ნოდია, გია: ანტილიბერალური ნეიტივისტური გამოწვევა: რამდენად დიდია ის და რა შეიძლება გავაკეთოთ ამასთან დაკავშირებით, *მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD)*, სექტემბერი 2020; სართანია, ქეთი:/წურქავა, ალექსანდრე: ქართული ონლაინ ჯგუფების ულტრანაციონალისტური ნარატივი, თბილისი, 2019.

[131] Ayoub, Phillip and Kristina Stoeckl (2024). Why Autocrats Target LGBTIQ Rights. *Journal of Democracy*, vol. 35, issue 1, 59-73.

[132] უნგრეთის პრემიერ-მინისტრს, ვიქტორ ორბანს, სერბეთის პრეზიდენტ ალექსანდარ ვუჩიჩს და სლოვენიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ იანეზ იანშას ადანაშაულებენ პოლარიზაციასა და კულტურული ომების წახალისებაში თავიანთ ქვეყნებში, რაც გამოიხატება ანტი-ლგბტ უფლებების წაქეზებასა და აბორტის შეზღუდვების დაწესებაში.

[133] Ayoub / Stoeckl 2024.

[134] Wodak 2020.

შექმნას ემსახურებოდა. ამ დისკურსის ინტენსიფიკაციის საჭიროება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის მაინც არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც „ომის და მშვიდობის“ ნარატივი.

ანტი-ლგბტ ნარატივი **უკვე „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ენის გამოყენებით უბრუნდება ეკლესიას.** საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის 2024 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაში „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონზე ვკითხულობთ:

> *„დღეს საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ოჯახური **ღირებულებების დაცვა** მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. წლების განმავლობაში როგორც საქართველოს საპატრიარქოს, ასევე მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან ამ საკითხს მოჰყვა არაერთი გამოხმაურება, თითოეული მათგანი ემსახურებოდა **ოჯახური ფასეულობების დაცვას** მზარდი გამოწვევების ფონზე. საქართველოს ეკლესია მუდმივად იცავდა და იცავს ჩვენს ახალგაზრდობას იდეოლოგიებისგან, რომლებიც ძირს უთხრიან **ტრადიციულ ოჯახურ სტრუქტურებს.** რამდენიმე წლის წინ სასკოლო საგნის მოსწავლისა და მასწავლებლის სახელმძღვანელოებმა საქართველოს საპატრიარქოს მწვავე და სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია, რადგან ამ სახელმძღვანელოების ზოგიერთი თემა ღიად უსვამდა ხაზს **ოჯახური ღირებულებების დაკნინებას**. ხანგრძლივი და აქტიური ძალისხმევა დასჭირდა **LGBTQI პროპაგანდის** შემცველი პასაჟების სასწავლო რესურსიდან ამოღებას, რადგან საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს ფუნდამენტურ ღირებულებებს“.*[135]

როგორც საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის და მისი უფროსის, ანდრია ჯაღმაიძის სხვა განცხადებები, ისე სამთავრობო ნარატივები ერთ სემანტიკურ ველშია გადანაცვლებული. წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოქვეყნებული განცხადებების ანალიზმა აჩვენა, რომ თანხვედრაშია არა მხოლოდ ზოგადი შეხედულებები, არამედ მმართველმა პარტიამ შეითვისა მემარჯვენე-პოპულისტების ენა და რიტორიკა (ანტილიბერალური, ანტიგენდერული, ანტიევროპული) და ეს თემები ეკლესიისგან „მიიტაცა“. სამთავრობო ენა უფრო დაუახლოვდა გლობალურ მემარჯვენე პოპულისტურ ენას. ოჯახური ფასეულობის დაცვის დისკურსის ეკლესიიდან პოლიტიკურ ველში გადასვლას სიბოლურად გამოხატავს 17 მაისს, „ოჯახის სიწმინდის დღის“ აღნიშვნის „ორგანიზაციული ცვლილებები“. ეკლესიის ინიციატივით დაწესებული დღესასწაულის აღნიშვნა, ბოლო ორი წელია მთავრობამ თავის თავზე აიღო. ამ დღის დაწესების მიზნისა და აღნიშვნის კონტროვერსიულობა რომ გვერდზე გადავდოთ, ის მაინც ეკლესიის ინიციატივა იყო და ის იწვევდა მრევლს, ეს დღე მსვლელობით აღენიშნა. ამჯერად, ტრადიციულად ეკლესიის მიერ მრევლის მობილიზების ნაცვლად, უკვე სამთავრობო და საჯარო ინსიტუტები მონაწილეობდნენ მის ორგანიზებასა და აღნიშვნაში. რეგიონის ცენტრებში, მაგალითად, ქუთაისში ამ დღეს ჩამოვიდნენ საჯარო მოხელეები იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, ცერმონიალში მონაწილეობდა სახელმწიფო ანსამბლი და, რაც მთავარია, ამ დღის „მასპინძელი“ იყო არა მხოლოდ ეპარქია, ეპისკოპოსი, არამედ ადგილობრივი ხელისუფლება.[136] რაც შეეხება თბილისში ამ დღის აღნიშვნას, მხოლოდ ცერემონიალის ვიზუალური ანალიზიც წარმოაჩენს განსხვავებას 2019 და 2024 წლებს შორის. 2019 წელს მსვლელობას მიუძოდნენ სასულიერო პირები და საპატრიარქოსთან დაკავშირებული ორგანიზაციები („დავითიანი“, „ჩოხოსანთა საზოგადოება“).[137] 2024 წელს „ოჯახის სიწმინდის დღის“ აღნიშვნით მთავრობამ პოლიტიკური პერფომანსის სცენა გააფართოვა. ამ დღის იკონოგრაფიაში მთავარ სახეებად გამოჩნდნენ ქალაქ თბილისის მერი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, მთავრობის სხვა წევრები.[138] 2024 წელს, მთავრობამ 17 მაისი, მოდიფიცირებული სახელით, „ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე“, უქმე დღედ გამოაცხადა.

---

[135] „საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის თაობაზე“, 24.10.2024, https://sazu.ge/posts/post/1814

[136] „რეგიონებიდან ჩამოყვანილი ხალხი - როგორ აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე ქუთაისში“, 17.05.2024, *ქუთაისიპოსტი,* https://www.kutaisipost.ge/ka/akhali-ambebi/article/27744-regionebidan-chamoyvanili-moqalaqeebi-rogor-aghinishna-ojakhis-sitsmindis-dghe-quthaisshi

[137] „ოჯახის სიწმინდის დღის“ აღსანიშნავად საპატრიარქოს ორგანიზებული მსვლელობა დაიწყო (ფოტოები)“, *ტაბულა,* 17.05.2019, https://tabula.ge/ge/news/624361-ojakhis-sicmindis-dghis-aghsanishnavad

[138] „ფოტორეპორტაჟი: როგორ აღნიშნეს თბილისში „ოჯახის სიწმინდის დღე“, *On.ge*, 17.05.2024, https://tinyurl.com/2zwnum9u

25 აგვისტოს, ბიძინა ივანიშვილმა ამბროლაურში ამომრჩევლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ სამ დაპირებასთან ერთად, არსებობს მეოთხეც, მისი სიტყვებით, *„ჩვენი **ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი საკითხი**, რომლის თაობაზეც მიმდინარეობს აქტიური მუშაობა“ და უახლოეს პერიოდში საზოგადოებას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების თაობაზე ეცნობება.*[139] ის, რომ საქართველოსთვის „რელიგია ერის საყრდენია“, „ქართული ოცნების“ ლიდერთა წინასაარჩევნო კამპანიის ყველა გამოსვლაში ითქვა. როგორც აღმოჩნდა, საქმე ეხებოდა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივას. ისევე როგორც კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ეს ინიციატივაც მემარჯვენე პოპულისტური პოლიტიკის „სიმბოლური კანონმდებლობის“ მაგალითია და ეკლესიის და სარწმუნოების დაცვის და „ეკლესიასთან მებრძოლების“ წინააღმდეგ მიმართული რიტორიკული ხაზის სიმბოლური გაგრძელებაა. ამ პოლიტიკის ყველაზე საყურადღებო კონტექსტუალური განვითარება ის იყო, რომ მთავარეპისკოპოსთა ნაწილი ამ ინიციატივას სიფრთხილით და სკეპტიციზმით შეხვდა.

პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, ჯერ კიდევ 27 აგვისტოს, საჯაროდ აღნიშნა, რომ *„არავითარი საფუძველი არ არის, რომ ის სამართლებრივი მოდელი, რაც დღეს არსებობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, შეიცვალოს“*.[140] მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების იდეაზე სასაუბროდ, 29 აგვისტოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა საპატრიარქო ტახტის თანამოსაყდრეს, შიო მუჯირს და რამდენიმე ეპისკოპოსს. შეხვედრის შემდეგ, ყველა ეპისკოპოსმა, სხვადასხვა ენით და აქცენტით, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისადმი სკეპტიციზმი გამოხატა. იდეის წინააღმდეგ ორი ძირითადი არგუმენტი გამოიკვეთა: ა) ამ იდეას პატრიარქი მხარს არ უჭერს და ასეთი გადაწყვეტილება „ნაჩქარევად არ უნდა მიეღოთ“; ბ) არსებული იურიდიული სტატუსი უკვე უზრუნველყოფს ეკლესიის დამოუკიდებლობას და მის მაღალ სამართლებრივ სტატუსს. მღვდელმთავართა განცხადებებში, პირდაპირ ან ირიბად, გამოსჭვიოდა ეჭვი, რომ მთავრობის ეს ინიციატივა სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის კონტროლს გამოიწვევდა და ეს საფრთხეს შეუქმნიდა ეკლესიას. დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა ზენონმა პირდაპირ მიუთითა ამგვარი განვითარების სცენარზე. მისი თქმით, ეს ინიციატივა მიზნად ისახავს „ეკლესიის ინსტიტუციურ დაქვემდებარებას სახელმწიფო ხელისუფლებისადმი“.[141] ამ საკითხზე მღვდელმთავრების გამოხმაურებაში, მათ Facebook-ის გვერდებზე და მედიაში, ყველაზე ხშირად იყო ნახსენები სიტყვა „დამოუკიდებლობა“, რაშიც იგულისხმებოდა საფრთხე ეკლესიის დამოუკიდებლობისთვის. ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის შიში ჩანს მეუფე ნიკოლოზ ფაჩუაშვილის შესაფასებაშიც: *„სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ ეკლესია არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან და, შესაბამისად, სახელმწიფო არ არის დამოუკიდებელი ეკლესიისგან. (...) ეს ისტორიულმა რეალობამ უნდა მოიტანოს და გარკვეული აუცილებლობა უნდა იყოს. ვფიქრობ, რომ ამის აუცილებლობა ქვეყანაში არ არის და სიკეთის მომტანი არ იქნება“.*[142]

სასულიერო პირების განცხადებებში ჩანს, რომ არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, მთავრობის ეს ინიციატივა პოლიტიკურ მანევრად იყო მოაზრებული. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის საჯაროდ ორმხრივი ლოიალობის ჩვენების ფონზე, მთავრობის ინიციატივაში სამღვდელოებამ პოლიტიკური და სამართლებრივი დაქვემდებარების საფრთხე დაინახა. სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიისადმი თუნდაც სიმბოლურად უფრო მაღალი იურიდიული სტატუსის მინიჭება, გრძელვადიან პერსპექტივაში ეკლესიისთვის დამაზიანებელ ხარკად შეფასდა, რომელიც სამთავრობო პოლიტიკური დისკურსისა და ძალაუფლების გაძლიერებას ემსახურებოდა. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის

---

[139] „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე ამბროლაურში, https://www.facebook.com/photo/?fbid=1074334167390714&set=pcb.1074334444057353

[140] „გიორგი ზვიადაძე: მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შესახებ საქართველოს ეკლესიას აქვს იგივე პოზიცია, რაც მანამდე“, On.ge, 27.08.2024, https://tinyurl.com/daz8myy9

[141] „მთავარეპისკოპოსი ზენონი: მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების განაცხადი შეცდომაა“, პუბლიკა, 28.08.2024, https://publika.ge/mtavarepiskoposi-zenoni-martlmadideblobis-sakhelmwifo-religiad-gamockhadebis-ganackhadi-shecdomaa/

[142] „ოცნება“ საპატრიარქოს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას სთავაზობს – „ფორმულა“, ნეტგაზეთი, 27.08.2024, https://netgazeti.ge/life/739437/

დაძაბულ თანამშრომლობაზე საუბრისას, ვგულისხმობთ ეკლესიის უნდობლობას და კონტროლის შიშს ამ ურთიერთობაში, რომლის დამადასტურებელი ძლიერი გარემოება იყო ზემოთ განხილულ სამთავრობო ინიციატივაზე უარის თქმა. 2021 წელი ეკლესიისთვისაც სიმბოლური წელი იყო, რადგან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლზე საჯაროდ საუბრის საბაბი გახდა ე.წ. კრებსების საქმე. 2021 წლის სექტემბერში მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია რელიგიური პირების პირადი ცხოვრების დეტალების ამსახველი ათიათასობით ფაილის, ე.წ. კრებსების, გაჟონვის თაობაზე. უცნობია, რა მასშტაბის გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე ამ ინფორმაციის გავრცელებამ, მაგრამ ძალთა ბალანსის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყო, რომ ეკლესიას და სახელმწიფოს შორის არ არის თანასწორი და „სიმფონიური“ ურთიერთობა.

რა შეეხება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივას, როგორც „რუსული კანონის“ შემთხვევაში, ამჯერადაც თვალშისაცემი იყო საპატრიაქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსხურის უფრო ლოიალური გამოხმაურება. დეკანოზმა ანდრია ჯაღმაიძემ, რომელიც ამ სამსახურს ხელმძღვანელობს, ამ ინიციატივას „თავაზიანი შეთავაზება“ უწოდა. მის განცხადებაში ისევ საგრძნობი იყო დიდი მსგავსება ოფიციალურ სამთავრობო ნარატივთან. ის ასევე საუბრობდა ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლებზე, ლგბტქი პროპაგანდაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე:

> *„რაც ბოლო პერიოდში ეკლესიის გარშემო მიმდინარეობს, განაპირობა სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი ინიციატივა. მხედველობაში მაქვს* ***ეკლესიის წინააღმდეგ ცილისმწამებლური და მიზანმიმართული დისკრედიტაციული კამპანია****, რომელიც წლების განმავლობაში მიმდინარეობს და ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი,* ***რაც ლგბტ პროპაგანდის ინტენსიურ ხაზს ვხედავთ ეკლესიის ოპონენტების მხრიდან*** *და განმსაზღვრელი აღმოჩნდა ეს ხაზი ეკლესიასა და ნაწილ არასამთავრობოებსა თუ პოლიტიკურ პარტიებს შორის. ალბათ, აი ეს გარემოებები გახდა მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფოს გადმოედგა ეს ნაბიჯი“.*[143]

წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტია შეეცადა „ეკლესიის მაგინებლებთან“ ბრძოლასთან ერთად სიმბოლური კანონმდებლობით შეექმნა „ეკლესიის დამცველის“ დადებითი იმიჯი. ეს ინიციატივა საბოლოოდ არ აღმოჩნდა წარმატებული და კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის რედაქტირებაზე შეთანხმდნენ.

როგორც რელიგიის დაცვის, ისე მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების ნარატივი პოლიტიკურ დისკურსში გადაჯაჭვულია „ტრადიციული ღირებულებების დაცვის“ რიტორიკასთან. ისინი ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ. როგორც ჩანს, დამოუკიდებლად მათი რეზონანსი ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ომის თავიდან აცილების და მშვიდობის ნარატივი. ამიტომაც გახდა საჭირო ორივე შემთხვევაში „სიმბოლური კანონმდებლობის“ პოპულისტური სტრატეგიის გამოყენება.

ოპოზიციური პარტიების დამოკიდებულება მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისადმი

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, წინასაარჩევნო პერიოდში „რელიგიურობის“ და „ეკლესიის მხარდაჭერის“ საჯარო დემონსტრირება, როგორც წესი, ნორმატიულ პოლიტიკურ ქცევად ჩამოყალიბდა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ოპოზიციური პარტიები მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების იდეას უფრო ნეიტრალურად გამოეხმაურნენ. ამ თემას არ მოჰყოლია ისეთი პოლიტიკური განხილვა, როგორიც შეიძლება გვევარაუდა. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პარტიულ სპექტრში არ ყოფილა წამყვანი ტრადიციად ქცეული თემა ეკლესიის

[143] ანდრია ჯაღმაიძის განცხადების იურდიულ (sic) არგუმენტებში ჩანს, რომ ინიციატივაზე სხვადასხვა თვალსაზრისით იმსჯელეს: „კონკორდატის ფარგლებში არაფერი იცვლება. კონკორდატი რჩება ძირითად სახელმძღვანელოდ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში. ზოგადად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების სამი კატეგორია არსებობს. ეს არის მკაცრი სეკულარიზმი, როდესაც ეკლესია და სახელმწიფო მკაცრად გამიჯნულია ერთმანეთისგან, არის დაქვემდებარებული მდგომარეობა და არსებობს ხელშეკრულებით დადგენილი ურთიერთობები. ჩვენს შემთხვევაში, საკონსტიტუციო შეთანხმება არის სწორედ ასეთი მექანიზმი და ეს იქნება წამყვანი შემდგომშიც, ამას არაფერი არ შეეხება“.

პრივილეგიის და ხელშეუხებლობის მოთხოვნა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ ეს თემა დაკავებული ჰქონდა მმართველ პარტიას. ასევე შეცვლილ საზოგადოებრივ კონტექსტში, პარტიებში უფრო მეტად ისმის სეკულარული სახელმწიფოს მხარდამჭერი შეხედულებები. რაც შეეხება უშუალოდ, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების „ქართული ოცნების" ინიციატივას, ოპოზიციური პარტიების დამოკიდებულებები მაინც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ყველაზე სეკულარული იდეის მხარდამჭერი და შედარებით პირდაპირი შეფასებები ჰქონდათ ნიკა გვარამიას (პარტია „ახალი") და ზურაბ ჯაფარიძეს (პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლება"). მმართველი პარტიის წინასაარჩევნო დაპირება ჯარაფარიძემ შეაფასა წინასაარჩევნო სტრატეგიად, რომელშიც ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ვაჭრობას ჰქონდა ადგილი: *„იციან, რომ ამ ქვეყანაში პატრიარქს აქვს ყველაზე მაღალი რეიტინგი ოდითგანვე და ამის გამოყენება უნდათ. ეგონათ, რომ მოეწონებოდა ეკლესიას, მკვახე უარი მიიღეს საპატრიარქოსგან. ჩემი აზრით, ახლა მიდის ჩვეულებრივი ვაჭრობა ფორმულირებაზე. საპატრიარქო ალბათ ეტყვის, ამ ფორმულირებაზე შევთანხმდეთ, ჩვენ არ გაგაკრიტიკებთ, გამოიყენეთ წინასაარჩევნოდ, სამაგიეროდ, მოგვეცით 20 ჰექტარი მიწა იქ და 15 ჰექტარი – იქ, ეგ იქნება მაგის ფინალი".*[144]

უფრო რელიგიურ-პოპულისტური რიტორიკისკენ იყო გადახრილი მამუკა ხაზარაძის (პარტია „ლელო") შეფასება. ის თან ემხრობოდა ეკლესიის უფრო მაღალ საკონსტიტუციო სტატუსს, და თან აღნიშნავდა, რომ ეს ინიციატივა ეკლესიის თემით მანიპულირებაა. მანვე შეფასების დროს განსაკუთრებული პიეტეტი გამოხატა ეკლესიის მიმართ: *„საქართველო მართლმადიდებელი ეკლესიის გარეშე არ არსებობს და არც იარსებებს! დღეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა კონსტიტუციური შეთანხმებით - კონკორდატის საშუალებით რეგულირდება. ამ მოლაპარაკებასა და დოკუმენტის შექმნაში მეც აქტიური მონაწილეობა მაქვს მიღებული, რითაც ვამაყობ. (...) ჩვენ ახლავე დავუჭერთ მხარს, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი შეთავაზება ეკლესიისთვის მისაღები იქნება. ჩვენ ვემხრობით კონსტიტუციის დონეზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის მკაფიოდ დაფიქსირებას ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში და მიგვაჩნია, რომ ამაზე მთელი პოლიტიკური სპექტრი უნდა თანხმდებოდეს".*[145] „ლელოს" წევრების სტრატეგიაა ამოიცნოს ეკლესიის თემა როგორც სამთავრობო მანიპულაციის საგანი, მაგრამ ამ ორ მხარეს, ეკლესიასა და მთავრობას შორის, მხარი ეკლესიას დაუჭიროს. მაგალითად, ბადრი ჯაფარიძე უფრო ხაზგასმით ამბობს, რომ *„ქართულ ოცნებას" ხრიკი ჩაუვარდა, მან მართლმადიდებელი ეკლესიისგან ძალიან მკაფიო პასუხი მიიღო - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას ჩვენ ცალსახად დავუჭერთ მხარს"*.[146] გრიგოლ გეგელია, ამავე პარტიის წევრი, აღნიშნავს, რომ მმართველი პარტია *„ცდილობს მიიტაცოს სენსიტიური და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემა საკუთარი პოლიტიკური დივიდენდისთვის. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ მზად ვართ ახლავე, აქ და ახლა, განვიხილოთ და მივიღოთ შესაბამისი ცვლილება, თუკი ეკლესია იქნება ამით დაინტერესებული".*[147]

ინიციატივას განსხვავებული პოლიტიკური ენით გამოეხმაურნენ არა მხოლოდ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, არამედ ერთი და იმავე პარტიის წევრებიც. დამოუკიდებლობის შემდეგ ჩამოყალიბებული ეკლესიის მხარდაჭერის ნიმუშია, ლევან ხაბეიშვილის და მიხეილ სააკაშვილის განცხადებები („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), რომლებიც ცალსახად იწონებდნენ სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის კიდევ უფრო მეტ პრივილეგირებას.[148] იმავე საკითხზე საუბრისას, პარტიის თავმჯდომარემ, თინათინ ბოკუჩავამ, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაში უფრო დაბალანსებულ

---

[144] „ზურაბ ჯაფარიძე - ჩვეულებრივი ვაჭრობა მიდის, საპატრიარქო „ქართულ ოცნებას" ალბათ ეტყვის, არ გაგაკრიტიკებთ, სამაგიეროდ, მოგვეცით 20 ჰექტარი მიწა იქ და 15 ჰექტარი იქ, ეგ იქნება ფინალი", საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2.09.2024, https://tinyurl.com/y3ttddcv

[145] „ხაზარაძე: ვემხრობით კონსტიტუციის დონეზე მართლმადიდებელი ეკლესიის როლის დაფიქსირებას", *ტაბულა,* 1.09.2024 https://tabula.ge/ge/news/722409-khazaradze-vemkhrobit-konstitutsiis-doneze

[146] „ჯაფარიძე: „ოცნებას" ხრიკი ჩაუვარდა, მან მართლმადიდებელი ეკლესიისგან ძალიან მკაფიო პასუხი მიიღო - ეკლესიის პოზიციას ჩვენ ცალსახად დავუჭერთ მხარს", ტვ პირველი, 2.09.2024,, https://tinyurl.com/ehj2b8kv

[147] „გრიგოლ გეგელია - თუკი ეკლესია თანახმა იქნება, მზად ვართ, ახლავე განვიხილოთ და მივიღოთ შესაბამისი ცვლილება, რათა საკითხი არ გახდეს „ქართული ოცნების" მხრიდან პოლიტიკური მანიპულაციის საგანი", *ინტერპრესნიუსი,* 2.09.2024, https://tinyurl.com/3hb92xsb

[148] „უმნიშვნელოვანესია, მხარი დავუჭიროთ ეკლესიას – ხაბეიშვილი საპატრიარქოსთვის დამატებით 35 მლნ-ს გამოყოფაზე", *ნეტგაზეთი,* 20.03.2024 https://netgazeti.ge/news/714516/

მოდელზე გააკეთა აქცენტი. მის განცხადებაში საპატრიარქო, როგორც ცალკე სტრუქტურა, გამიჯნული იყო ეკლესიისგან: *„საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის საქართველოს მოქალაქეების, მართლმადიდებელი ეკლესიის, რწმენის სადარაჯოზე იქნება და უარს იტყვის ყოველგვარ წინასაარჩევნო, პროპაგანდისტულ, ბინძურ გარიგებებზე ხელისუფლებასთან".*[149]

ერთი მხრივ, ნეიტრალური და თან ეკლესიის მხარდამჭერი იყო გიორგი გახარიას („საქართველოსთვის") პოზიციაც. ის გარკვეულწილად წააგავდა „ლელოს" პოზიციას.[150] გახარია იმეორებდა კონსტიტუციაში უკვე აღნიშნულ სტატუს-კვოს, ეკლესიის როლს და დამსახურებას წარსულში და ასევე მიუთითებდა, რომ ეს ინიციატივა არის ეკლესიის სახელით სპეკულაცია: *„მართლმადიდებლური ეკლესიის როლი აღიარებულია არა მარტო ისტორიაში, არამედ ქართული სახელმწიფოს შექმნაში, ჩამოყალიბებაში, მომავალში... ყველაფერი რაც ხდება არჩევნებამდე 2 თვით ადრე, ძალიან ჰგავს ეკლესიის სახელით სპეკულაციას".*

მართალია, პარტიები გამოეხმაურნენ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თემას, მაგრამ საბოლოოდ ეს მაინც სტრატეგიული დუმილის ჩარჩოში თავსდებოდა. პარტიების განცხადებებს აერთიანებდა ორი სემანტიკური ხაზი: ეკლესია და რელიგია როგორც აბსტრაქტული ცნება, რომელიც გამიჯნულია დღევანდელი კონტრავერსიული ინსტიტუციისგან, საპატრიარქოსგან; „წარმოსახვითი ეკლესია" კი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. ამ წარმოსახვითი ეკლესიის კონსტრუირების და პატივისცემის სიმბოლური გამოხატულებაა ჟესტი, როდესაც პარტია „ლელოს" წევრებმა ანა ნაცვლიშვილმა და საბა ბუაძემ, 28 აგვისტოს მარიამობის დღესასწაული მოსახლეობას მშობლიური სოფლის ეკლესიიდან მიულოცეს. სიმბოლური კომუნიკაციის ეს ფორმა, უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ ინსტიტუციური რელიგიის ცნობილ სახეებს და ურბანულ საკრალურ ადგილებს მოსახლეობაში სანდოობის კრიზისი აქვთ. რელიგია კი, ეროვნული და კულტურული თვალსაზრისით, მაინც მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება. ალტერნატივის ძიებად უნდა მივიჩნიოთ, მშობლიური სოფლის და ბუნების ფონზე დღესასწაულის მილოცვა. რაც შეეხება მეორე ნარატიულ ხაზს, ეს არის არა უშუალოდ ეკლესიის კრიტიკა, არამედ ამ თემით მანიპულირების კრიტიკა და სახელმწიფო რელიგიად აღიარების იდეის უპირობოდ მიუღებლობა. მცირე, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოვლენილი დისკურსული ცვლილება, მაინც ადასტურებს პოლიტიკური ველის ტრანსფორმაციას და მისი რელიგიური სემინატიკის სეკულარულობისკენ გადახრას.

რომანტიკული ნაციონალიზმის არასრულყოფილი ნარატივი და პოლიტიკის ცუდი პერფომანსი

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ნაციონალიზმის მნიშვნელობა და სენსიტიურობა ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის მემარჯვენე პოპულისტური პარტიებისთვის, რათა სტიმულირება მისცენ ულტრანაციონალისტურ სენტიმენტებს. მინკენბერგი მიიჩნევს, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში არსებობდა ტენდენცია, რეჟიმის სუსტი ლეგიტიმაციის კომპენსირება ნაციონალური საკითხების გამოყენებით მომხდარიყო.[151] უფრო რადიკალური განვითარების შემთხვევაში, ულტრანაციონალისტური და პოპულისტური პარტიები ლიბერალური და პლურალისტური დემოკრატიის, თავისუფლების და თანასწორების ღირებულებების წინააღმდეგ მიდიან.[152]

მემარჯვენე პოპულიზმის ნაციონალისტურ დისკურსს პოლიტიკაში შემოაქვს რომანტიკული ნაციონალიზმის, იდეალიზებულ წარსულზე დაფუძნებული ნარატივების, ტრადიციების, წინაპრების კულტის ფოლკლორული თემატიკა. ამ თემისგან არასოდეს ყოფილა დაცლილი ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ველი. ქართული ნაციონალიზმის ემოციურ და იდეურ სტრუქტურას ქმნის რელიგია, კულტურული უპირატესობის განცდა და ტრადიციებით და ისტორიით სიამაყე.[153] ეს თემები დანაღმულ ველად იქცევა, როდესაც პოპულისტური დისკურსი მათ ანტაგონისტური

---

[149] „ბოკუჩავა: საპატრიარქო ყოველთვის რწმენის სადარაჯოზე იქნება", *ტაბულა,* 2.09.2024, https://tabula.ge/ge/news/722450-bokuchava-sapatriarko-qoveltvis-rcmenis

[150] განცხადება ფართოდ არ გაშუქებულა მედიაში. გამოქვეყნდა მხოლოდ პარტიის ფეისბუკის გვერდზე.

[151] Minkenberg, Michael: The Renewal of the Radical Right: Between Modernity and Anti-modernity. Government and Opposition. 35(2), 2000;170-188.

[152] Minkenberg 2000; Mudde 2000.

[153] Pew Research Center - Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe, 10.05.2017 https://www.pewresearch.org/religion/2017/05/10/religious-affiliation/

დაპირისპირების, შიშის და საფრთხის კონსტრუირების რესურსად აქცევს. ულტრანაციონალიზმი და ჰომოგენური ერის იდეა ქართული მემარჯვენე ულტრანაციონალისტური ჯგუფების მთავარი იდეოლოგიაა.[154] ეთნორელიგიური ნაციონალიზმის, მართლმადიდებლობისა და ქართველობის გაიგივება, წლებია, ქმნის ეკლესიის ნაციონალური ხედვის ჩარჩოს. პოლიტიკურ სფეროში ქვეყნის ევროინტეგრაციის მისწრაფებებში ევროპული და ნაციონალური იდეოლოგიურად ერთმანეთს არ დაპირისპირებია. უკანასკნელ წლებში სოციალურ ქსელებში მემარჯვენე პოპულისტურ ჯგუფებში გავრცელებული სლოგანი, „მე ვარ ქართველი და არავითარი მაშასადამე“, სტრატეგიული ამბივალენტობით გამოხატული ანტიევროპული მესიჯი, მაინც გარკვეულ ჯგუფებთან ასოცირდებოდა. მმართველი პარტიის მხრიდან ევროინტეგრაციისადმი მისწრაფება („ღირსებით ევროპისკენ“) დეკლარირებულად, უკვე არადამაჯერებლად, შერყეული რეპუტაციით და მხოლოდ წინასაარჩევნო სტრატეგიად არსებობდა საპარლამენტო არჩევნებამდეც. ეს იყო ყველა სხვა წინასაარჩევნო პოპულისტური და კონტროვერსული იდეოლოგიის შირმა.

თუ მმართველმა პარტიამ ანტიგენდერული დისკურსი სრულად „მიიტაცა“ ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან, მემარჯვენე პოპულიზმისთვის ისეთი ცენტრალური თემის, როგორიცაა ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი, მხოლოდ არასრულყოფილი და ფრაგმენტული ნარატივი შექმნა. ამ ნარატივის ფრაგმენტებია: „გარეჯი საქართველოს“ პოლიტიკური კამპანია[155] და მედიაკამპანია ერეკლე მეორის დაცვის სახელით[156] და შემდეგ მისივე ძეგლის აღმართვის ინიციატივა.[157] ამ თემებით „ქართული ოცნება“ ოჯახური ღირებულებების დაცვასთან ერთად ეროვნულობის დამცველის იმიჯსაც ირგებდა. მართალია, ამ თემებს ჰქონდა თავისი რეზონანსი, მაგრამ ისინი მაინც უფრო არასრულყოფილი და სუსტი იყო, ვიდრე პოპულისტური დისკურსის სხვა თემები. მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ: ა) ისევ პოპულისტური სტრატეგიული ბუნდოვანების შექმნა და წინასაარჩევნოდ ექსკლუზიური ულტრანაციონალიზმისგან თავის შეკავება, რადგან მთავრობა ამ დროს პროევროპელი ელექტორატისთვის ჯერ ისევ ინარჩუნებს პროევროპულ კურსს. ბ) ნაციონალური სულისკვეთებით, იდეებით, ისტორიული ფიგურების გახსენებით, მათ შორის, ეროვნული მოძრაობის ლიდერების, სლოგანებით და სურათ-ხატებით გაჯერებული იყო 2023 და 2024 წლების საპროტესტო მოძრაობა. ამ შემთხვევაში ნაციონალიზმის თემები საპროტესტო მოძრაობამ „წაართვა“ მმართველ პარტიას. ნაციონალურ თემებს წინასაარჩევნო კამპანიაში უფრო სხვების დამატებითი მსაზღვრელის სახე ჰქონდა და გამოიყენებოდა მტრის კონსტრუირებისთვის, როგორც, მაგალითად, პოლიტიკური ოპონენტების „უსამშობლოებად“, ტრადიციებთან და ეკლესიასთან მებრძოლებად მოხსენიება. წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის თანახმად, ეკლესიებში ქადაგებისას ნაციონალურ იდენტობაზე, ეროვნულობაზე საუბარი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.[158] ქადაგებებსა და მრევლის საუბარში აქცენტი კეთდება ეკლესიის და რელიგიის როლზე ეროვნულობის შენარჩუნებაში. როგორც კვლევაში ჩანს, ასეთი შეხედულებები ორგანულია იმ რელიგიური სივრცისთვის, რომლის ნაწილიც არის მრევლი. განსხვავებით სამთავრობო დისკურსისა, რომლის რიტორიკაშიც ძალიან სუსტია ნაციონალური ხმა.

ყველაზე ემბლემატურ მაგალითებს, თუ რა იყო სამთავრობო პოლიტიკური დისკურსი, გვთავაზობს რეგიონის დიდ ქალაქებში გამართული შეხვედრები. რეგიონში გამართული წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ეროვნული ტრადიციები ბიძინა ივანიშვილმა ყველა მიმართვაში ახსენა. ზუგდიდში 15 ოქტომბრის გამოსვლა მთლიანად აგებულია ტრადიციებზე, წინაპრებზე, ადათ-წესებზე, ისტორიის თემებზე:

> *„სამეგრელოზე, სვანეთზე, აქაურ **ისტორიასა და ადათ-წესებზე,** ბუნებასა და ხალხზე საუბრით ქართველი კაცი არასდროს დაიღლება. თქვენი მხარე ყველაზე უკეთ გამოხატავს, როგორ უნდა ცხოვრობდნენ განსხვავებული ხასიათისა და **ტრადიციების, თუმცა უდიდესი წარსულის მქონე კუთხეების შვილები,** რომლებიც ძალიან პატარა ტერიტორიაზე საერთო მიზნის გარშემო არიან გაერთიანებული. (...) აქ ჩამოსულ სტუმრებს აკვირვებთ, როგორი პირვანდელი სახით არის შემორჩენილი **წინაპრებისგან შემონახული ისტორია,** ხელოვნება თუ არქიტექტურა, რაც ღია ცის ქვეშ, თვითნაბად და უნიკალურ, ერთგვარ მუზეუმს ქმნის. სამეგრელომაც და სვანეთმაც მრავალ*

---

[154] იხ. სართანია/წურქავა 2019.

[155] „ანალიზი: „კარტოგრაფების საქმე“, Civil Georgia, 21.10.20, https://civil.ge/ka/archives/376516

[156] რეხვიაშვილი, ჯიმშერ: „ერეკლე მეორედ“, 27.08,2024, *რადიო თავისუფლება,* https://tinyurl.com/y3k6tcbe

[157]“კობახიძე: კახეთის გზატკეცილზე ერეკლე მეორის ძეგლი აღიმართება“, *ფორმულა,* 26.08.2024, https://formulanews.ge/News/116126

[158] ბაქრაძე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2025.

*ისტორიულ ქარტეხილს გაუძლო ისე, რომ აქაურ ხალხს არასდროს **შეუწყვეტია საკუთარ მიწასთან, ტრადიციებთან და წინაპრების** დანატოვართან კავშირი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ხელუხლებლად უნახავდნენ მომავალ თაობებს".*

ეთნიკური და რომანტიკული ნაციონალიზმის, როგორც „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო იდეოლოგიის შემაკავშირებელი თემის, გამოვლინების კულმინაცია იყო ბიძინა ივანიშვილის სიტყვა ქუთაისში. აქ ნაციონალიზმის და ერის სიმბოლოდ, ტრადიციებთან ერთად, მოხსენიებულია ეკლესიაც. ანტიევროპული რიტორიკა ჯერ არ ჩანს გამოსვლებში, პირიქით, ქრისტიანობა მოყვანილია როგორც ევროპასთან კულტურულად მაკავშირებელი:

*„ერის დაკნინება და მარტივად დამორჩილება მხოლოდ **საკუთარი წარსულის დავიწყებით, ისტორიის გაუფასურებითა და მორალური პრინციპების** გაბუნდოვანების გზით არის შესაძლებელი. ეს სერიოზული პრობლემაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საკონსტიტუციო უმრავლესობით გამარჯვება გვჭირდება, რათა არასრულწლოვანთა ინტერესებისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის საკითხი კონსტიტუციის დონეზე გავამყაროთ. ბუნებრივია, ის ხალხი, **ვინც ჩვენს ტრადიციებს ებრძვის,** განსაკუთრებულ აგრესიას იჩენს ჩვენი თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენის – **მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. არადა,** ჩვენი ქვეყნის ევროპულობა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ იმან განსაზღვრა, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა. მჯერა, რომ განსხვავებულის მიმღებლობა და ტოლერანტობა, ასე კარგად რომ ახასიათებს ჩვენს ერს, ქართველი კაცის ხასიათთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში ჩვენში ღრმად გამჯდარი ქრისტიანული რწმენის დამსახურებაა".*

მიწის, ტრადიციების და ხალხის ასე ჭარაბად ხსენება წინასაარჩევნოდ, ტრადიციონალიზმის და კონსერვატივიზმის „ერთგულება", მემარჯვენე პოპულიზმის ერთ-ერთი პატერნია. რუთ ვოდაკის მიხედვით, ბრძოლასთან ერთად პოპულისტურ დისკურსში არსებობს პასუხისმგებლობის, დაცვის არგუმენტაციის სქემა.[159] ამ სიტყვაში ორივე გაერთიანებულია: მმართველი პარტია თან იცავს ტრადიციებს, რელიგიას და თან ამბობს, რომ არსებობს ხალხი, ვინც ებრძვის ტრადიციებს და ეკლესიას. ამ სტრატეგიის მიზანია, შექმნას ემოციური და იდეოლოგიური ნიადაგი შემდეგი ქმედებების გასამართლებლად (კანონის მიღება, პოლიტიკის ცვლილება და ა.შ.)

მემარჯვენე პოპულიზმი გარდა დისკურსული კონსტრუქციისა, პერფომატიულიც არის. პერფორმატიული პოლიტიკა მოიცავს როგორც ტრადიციულის, ნაციონალურის და რელიგიურის დაცვის სიმბოლური აქტებით დემონსტრაციას, ისე კონფრონტაციულობის და ემოციურობის საჯარო ხილვადობას. ამის რეპრეზენტაციის სხვადასხვა „სცენა" და პრაქტიკები არსებობს. მათ შორის, კონცერტები, სახალხო და რელიგიური დღესასწაულები. წინასაარჩევნო პერიოდში მთავრობის ყველა მსგავს პოლიტიკურ პერფომანსს არაშთამბეჭდავი დრამატურგია და პოლიტიკის სუსტი გამოვლინება გამოარჩევდა.

მმართველი პარტიის და მთავრობის ნაციონალიზმის პერფომატიულ პოლიტიკაში ჩანდა ფოლკლორის და ტრადიციების დაცვის პოპულისტური პატერნი. ეს იყო სუსტი და ძველებური პოლიტიკური პერფორმანსი. ძველებურში იგულისხმება პოლიტიკის ისეთი რეპრეზენტაცია, რომელიც დამახასიათებელი იყო გვიან საბჭოთა პერიოდის საქართველოსთვის. კერძოდ, როდესაც იდეოლოგიური კრიზისის დროს, ლეგიტიმაციის გასამყარებლად, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით სახალხო დღესასწაულები შეიქმნა. გარდა ხალხის და სახელმწიფოს „დაახლოებისა", ამ დღესასწაულების აღნიშვნას სხვა მიზანიც ჰქონდა - მოსახლეობაში რელიგიური ინტერესი უნდა გადაეფარა. ყველა შემთხვევაში, ეს დღესასწაულები, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ვიზიტებით, სახელმწიფოს გაკეთილშობილებას ემსახურებოდა. ამ მოდელის რეპლიკა იყო 2024 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, სახალხო დღესასწაულების მასობრივი აღნიშვნა, ზოგიერთის აღდგენა, სადაც გაერთიანებული იყო ხალხური, ნაციონალური და რელიგიური სიმბოლოები. დღესასწაულებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, მმართველი

[159] Wodak, 2021; Wodak, Rith: Disorders of Discourse, 1996; Wodak, Ruth, R. de Cillia et al: The Discursive Construction of National Identity, 1999.

პარტის წევრები, ეპისკოპოსი და ადგილობრივი ეპარქიის სასულიერო პირები. მაგალითად, 1 ოქტომბერს, წმინდა მოწამეთა - ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ხსენების დღეს, პარალამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი კახეთში დაესწრო სახალხო დღესასწაულს ალავერდელ ეპისკოპოს დავითთან ერთად. მსგავსად, სექტემბერში, „წყალტუბობის“ დღესასწაულს ესწრებოდა ქუთაის-გაენათის ეპისკოპოსი იოანე გამრეკელი, რომელსაც წყალტუბოს საპატიო მოქალაქის სტატუსი მიანიჭეს.

პოლიტიკის რეპრეზენტაციის კიდევ ერთი სცენაა ეკლესია. მართლმადიდებელ ქვეყნებში რელიგიურ დღესასწაულებზე პოლიტიკოსების დასწრება, ერთგვარი ტრადიციაა და „საჯარო მართლმადიდებლობის“ ფენომენად მოიხსენიება.[160] ამ მხრივ, ცალკე უნდა გამოიყოს ორი მოვლენა, როგორც ძალაუფლების სიმბოლური და სივრცული რეპრეზენტაციის ცვლილება. 2024 წლის დასაწყისში, პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საპატრიარქოში ეწვია პატრიარქს. თანამდებობაზე დანიშვნიდან მალევე პატრიარქთან ვიზიტის რიტუალი თავის დროზე შეასრულეს ედუარდ შევარდნაძემ, გიორგი მარგველაშვილმა, სალომე ზურაბიშვილმა. ილია მეორესთან არაფორმალურ გარემოში შეხვედრა და ფოტოების გადაღება ნაცნობი სიმბოლური აქტია ხელისუფლებაში მოსვლის და წინასაარჩევნო კამპანიის დროს. რაც შეეხება მეორე მოვლენას და სიმბოლურ სურათს, ეს იყო 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, ირაკლი კობახიძის მიერ ამბიონზე ასვლა და სიტყვის წარმოთქმა. უშუალოდ სიტყვა, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რიტორიკის რელიგიური სემანტიკით დატვირთულობის ემბლემატური მაგალითი იყო. პოპულისტური ანტაგონიზმის მკაფიო საზღვრებით, „ჩვენ“, როგორც რელიგიის დამცველები და „სხვები“, ისინი, ვინც ქრისტანობას ებრძვიან. აქ გაერთიანდა რამდენიმე პოპულისტური პატერნი, რელიგიის დაცვა და საფრთხე, რომელსაც ქრისტიანობასთან მებრძოლები ქმნიან: *„როცა ვართ მცხეთაში, განსაკუთრებული სიმძაფრით უნდა შევახსენოთ საკუთარ თავს, რომ დღეს **ქრისტიანობას, ჩვენს სარწმუნოებას სჭირდება გაფრთხილება და დაცვა. არიან ძალები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ებრძვიან ქრისტიანობას, სარწმუნოებას, ქრისტიანულ მორალურ დოგმებს.** სამწუხაროდ, ეს ძალები ებრძვიან ქრისტიანობას საქართველოშიც. თუმცა, როდესაც ერთად დგას ერი და ბერი, ქართველებს ვერავინ დაგვამარცხებს“.*

პრემიერ-მინისტრის ყოფნა მცხეთაში, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთირთობის პოსტსაბჭოთა მოდელის გაგრძელებაა, განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ. თუმცა, მისმა ამბიონზე ასვლამ, კონფრონტაციულმა სიტყვამ, პოლიტიკურის რელიგიაზე დომინაციის შთაბეჭდილება უფრო დატოვა. მთლიანობაში, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობის დემონსტრირების მიზანმა დისონანსური და შეიძლება უფრო ნამდვილი, სურათი შექმნა.

დასკვნა

წინამდებარე ტექსტი შემდეგნაირადაც შეგვეძლო დაგვესათაურებინა - „გამოგონილი პოლიტიკა“, „გამოგონილი მტერი“, „გამოგონილი კანონი“, „გამოგონილი მართლმადიდებლობა“, „გამოგონილი კულტურათა ომი“. ეს გამოხატავს იმ პოლიტიკურ სტრატეგიას თუ რიტორიკას, რითაც საზოგადოებაში გარკვეულ დისკურსს ქმნიან პოლიტიკური და რელიგიური ელიტები. ეს „გამოგონება“ პოლიტიკის წარმოების მთავარი მახასიათებელია პოსტსიმართლის ეპოქაში. მემარჯვენე პოპულიზმის გლობალურმა გაძლიერებამ და საქართველოშიც მმართველი პარტიის მიერ პოპულისტური დისკურსის აპროპრიაციამ, ახალი კუთხით გამოაჩინა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხი.

მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის აღწერისას, როგორც წესი, იხსენებენ ბიზანტიური „სიმფონიის“ მოდელს, რაც მინიმალისტური განსაზღვრებით ნიშნავს საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ურთიერთპატივისცემას და თანამშრომლობას, იმგვარად, რომ ერთი მეორეს არ ექვემდებარება.[161] სინამდვილეში ასეთი სიმფონია პრაქტიკაში ძნელად თუ არსებობდა.

---

[160] გარდა სახალხო დღესასწაულებისა, წინასაარჩევნო პერიოდში მთავრობის წევრები სტუმრობდნენ უშუალოდ ეპარქიებს და მოინახულებდნენ ეკლესიებს. მაგალითად, 15 სექტემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერ კახა კალაძესთან და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძესთან ერთად, გორის აღდგომის სახელობის მშენებარე ტაძარში იმყოფებოდა.

[161] თეორია უკავშირდება იმპერატორების, კონსტანტინე I-ისა (324–337) და იუსტინიანე I-ის (527–565) პოლიტიკურ თეოლოგიურ შეხედულებებს.

პოსტსაბჭოთა საქართველოშიც, პოლიტიკასა და რელიგიას შორის ურთიერთობა მხოლოდ გარეგნულად არის „სიმფონიური“. სინამდვილეში, ეს არის კონკურენციის, დაპირისპირების და პრაგმატული თანამშრომლობის ისტორია.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დამოუკიდებლობის შემდეგ ჩამოყალიბებულ სიახლოვეს განსაზღვრავს არა იმდენად მართლმადიდებლური პოლიტიკური თეოლოგია, არამედ უახლესი ისტორიული გამოცდილება: საბჭოთა რელიგიის პოლიტიკა, დაქვემდებარების და კოლაბორაციის ეტაპებით; დემოკრატიულ სახელმწიფოდ არსებობის მეხსიერების არქონა და ეკლესიის დამოუკიდებელ სოციალურ ინსტიტუტად არსებობის ნაკლები გამოცდილება. ამ ფონზე და პოსტსაბჭოთა გახანგრძლივებული სისტემური ტრანზიციის და არასრულყოფილი დემოკრატიის პირობებში, სახელმწიფოს და ეკლესიას ერთმანეთი საზოგადოების თვალში ურთიერთლეგიტიმაციისათვის ესაჭიროებოდათ.

რა ახალი ტენდენცია გვიჩვენა წინასაარჩევნო წელმა, რა ახალი ასპექტი გააჩინა მმართველი ძალის მხრიდან პოლიტიკური ლეგიტიმაციისთვის ეკლესიის და რელიგიის დაცვის გამოხატვამ? როგორც წესი, ხელისუფლებაში მყოფი პარტია, ტრადიციულად ცდილობს საზოგადოებაში ავტორიტეტის მქონე ინსტიტუციისადმი, ეკლესიისადმი პატივისცემის დემონსტრირებას. ამ „ტრადიციის“ ნაწილია სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიისთვის ქონების გადაცემა და სხვა ფინანსური პრივილეგიები. და მაინც, წინასაარჩევნო პერიოდში ეკლესიის მხარდაჭერის რიტორიკა თვისებრივად ახალი ეტაპი და ფორმაა ამ ურთიერთობაში - **ეს არის ეკლესიის დაცვა, ეკლესიის გარეშე.** რელიგიის ინსტრუმენტალიზაციის თვალსაზრისით, ეს არის მემარჯვენე პოპულისტურ დისკურსს დაქვემდებარებული აქტორი. ეკლესია და რელიგიური თემები მთავრობისთვის ანტაგონისტური დისკურსის შექმნის რესურსია. სახელმწიფოს დისკურსული დომინაციის ნიშნები სხვადასხვაგვარად გამოიხატა, მათ შორის, იმაში, თუ როგორ შეითვისა მემარჯვენე-პოპულისტური ენა და როგორ წაართვა ეკლესიას ანტილიბერალური, ანტიგენდერული ნარატივები. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის სემანტიკური მსგავსება, რომელსაც ვხვდებით 2024 წლის საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებებსა და მთავრობის ოფიციალურ განცხადებებს შორის. ეკლესიის ოფიციალური განცხადებები, თითქოს წინასწარ არის შეთანხმებული მმართველ პარტიასთან. სიმბოლურ-პერფორმატიული თვალსაზრისით, ეს „ასიმეტრიული სიმფონია“ გამოჩნდა 17 მაისს, „ოჯახის სიწმინდის დღეს“, როდესაც დღესასწაულის აღნიშვნა მთავრობამ თავის თავზე აიღო. შეცვლილი ძალთა ბალანსი ეკლესიისთვისაც თვალსაჩინოა და ის ცდილობს, კონტროლი შეამციროს, ან სულაც თავიდან აიცილოს. ამაზე მიუთითებს მისი უარი მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე. ამაზე მიუთითებს მაღალი სასულიერო პირების საპატრიარქოს საზოგადებასთან ურთიერთობის სამსახურისგან განსხვავებული განცხადებების გაკეთებაც პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებზე - საჯარო სივრცეში რელიგიური ენის შემოსვლა განსხვავებული აქცენტებით. ეს პრეცედენტები, შესაძლოა, მიუთითებდეს კრიზისულ მომენტში ეკლესიის როლის გაძლიერების ან გადარჩენის მცდელობაზე, პოლიტიკური მომენტის პრაგმატულად შეფასებაზე ახალ რეალობაში ან საპატრიარქოსგან განსხვავებული ალტერნატიული დისკურსული ველის დაკავების სურვილზე. ავტორიტარიზმი და პოპულიზმი, მაშინაც კი, როდესაც ის ეკლესიას და რელიგიას პოლიტიკური ლეგიტიმაციისთვის იყენებს, საფრთხეს წარმოადგენს ეკლესიისთვის. ავტორიტარიზმი დამოუკიდებლობას, ხოლო პოპულიზმი შინაარსს ართმევს ეკლესიას. ამიტომ, ეს კრიზისული დრო იწვევს რელიგიური ველის ტრანსფორმაციასაც. ამ ეტაპზე ძნელია იმის განსაზღვრა, რა გზას აირჩევს ეკლესია - ისევ სახელმწიფოსთან ალიანსს, თუ ხალხთან კავშირის აღდგენას.

რაც შეეხება სტატიის მეორე კონცეპტუალურ ხაზს, წინასაარჩევნო პოლიტიკურ დისკურსში რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ არა ერთადერთს. რელიგია გამოყენებული იქნა ყველა დისკურსული სტრატეგიის საწარმოებლად.[162] რელიგია ხან მეტად, ხან უფრო სუსტად ქმნიდა ანტაგონისტურ მეორე მხარეს, რომელიც არ იყო მორალურად მართალი. პოლიტიკური განცხადებების ანალიზის მიხედვით, ანტაგონისტური „სხვები“ არიან „უსამშობლოები“, „ვინც სარწმუნოებას ებრძვის“, „ლგბტ პროპაგანდას ავრცელებს“, „ტრადიციულ ღირებულებებს ებრძვის“, „ვისაც ომის სურს“. ამის ემბლემატური მაგალითია ირაკლი კობახიძის 25 აპრილის სიტყვა, როგორც პოპულისტური სტრატეგიის განაცხადი - დაიცვას ქრისტიანობა „ეკლესიის მაგინებლებისგან“, „ლიბერალებისგან“, „ნეობოლშევიკებისგან“. ამ გამოსვლაში გამოყენებული სიტყვები გვხვდება კობახიძის და „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების ყველა შემდგომ გამოსვლაში. როდესაც ვამბობთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“

[162] მშვიდობის და ომის საილუსტრაციოდაც გამოყენებული იყო სამების საკათედრო ტაძარი, უკრაინაში ომის დროს დაბომბილ ეკლესიასთან კონტრასტისთვის.

რელიგიის თემები გამოიყენა პოლიტიკაში პოპულისტური სტრატეგიების ადაპტაციისთვის, ეს არ ნიშნავს, რომ ის ისეთივე ეფექტიანი იყო, როგორც, მაგალითად, ორბანის „ქრისტიანული ცივილიზაციის დაცვის“ ნარატივი. საქართველოში არა იმდენად რელიგიის დაცვა, რამდენადაც „ეკლესიის მაგინებლებთან“ ბრძოლა იყო პოლიტიკური ენისთვის დამახასიათებელი. რაც მიგვანიშნებს, რომ ცალკე აღებული „უსამშობლოების“, „ლგბტ პროპაგანდისტების“ და „ლიბერალების“ რიტორიკული ხაზი, დამოუკიდებლად არ იყო საკმარისი მორალური დაპირისპირების შესაქმნელად.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, სამთავრობო პოლიტიკურმა ნარატივებმა, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ინტენსივობით ჩამოყალიბდა, საბოლოოდ თავი მოიყარა წინასაარჩევნო კამპანიაში. უფრო კონკრეტულად კი, ყველა ეს მემარჯვენე პოპულისტური რიტორიკული ხაზი მთავრობამ და „ქართული ოცნების“ საპატიო ხელმძღვანელმა ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო შეხვედრების დროს რეგიონებში გამართულ შეხვედრებზე გააჟღერეს: ა) მშვიდობის დაცვა და ომის თავიდან აცილება, ბ) სარწმუნოების დაცვა და ეკლესიის მაგინებლებთან ბრძოლა, გ) ოჯახური ღირებულებების დაცვა და ლგბტ პროპაგანდასთან ბრძოლა, დ) სუვერენულობის, ტრადიციების დაცვა და ლიბერალებთან და უსამშობლოებთან ბრძოლა. ვოდაკის მეთოდის მიხედვით თუ დავაჯგუფებთ, დისკურსული არგუმენტაციის სტრატეგია „დაცვაზე“ და „ბრძოლაზე“ იყო აგებული: ა) *საფრთხის ტოპოსი:* ომის საფრთხე, ტრადიციების დაკარგვის საფრთხე, სუვერენულობის დაკარგვის საფრთხე, ქართველობის დაკარგვის საფრთხე.[163] საფრთხის კონსტრუირებით ხდება „შიშის პოლიტიკის“ გატარება. ბ) *პასუხისმგებლობის ტოპოსი:* „სარწმუნოებას და ეკლესიას ებრძვიან“, „ოჯახურ ღირებულებებს ებრძვიან“, „ქართულ ტრადიციებს ებრძვიან“. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის და შემდეგ დაცვის ლეგიტიმაციით ხდება „ჩვენ“ ჯგუფის გამოკვეთა, „სხვების“ და მტრის გამოკვეთა და მასთან ბრძოლის აუცილებლობაზე საუბარი. გ) *დაცვის ტოპოსი:* მშვიდობის დაცვა, ეკლესიის და სარწმუნოების დაცვა, ტრადიციული და ოჯახის ღირებულების დაცვა, ტრადიციების, წინაპრების და ეროვნულობის დაცვა. დაცვის ტოპოსით ხდება ელექტორატში „ჩვენ“ და „ჩვენიანების“ დადებითი იმიჯის შექმნა.

ამრიგად, 2024 წელს ნათლად გამოჩნდა, როგორ გადმოიტანა „ქართული ოცნების“ დაჩქარებულმა „პოპულისტურმა შემობრუნებამ“ „ღირებულებათა ომის“ გლობალური ენა ქართულ კონტექსტში.[164] წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტია და სამთავრობო დისკურსი იყენებდა მემარჯვენე პოპულიზმის სტრატეგიას და ქმნიდა მტრის ხატის რადიკალურ სურათს, „დაცვის“, და „ბრძოლის“ რიტორიკას. ამ სტრატეგიის ნაწილია „სიმბოლური კანონმდებლობის“ მიღება (ე.წ. ლგბტ-პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის და მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ინიციატივა), რათა მოსახლეობაში შეექმნათ დაცულობის განცდა გამოგონილი საფრთხის წინაშე. ეს მემარჯვენე პოპულისტური დისკურსი არის მიწოდების მოდელის გამოხატულება, როდესაც პოლიტიკური ელიტა „სთავაზობს“ ელექტორატს თემატიკას და ქმნის ანტაგონისტურ დაძაბულობას. თუ კას მუდეს მიწოდების მოდელს და ვოდაკის პოპულისტურ კონცეფციას გავაერთიანებთ, დავინახავთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სწორედ ასეთი დისკურსული ცვლილება მოახდინა, როდესაც „მიაწოდა“ პოპულისტური ნარატივები, „შექმნა საფრთხე“ და დაიწყო აქამდე არსებული მეტ-ნაკლებად მყარი სოციალური და კულტურული წარმოდგენების საკუთარი ინტერპრეტაცია. აქვე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შტოკლის მოსაზრებები „გლობალურ კულტურულ ომსა“ და „საერთაშორისო მორალისტურ“ ქსელზე.[165] თუ როგორ ცდილობს რუსეთი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მორალური საკითხების, ანტიგენდერული ნარატივების გავრცელებას მართლმადიდებლურ ქვეყნებში.[166]

საბოლოოდ, პოლიტიკური დისკურსის რელიგიური სემანტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქმე გვაქვს უფრო კომპლექსურ და შედარებით ახალ ძალთა კონფიგურაციასთან, ვიდრე ეს სეკულარიზმის პრობლემატიკაა. თუ 2021 წელი იყო პირველი სიმბოლური თარიღი მმართველი პოლიტიკური პარტიის პოპულისტური შემობრუნებისთვის, 2024 წელი პოპულისტური დისკურსის ნორმალიზების წელი იყო. ყოველივე ეს კი, ავტორიტარიზმისკენ გადახვევისთვის მოსამზადებელი ეტაპი აღმოჩნდა.

---

[163] კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევაში არ ყოფილა განხილული „ომის საფრთხე“, მაგრამ ის შეადგენს წინასაარჩევნო პოპულისტური სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

[164] გარდა ანტიევროპული დისკურსისა, რომლის დაჩქარებული ადაპტაციაც დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

[165]Stoeckl / Uzlaner 2022.

[166] Stoeckl / Uzlaner 2022.